პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ.,
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

პარასკევი, 13 აგვისტო 1926 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 183 (1728)

დ ღ ი უ რ ი

- — ინდოეთის სამთამადნო მუშები ინგლისელ მემაღაროეთა დასახმარებლად საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას აპირებენ.
- — დაიხურა გერმანიის მელითონეთა ყრილობა.
- — გერმანიის ელჩმა მოსთხოვა საფრანგეთს ჯარების შემცირება რეინის ოლქში.
- — პეკინიდან 20 ვერსის მანძილზე დიდი ბრძოლაა.
- — ჩინეთში გრძელდება რეპრესიები პრესის წინააღმდეგ.
- — ინგლისელი მაღაროს მეპატრონეები ცდილობენ რაიონული ხელშეკრულებები დასდვან გაფიცულებთან.
- — სენ-დიზეში (საფრანგეთი) საძირკველი ჩაუყარეს ჟორესის ძეგლს.

ცილისწამების ახალი კამპანია

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

ამჟამად ჩვენ მოწამენი ვართ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სიცრუის და ცილისწამების შეუწყვეტელ კამპანიის ახალ აფეთქების. საერთაშორისო ბურჟუაზია ამზადებს მორიგ მახინაციას ჩვენს წინააღმდეგ.

„ბუნების კანონად“ გახდა უკვე ის ფაქტი, რომ ასეთი ზრახვების განხორციელების წინ იწყება „თავისუფალ“, ანუ უკეთ ვსთქვათ მოსყიდულ, ბურჟუაზიული პრესის, ყოველგვარ პრესბიუროების, დეპეშათა სააგენტოების და საკუთარ და არა საკუთარ კორესპონდენტების და სხვა საინფორმაციო დაწესებულებათა ყოველგვარ ხმების, ინსინუაციების, ყალბი დოკუმენტების გამომგონთა განგაში. დაქირავებული მწერლები, რომლებსაც კარგი ჰონორარი ეძლევათ,—სთხზავენ სიყალბეს, სტყუიან, ამახინჯებენ ფაქტებს.

მოკლეთ რომ ვსთქვათ, ამზადებენ საარტილერიო მომზადებას შეტევის წინ. მათთან ერთად, ხშირად მათზე უფრო ადრეც მუშაობენ ყვითელი სოციალ-გამცემლური პრესის აპარატები.

ამ განგაშის ახალ აფეთქებაში არაფერი ორიგინალური არ არის: მღელვარება მოსკოვში, აჯანყება კრონშტადტსა და ლენინგრადში, კავშირის შეწყვეტა ლენინგრადსა და მოსკოვს შორის, ამბოხება ფლოტსა და წითელ ჯარებში, სტალინის მოწვლა, ტროცკის გაქცევა, ძერჟინსკის მოწამვლა, სტალინის მიერ ზინოვიევის დაპატიმრება, ან პირიქით, მენჟინსკის აღჭურვა საგანგებო უფლებებით, რამდენიმე ათასი კაცის დაპატიმრება, ციმბირში გადასახლება, წითელი არმიის კონცენტრაცია ამა და ამ ადგილას და სხვა ასეთები.

ყველაფერი ეს, ან ამგვარი რამ, ჩვენ ასჯერ გაგვიგონია. ამის გაბათილება არაა ღირს. სისულელეს არ აბათილებენ. საინტერესოა ჩაუფიქრდეთ ახლად დაწყებულ კამპანიის ნამდვილ აზრს.

ცნობილია, რომ ეს კამპანია დაიწყო მას შემდეგ, რაც საბჭოთა პრესამ გამოამჟღავნა პოლონეთის განზრახვა ინგლისის ფარული დირიჟორობით შეეკოწიწებია მესაზღვრე სახელმწიფოების ბლოკი ჩვენს წინააღმდეგ. ამასთანავე ამ გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა პოლონეთის მიერ ლიტვას ჩაყლაპვა. ამ ნაბიჯების ნამდვილი აზრის დასაფარავად და აგრეთვე ჩვენს გამომჟღავნებაზე პასუხის გასაცემად, მაშინ გამოგონილი იყო ზღაპრები წითელი არმიის კონცენტრაციის შესახებ და დამატებითი ცნობები წითელ-არმიელთა მღელვარების და ბანდების შესახებ ამას მოუსწრო ცნობებმა ცეკას ივლისის პლენუმის შესახებ. მოსყიდულ ბურჟუაზიული პრესის დაქირავებულმა აგენტებმა, რომელთა ფანტაზიამ სრულიად ამოსწურა ყოველგვარი ობიექტები გამოგონებისათვის, ხელთ იგდეს ახალი მასალა მბრძანებლის სურვილის შესასრულებლად, რასაც ამჟამად კიდეც ვხედავთ.

ამიტომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებულ გააფთრებულ კამპანიის სწორი შეფასებისათვის საჭიროა მისი დაკავშირება წინანდელ ამბებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ დაუკავშიროთ იგი ინგლისის კონსერვატიულ მთავრობის ანტი-საბჭოთა გეგმებს. კონსერვატიული მთავრობა, როგორც ვიცით, განიცდის ამჟამად გააფთრების ნამდვილ პაროქსიზმს საბჭოთა კავშირის, ჩვენი მშრომელების მიმართ, რომელნიც იჩენენ არაჩვეულებრივ სოლიდარობას გაფიცულ ინგლისელ მემაღაროებისადმი. ტყუილად კი არა სწერს „დეილი ნიუზი“, რომ ლონდონის ოფიციალური წრეები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს რუსეთის მდგომარეობას, რომ „გართულებები საბჭოთა კავშირში გამოყენებული იქნებიან გამოსვლების რაიმე პოლიტიკისათვის“.

ინგლისის მთავრობის „თავაზიანი“ ნოტა, რომელიც აბრალებს საბჭოთა სახელმწიფოს პოლონეთის საგარეო საქმეებში ჩარევას და ამჟამად გაღვივებული სიცრუის და ცილისწამების პოლიტიკა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ,—ყველაფერი ეს ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება.

მოვლენების ამნაირი გაშუქებით ინგლისის იმპერიალიზმის სტრატეგია გასაგები ხდება.

ინგლისის იმპერიალიზმის ნიადაგი შერყეულია. ჰქრება მისი ყოფილი ძლიერება, რასაც ხელს უწყობს მასში ჩამარხული უდიდესი წინააღმდეგობანი. ამიტომ იგი მოვლენების ობიექტურ განვითარებაში იჭერს ცენტრალურ ადგილს იმ ძალებს შორის, რომლებიც ილაშქრებენ საერთაშორისო პროლეტარიატის წინააღმდეგ იმ მიზნით, რათა შეაფერხონ მუშათა მოძრაობის აღორძინება.

მას სურს ილაჯ-გაწყვეტით დაიმორჩილოს გაფიცულ მემაღაროების მილიონიანი არმია. მას იმედი აქვს, რომ შესძლებს სამთამადნო მუშების გმირულ ძალების დამარცხებას.

მათი დამარცხების და დეზორგანიზაციის შემდეგ, მას განზრახული აქვს თავს დაესხას მთელი ინგლისის პროლეტარიატის პროფკავშირთა ორგანიზაციებს და მოუსპოს მათ ბრძოლის და წინააღმდეგობის გაწევის უნარი ინგლისის ბურჟუაზიის მომავალი შეტევის დროს.

ინგლისის პროლეტარიატის დამარცხების და დაქსაქსვის შემდეგ, მას განზრახული აქვს სამღვთო ომი გამოუცხადოს საბჭოთა კავშირს—მთელი, კერძოთ ინგლისის პროლეტარიატის ამ მომზიდველ ცენტრს, ჩაშალოს სოციალიზმის მშენებლობა, რაც აღფრთოვანებას იწვევს საზღვარგარეთელ, მათ შორის ინგლისის შეგნებულ მუშებში,—ჩაშალოს მშვიდობიანობის პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს და რომელსაც ესალმება ყველა, მათ შორის ინგლისის მუშათა კლასიც.

ინგლისის იმპერიალიზმი და მისი აგენტურა ცდილობენ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა შესუსტებულია და მათ განზრახული აქვთ დასინჯონ ნიადაგი, რამდენად მტკიცეა მათთვის მომაბეზრებელი საბჭოთა კავშირი ჩვენს პარტიაში მომხდარ ამბების შემდეგ.

ასეთია ძირ ამომპალ ინგლისის იმპერიალიზმის გეგმები, რომელიც, ყოველ ეჭვს გარეშე, არის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ დღევანდელ და წინანდელ კამპანიის სულისჩამდგმელი.

ამ გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საერთაშორისო პროლეტარიატის საზოგადოებრივი აზრის დეზორგანიზაცია იმ მიზნით, რათა მან ვერ შესძლოს წინააღმდეგობა გაუწიოს ბურჟუაზიის შეტევას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამ მიზნით მოსყიდული კაპიტალისტური პრესის მთელი აპარატი ინგლისური გაზეთების მეთაურობით ავრცელებენ ხმებს, თითქოს საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსი შეცვლილია, საკავშირო კომპარტიის „ზოგიერთმა“ ფრთამ გაიმარჯვა „წმინდა კომუნისტურზე“, გაიმარჯვა „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ მიმართულებამ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ პოლიტიკაში, თითქოს ადგილი ჰქონდეს კონფლიქტებს საბჭოთა მთავრობასა და კომინტერნს შორის, თითქოს მოსალოდნელია კაპიტულიაცია უცხოეთის კაპიტალის წინაშე, თითქოს თანდათან ხდება რევოლიუციონურ მონაპოვართა ლიკვიდაცია და სხვა.

ყველაფერ ამის მიზანია საერთაშორისო პროლეტარიატის დემორალიზაცია, რადგან უკანასკნელი საბჭოთა კავშირს სთვლის თავის ნამდვილ სამშობლოთ, სადაც მუშებს ხელთ უპყრიათ ძალა-უფლება და აშენებენ ცხოვრებას ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ მუშები ჩქარა გაერკვევიან ბურჟუაზიულ ხაზის ამ ხლართებში და არ წამოეგებიან მის ანკესზე.

არც ჩვენი მთავრობა და არც ჩვენი პარტია არ ფიქრობენ რაიმე ცვლილების შეტანას როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში. არც ერთი ნაბიჯით არ გადაიხრებიან სოციალისტურ აღმშენებლობის გზიდან.

ჩვენი, ლენინური გზები საკმარისად ნაცადი და შემოწმებულია მთელი ჩვენი რევოლიუციონური ბრძოლის ისტორიით და მას არ ესაჭიროება გასწორება. სულ დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენ შევამოწმეთ ჩვენი რიგები და მივიღეთ ერთსულოვანი პასუხი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით: არავითარი გადახვევა ძველი, გამოცდილი ლენინური გზიდან.

მებრძოლ იმპერიალიზმს კი, რომელიც ჩაფლულია წინააღმდეგობებში, რომელიც ფიქრობს ახალ გამოლაშქრებას, ჩვენ მკვახედ ვეტყვით საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთად: ცდა ამაოა.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 12 აგვისტო.

სასოფლო-სამეურნეო სკოლები

(ამ სკოლების მუშაკთა კონფერენციის გამო)

სასოფლო - სამეურნეო განათლებას სახალხო განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი არ განიცდის დღეს კვალიფიციურ სპეციალისტების ისე საგრძნობ ნაკლულოვანებას, როგორც სასოფლო მეურნეობა.

საქართველოს ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს სასოფლო მეურნეობის წარმოებას. მაგრამ მისი ინტენსიური განვითარება შეუძლებელი ხდება სათანადო ძალების სიმცირის გამო.

სასოფლო მეურნეობა ჩვენში დღეს იმდენად განუვითარებელია, რომ მეურნე მთელი წლის მუშაობითაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით თავის ოჯახის მოთხოვნილებას ძლივს აკმაყოფილებს.

ასეთი მდგომარეობა საკმაო დიდ გავლენას ახდენს სასოფლო მეურნეობის განვითარებაზე და შეუძლებელი ხდება მისი ჩამოყალიბება კოოპერაციის ნიადაგზე, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა მის ტეხნიკურ და ეკონომიურ გაუმჯობესებას.

სახალხო განათლება საბჭოთა ხელისუფლების დროს სწორეთ იმ მხრივ არის მიმართული, რომ სახალხო მეურნეობისათვის მოამზადოს სათანადო მუშაკთა საჭირო კადრი.

ჩვენი სასოფლო მეურნეობის პირობებში ასეთი საჭიროება დღეს უდაო ფაქტია. სასოფლო - სამეურნეო განათლებაც ამ მოთხოვნილებათა მიხედვით აგებს თავის სისტემას.

დაბალი სასოფლო - სამეურნეო სკოლები პირველ საფეხურს წარმოადგენს სასოფლო - სამეურნეო განათლების სისტემაში. ამ სკოლებმა უნდა მოამზადონ სასოფლო მეურნეობისათვის კვალიფიციური მუშაკები, რომელთაც შეეძლებათ მუშაობა სხვადასხვა სახელმწიფო და კოლექტიურ მეურნეობაში.

დღეს იშვიათად მოიპოვება მომზადებული მუშაკები, მევენახეები, მებოსტნეები და სხვა სასოფლო მეურნეობის დარგის სპეციალისტები. დაბალმა სასოფლო - სამეურნეო სკოლამ ასეთი სპეციალისტები უნდა მოგვცეს. სასოფლო მეურნეობის განვითარება და მისი მოწყობა სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის საფუძველზე შეუძლებელია, თუ არ მოიპოვება ძალა, რომელმაც ამ განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს. სასოფლო - სამეურნეო სკოლამ ამ საქმეში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლა ამ მხრივ მოამზადებს სოფლად კულტურულ მუშაკს, რომელიც ხელს შეუწყობს გლეხური მეურნეობის გაერთიანებას კოოპერაციაში, სასოფლო - სამეურნეო სკოლები კი კოოპერაციის საფუძველზე უკვე გაერთიანებულ მეურნეობას უხელმძღვანელებენ. ვიწრო სპეციალისტი სწორედ კოლექტიური მეურნეობისათვის არის საჭირო. სასოფლო-სამეურნეო სკოლების მუშაობაც სწორედ ამ მიმართულებით უნდა მიმდინარეობდეს. სასოფლო - სამეურნეო სკოლები რაიონული ხასიათისაა და ის უმთავრესად უნდა იხსნებოდეს ისეთ რაიონში, სადაც სასოფლო მეურნეობას აქვს მიღებული ფართო, ბაზრისათვის მომუშავე დარგის ხასიათი. ასეთი მეურნეობის განვითარების და ჩამოყალიბების საქმეში სკოლა უნდა შეიქმნას აქტიური შემომქმედი ძალა. სკოლის საშუალებით გლეხობა უნდა დარწმუნდეს, თუ რა უპირატესობა აქვს კოოპერატიულად მოწყობილ მეურნეობას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას სოფლის ცხოვრებისათვის.

ასეთი სკოლები ახალ მოვლენას წარმოადგენს სასოფლო - სამეურნეო სისტემაში. ამისათვის სკოლის მუშაკებმა ნათლად უნდა წარმოიდგინონ სკოლის მიზან-დანიშნულება.

სასოფლო - სამეურნეო სკოლების მუშაკთა მიმდინარე კონფერენციამ ამ მიმართულებით უნდა აწარმოოს თავისი მუშაობა და ამ მხრივ იგი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ამ სკოლების მოწყობისა და განმტკიცების საქმეში.

დ. კანდელაკი.

კომუნისტური დისციპლინა სავალდებულოა პარტიის ყველა წევრებისათვის

ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ ამხანაგი ზინოვიევი გამორიცხულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროდან.

ეს გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტისა უეჭველად გაოცებას გამოიწვევს როგორც საფრანგეთის კომუნისტურ პარტიაში, ისე მუშათა კლასის იმ რიგებში, რომელნიც თანაგრძნობით გვიყურებენ, მით უმეტეს, რომ კომუნიზმის მოწინააღმდეგეები, რუსეთის რევოლიუციის მტრები, ამ ფაქტს გამოიყენებენ, რათა ერთხელ კიდევ გამოაცხადონ, რომ კომუნიზმს რუსეთში ბოლო ეღება ბოლშევიკური პარტიის დანაწილებისა და გახრწნის გამო.

მაგრამ დაე, ბურჟუა-დემოკრატები და რეაქციონერები, რომელნიც საფრანგეთს განაგებენ და წელიწადში თორმეტჯერ სცვლიან სამინისტროს, ნუ მიეცემიან ნაადრევ სიხარულს: საბჭოთა კავშირის კომპარტიის ერთობასა და იდეურ ხელმძღვანელობას არავითარი საფრთხე არ მოელის, ხოლო საბჭოთა კავშირის სიმტკიცე და პოლიტიკური ძლიერება ნიმუშად გამოდგება ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს.

მართალია, ცვლილებანი საბჭოთა კავშირის კომპარტიის პოლიტბიუროში და ზომები ზოგიერთი წევრის მიმართ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ურთიერთობით და დასაგმობი ფრაქციული მუშაობით არის გამოწვეული. მაგრამ ამ ცვლილებებს მაინც ისეთი სერიოზული ხასიათი არ აქვს, როგორც ბურჟუაზიის სამინისტროს კრიზისებს, რომელნიც, ფინანსიური და ეკონომიური შედეგების გამო, თვით რეჟიმის კრიზისს წარმოადგენენ.

აქ ხდება კაპიტალიზმის გადაგვარება, რომელსაც თან სდევს მშრომელი მასსების გაღატაკება, იქ ხდება ნელი, მაგრამ მტკიცე კონსოლიდაცია სოციალისტური ეკონომიკისა.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ხელისუფლების პასუხისმგებელი წარმომადგენლები კამათობენ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ბურჟუაზიის ინტერესები და პრივილეგიები დაიცვან. ბურჟუაზია ერეკება იმათ, ვინც მარცხს განიცდის. საბჭოთა კავშირში ხელისუფლების მეთაურები ბჭობენ და რეზოლიუციებს ღებულობენ პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად, მის საბოლოო თავისუფლების განსახორციელებლად. მათ მძიმე პასუხისმგებლობა აწევთ, ყოველი შეცდომა უნდა აცილებულ იქმნას. ამიტომ როცა უმრავლესობა თავის აზრს გამოთქვამს, მისი გადაწყვეტილება კანონად უნდა იქცეს ყველასათვის.

თვით მაშინაც კი, როცა პარტიის ესა თუ ის წევრი დარწმუნებულია, რომ სიმართლე მის მხარეზეა უმრავლესობის წინააღმდეგ, მას უფლება არ აქვს დისციპლინა შებღალოს და ფრაქციული ბრძოლა გააჩაღოს. დისციპლინა სავალდებულოა ყველასათვის, მუშებისათვის, ისევე როგორც ბელადებისათვის. როგორც სჩანს, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ზოგიერთმა წევრმა სათანადო ანგარიში არ გაუწია ამ მინიმალურ მოთხოვნილებას.

დისციპლინა აბსოლიუტურად აუცილებელია პარტიისათვის, რომელიც ფაქტიურად კისრულობს ხელისუფლების პასუხისმგებლობას და არ უნდა გაუშვას ხელიდან პროლეტარიატის მიერ ბრძოლით მოპოვებული მიღწევები. წინააღმდეგ შემთხვევაში გზა გაეხსნება კონტრ-რევოლიუციასა და ძველი რეჟიმის აღდგენას.

როგორც ცნობილია, ის წინააღმდეგობანი, რომელნიც მეთოთხმეტე პარტყრილობაზე გამოაშკარავდენ, კიდევ უფრო გაღრმავდენ ინგლისის გაფიცვასთან დაკავშირებით. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ამხ. ზინოვიევსა და სხვებს, რომელნიც ფიქრობენ, რომ რადგან ტრედიუნიონების ბელადებმა უღალატეს საყოველთაო გაფიცვას, ამიტომ კავშირი უნდა გავსწყვიტოთ ინგლის-რუსეთის კომიტეტთანო. დღევანდელ პირობებში საჭიროა არა ამ კომიტეტის [illegible], არამედ გამოცოცხლება და გადახალისება, მისი შემადგენლობის და [illegible].

ჭეშმარიტება, რომელიც ინგლისელ მუშებს უნდა ვუთხრათ, არის ის, რომ მათი წარმომადგენლები ინგლის-რუსეთის კომიტეტში ვერ გამოხატავენ საერთაშორისო ერთობისა და სოლიდარობის ნებისყოფას და მათ ისეთი ადამიანები უნდა აირჩიონ, რომელთაც სიმტკიცე და სოლიდარობის გრძნობა გამოიჩინეს საყოველთაო გაფიცვის დროს.

საჭიროა, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის სექციებმა თავიანთი აზრი გამოსთქვან*) აღმოცენებულ უთანხმოებაზე; უნდა გადაიჭრას არა მარტო დისციპლინისა, არამედ თვით უთანხმოების გამომწვევი საკითხები. ეს გასწმენდს ატმოსფერას და გაამტკიცებს კომინტერნის ძლიერებას.

პიერ სემარ.

საფრანგეთის კომპარტიის გენ. მდივანი.
„ლიუმანიტე“, 27 ივლისი.

---

*) უკვე გამოსთქვეს. რედ.

გზა და გზა გაფიცულ მემაღაროეთა რაიონებში

(წერილი ინგლისიდან)

მრეწველობის სამი მეოთხედი შეჩერებულია

ნიუკესტლიდან ტაინმუდამდე გზა მღვრიე და ნისლიან მდინარე ტაინის ნაპირებს მისდევს. რა საშინელი სანახაობა იშლება ირგვლივ!

წარმოიდგინეთ ტალახიანი მდინარის ორივე ნაპირას, სადაც მუდამ მოწამლული ბურუსი სდგას, დაუსრულებელი რიგი ქარხნებისა, ფაბრიკებისა, სახელოსნოებისა და ყაზარმისებურ შენობებისა. ირგვლივ ურიცხვი ღუმელების მილებია ამართული, ისინი თითქო შავი სახურავებიდან იზრდებიან ზღაპრული მცენარეების მსგავსად. ნიუკესტლიდან ზღვამდე ინგლისის ძლიერმა კაპიტალიზმმა თითქო ერთი უზარმაზარი ინდუსტრიული ქალაქი ააშენა. აი „წმ. ლავრენტის“ და „წმ. პეტრეს“ უბნები მათი ვეებერთელა სახერხავებით, ხელოვნური სასუქის ფაბრიკებით და ქიმიური პროდუქტების ქარხნები. შემდეგ მიდის დაუსრულებელი რიგი ლითონის სადნობი ქარხნებისა, ცემენტის ფაბრიკებისა, გემების საამშენებლო სახელოსნოებისა. ნიუკესტლის გარეუბნიდან, ელსვიკიდან, ზღვამდე არმსტრონგის ცნობილი ფირმის ძლიერება ვრცელდება.

ტაინეს ორივე ნაპირზე ურიცხვი ნავთსადგურებია ჩამწკრივებული, ალაგ-ალაგ ხიდები სჩანს, ალაგ-ალაგ კიბეები. წეროსებურ ელევატორებს ნისკარტი ამოუშვერიათ წყალში. მოძრავი ხიდები და ვეებერთელა მექანიკური გადამტვირთველები ყოველ ფეხის ნაბიჯზე სჩანან.

ჩვენ თითქო ლეგენდარული ვულკანის სამჭედლოში ვიმყოფებით.

მაგრამ ამ ცალთვალა დევებს თითქო სძინავთ. ღუმელები ჩამქრალია, მაღალი მილები არ ბოლავს. ცხოვრების მაჯისცემა შეჩერებულია ამ ცეცხლისმფრქვეველ მხარეში.

ქვანახშირის წარმოების შეჩერებამ აქ დიდი გავლენა მოახდინა. წარმოების 70 პროც. ან სრულიად დახურულია ან სანახევროდ მუშაობს. გემების საამშენებლოები დაცარიელებულია, მხოლოდ აქა-იქ შესაკეთებელი ხომალდის ლაზათიანი კონტურები იმართება. ნაპირები უდაბნოს მოგაგონებენ: გემები გაქცევიან ინდუსტრიულ სასაფლაოს.

ვალსენდრა, ნიუკესტლსა, იაროუსა, აქაც, მე თითქოს გავსინჯე ინგლისის მრეწველობის მაჯისცემა. ის სუსტია, მეტად სუსტია. ამ ცოტა ხნის წინათ ვილაცამ სამართლიანად სთქვა თემთა პალატაში, რომ ინგლისი სისხლით იცლება.

და ყოველი ეს ხდება იმისთვის, რომ მემაღაროები მოსდრიკონ.

არა, ეს მარტო ამისთვისაც არ ხდება. დაწყებულ ბრძოლას სხვა მნიშვნელოვანი მიზანიც აქვს. მემაღაროები მხოლოდ პირველი მუშათა ბატალიონია, რომელთა დამარცხება დიდს მსხვერპლს მოითხოვს. თუ მათ უკან დაიხიეს, მათ სხვა მუშათა რაზმები მოჰყვებიან, რომელთაც ისეთივე დამარცხება ელის.

ტრედიუნიონების რეფორმისტ ბელადებს არ სურთ ამის დანახვა, ისინი ვერ ხედავენ ამ ტიტანიური ომის მნიშვნელობას.

მათ კი შეეძლოთ ამის დანახვა. ისინი ამ რაიონშიც იყვნენ საარჩევნო კამპანიის დროს. ისევე როგორც მე, მათაც ინახულეს დაკეტილი ქარხნები, გამოყრილი მუშათა რაზმები ტალახიან ქვაფენილზე. მათ დაინახეს რა ფასით სურს ინგლისის კაპიტალიზმს გამარჯვების მიღწევა. მათ საკმარისად მიაჩნიათ, რომ მარგარეტა ბონფილდი აარჩიეს თემთა პალატაში. ნუ თუ მათ მართლა ჰგონიათ, რომ ინგლისის კაპიტალიზმს რაიმე დააკლდება, თუ მუშათა პარტიამ ერთი ადგილი შეინარჩუნა თემთა პალატაში?

არა! ეს არ არის ბრძოლა მარტო მემაღაროების წინააღმდეგ. აქ ორი კლასი იბრძვის სიცოცხლისა და სიკვდილისათვის. უბედურება იმაშია, რომ ერთი მათგანი მტკიცე ბლოკს შეადგენს, მეორეს ერთობას კი სისტემატიურად არღვევენ ულირსი წინამძღოლები.

რა იქნებოდა მათ რომ მოენდომებიათ?..

მათ მოინდომეს კაპიტალიზმის გადარჩენა, ეს კაპიტალიზმი მძიმედ არის დაჭრილი, სისხლიდან იცლება, მაგრამ უკანასკნელ ძალღონეს იკრებს და თავისი სისხლის საფასურს მოითხოვს.

ყოველ შემთხვევაში ამ წუთში მხოლოდ მუშებს აწევს მხრებზე ამ ბრძოლის ხარჯები. ისინი ქუჩა-ქუჩა დახეტიალობენ, უსაქმოდ და ინდუსტრიული ჯოჯოხეთის მოწამლულ ჰაერს ისუნთქავენ.

აქ ერთი საგანი ბატონობს: ეს არის ქარხანა. აქ ქარხანა თითქო ეკლესიაა, რომლის გარშემო ეს ბეჩავი მოსახლეობა შეჯგუფდა, რათა მას თავისი სისხლი შესწიროს.

აქ იჭედება ოქრო, რომელიც ინგლისის კაპიტალიზმის ძლიერებას ჰქმნის. მაგრამ ამ წუთში ოქროს სადნობი გაცივებულია. ნახშირი არ არის.

კ. დავიდ.

ტაინმუთ, 29 ივლისი.

შეტევა პროფკავშირების წინააღმდეგ ინგლისში

ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს აუკრძალოს პროფკავშირებს პოლიტიკური მუშაობა

ყოფ. ჯ.-კაცთა წითელი კავშირის დევნა გერმანიაში.—შეტაკება კომუნისტებსა და ფაშისტებს შორის ფრანკფურტში

შეერთებული შტატები თანახმაა შევიდეს საერთაშორისო ტრიბუნალში, თუ უკანასკნელი არ ჩაერევა ამერიკის საქმეებში

სენატორი ბორა ურჩევს საფრანგეთს მისცეს ქვეყანას სამხედრო ვალების გაუქმების მაგალითი

ვენაში გაიხსნა განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის კონგრესი.—პოლიციის თავდასხმა კონგრესზე

გ ა ფ ი ც ვ ა ი ნ გ ლ ი ს შ ი

კუკის განცხადება

ლონდონი, 11 აგვისტო. სამთამადნო მუშათა ფედერაციის მდივანმა კუკმა საკავ. ტელეგრ. სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „ჩვენ ვღებულობთ მუშათა გადაწყვეტილებას. სადელეგატო კონფერენცია მოწვეულია იმისათვის, რომ სამთა-მადნო მუშებს საშუალება მიეცეთ აზრი გამოსთქვან, თუ როგორი კურსი უნდა იქნას აღებული, რომ გამარჯვებას მივაღწიოთ. შემდეგ კუკმა ხაზი გაუსვა იმას, რომ კენჭის ყრის შედეგები ნათლად ამტკიცებს, თუ რა დიდი სოლიდარობა არსებობს მაღაროების მუშებსა და მუშა-ქალებში, მიუხედავად იმისა, რომ 15 კვირაა, რაც ბრძოლა გრძელდება. **შეკითხვაზე: რატომ უჭერდა თვითონ იგი მხარს მემორანდუმს სამღვდელოებას და რატომ მოუწოდებდა მუშებს, რომ ხმა მიეცათ ამ მემორანდუმისათვის, კუკმა უპასუხა: „ეს მოხდა იმიტომ, რომ სამთამადნო მუშების თანხმობა სამღვდელოების მემორანდუმზე უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი აზრის მხარის დაჭერას შეთანხმების საქმეში.**

მეპატრონეებთან მოლაპარაკების ცდა - უნუგეშო საქმეა და ამიტომ აუცილებელი ხდება მთავრობასთან მოლაპარაკების წარმოება იმისათვის, რომ განხორციელებულ იქნას სანახშირო მრეწველობის რეორგანიზაციის სქემა და, რომ კანონი რვა საათის სამუშაო დღის დაწესების შესახებ ქაღალდების ნაფლეთად იქცეს. **სავსებით ცხადია, დასძინა კუკმა, რომ სამთა-მადნო მუშები მხოლოთ მაშინ შესძლებენ გამარჯვების მიღწევას, თუ მათ შესძლეს ბრძოლის გადატანა. ჩვენი ძალა—ჩვენი უფლებაა. თუ ძალღონე გვეყო, ჩვენ გავიმარჯვებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ საჭიროა სხვა კავშირების ვერცხლის ტყვია (ფული)“.**

ზომები მუშების წინააღმდეგ

ლონდონი, 11 აგვისტო. „დეილი ჰერალდი“ იუწყება, რომ პოლიციის უფროსმა მონმუტ შაირში, შინაგან საქმეთა მინისტრის ინსტრუქციის მიხედვით, აკრძალა სამთა-მადნო მუშათა ყოველგვარი პროცესიები.

მუშათა კლასის მოღალატენი

პრაღა, 11 აგვისტო. ჩეხო-სლოვაკიის რევოლიუციონურ პროფკავშირის გაერთიანების ყოველგვარ ცდას, ხელი შეუშალოს ინგლისში ქვა-ნახშირის გატანას დიდ წინააღმდეგობას უწევენ რეფორმისტები, რომლებსაც შესწევთ გამბედაობა ამტკიცონ, რომ ჩეხო-სლოვაკიიდან ინგლისში ქვა-ნახშირს არ ეზიდებიან. ბურჟუაზიული პრესაც კი იუწყება, რომ მხოლოთ ერთ რაიონში, ოსტროვში, ინგლისისათვის შეკვეთილია—40.000 ტონა ქვა-ნახშირი.

პოლიცია იცავს „წესრიგს“

პარიზი, 12 აგვისტო. **ლონდონიდან მიღებული ცნობების თანახმად, დერბიშირის მაღაროებთან შეკრებილი მუშების გასარეკად გამოძახებული იქნა სარაიონო პოლიცია.**

ისევ სამღვდელოება

პარიზი, 12 აგვისტო. ლონდონიდან მიღებული ცნობების თანახმად, პოლიტიკურ წრეებში იზიარებენ მუშათა ლიდერების გაკვირვებას იმის გამო, რომ სამღვდელოებამ დაადგინა ყოველი ძალღონე იხმაროს ნახშირის მრეწველობაში დაწყებულ დავის მოსაგვარებლად.

ინდოეთის მუშების დახმარება

ლონდონი, 11 აგვისტო. კალკუტიდან იუწყებიან, რომ ბენგალიის სამთამადნო მუშებმა ინგლისის მემაღაროეთა დასახმარებლად დააარსეს მოქმედების კომიტეტი.

მილლერი, რომელიც ინდოეთის რკინისგზელების გაფიცვას ხელმძღვანელობდა წარსულ წელში, მიწვეულია ინდოეთის სამთამადნო მუშების სოლიდარობის გამოსვლების მოსაწყობად. მოქმედების კომიტეტი აყენებს წინადადებას, **რომ ინდოეთის სამთამადნო მუშებმა სოლიდარობის გაფიცვა გამოაცხადონ ინგლისის მემაღაროელების გაფიცვის მთელი ხნის განმავლობაში.**

საყოველთაო გაფიცვის თავიდან ასაცილებლად

ლონდონი, 11 აგვ. გენერალურმა პროკურორმა დუგლას ხოგგმა საჯარო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ მთავრობამ დააარსა საგანგებო კომისია იმ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად, რომელიც მოსპობს საყოველთაო გაფიცვის შესაძლებლობას მომავალში. ხოგგმა დასძინა, რომ მთავრობის მოქმედება არ შეიძლება იქნას განხილული ისე, როგორც გალაშქრება პროფკავშირთა წინააღმდეგ. პროფკავშირებმა უნდა შეასრულონ თავიანთი ამოცანა თავის წევრთა ინტერესების ლეგალური დაცვისა და თავი დაანებონ პოლიტიკურ საქმიანობას.

სამოქალაქო დაწესებულებების მოსამსახურეთა პროტესტი

ლონდონი, 11 აგვისტო. მთავრობის მუქარამ, რომ იგი აუკრძალავს სამოქალაქო დაწესებულებების სახელმწიფო მოსამსახურეების ორგანიზაციას მიემხრონ ტრედიუნიონების კონგრესს, ან მუშათა პარტიას, დიდი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია დაინტერესებულ პროფკავშირების მხრივ.

სამოქალაქო დაწესებულებების მოსამსახურეთა კავშირი იწვევს აღმასკომის სხდომას იმ ზომების განსახილველად, რომლებიც მიღებულ უნდა იქნან მთავრობის მუქარის გამო.

კავშირის მდივანმა **სლოკომბმა** პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მთავრობის გადაწყვეტილება წარმოადგენს პირველ ნაბიჯს სამოქალაქო სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფესიონალურ ორგანიზაციების წინააღმდეგ შეტევისას.

მუშათა პარტიის წევრმა, დეპუტატმა **ამმონმა,** ფოსტის მოსამსახურეთა გაერთიანებულ კავშირების მდივანმა განაცხადა: **„ჩვენ ყოველი ძალღონით გაუწევთ წინააღმდეგობას მთავრობის განზრახვას. მთავრობის მუქარა—პროფმოძრაობის წინააღმდეგ შეტევის დასაწყისია.**

ბალდუინის მთავრობა, რომელსაც სურს მახვილი ჩასცეს პროფესიონალურ მოძრაობას, **უდიდეს აღშფოთებას გამოიწვევს და ძალიან ძვირად დაუჯდება მას ასეთი მოქმედება“.**

მაღაროს მეპატრონეთა ცდები

ლონდონი, 11 აგვისტო. ნოტინგემშირისა და დერბიშირის მაღაროს მეპატრონეებმა მიიწვიეს დერბიშირის სამთამადნო მუშათა პროფკავშირების წარმომადგენლები საერთო კრებაზე, რომელსაც მიზნად ექნება შეთანხმების მიღწევა ადგილობრივი მასშტაბით.

შეტაკება მექსიკაში

ლონდონი, 12 აგვისტო. მორელიიდან მექსიკაში ჩავიდა არქიეპისკოპოსი სიზრენოსი, რომელმაც განაცხადა, რომ რელიგიურ შეტაკებებს სან ჟახოში **შედეგად მოყვა 40 კაცის მოკვლა, მათ შორის 2 მღვდლისა. სასიკვდილოთ დაჭრილია 17 კაცი. ირაპუატოში წარსულ კვირაში მოკლული იქნა 14 კაცი.**

ჟორესის ძეგლი

პარიზი, 11 აგვისტო. მემარცხენე მუშათა ორგანიზაციების ინიციატივით სენ-დიზეში საძირკველი ჩაუყარეს ჟორესის ძეგლს. საძირკველის საზეიმო ჩაყრას დაესწრნენ საფრანგეთის კომპარტიის, უნიტარულ პროფკავშირების და სოციალისტური პარტიის ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საბჭოთა პრესა

ვისწავლოთ რეალურ მდგომარეობის შეფასება

წარმოება-დაწესებულებათა ნორმალურ მუშაობას ხშირად აფერხებს არსებულ მდგომარეობის შეუფასებლობა, მისი უკუგდება და სამუშაო გეგმის კეთილ განზრახვებზე აგება. მეორე მხრივ ადგილი აქვს წინააღმდეგ მოვლენასაც: როცა არსებულ მდგომარეობის ნამდვილ სურათს ამლაშებენ, განზრახ შავი საღებავებით გვიხატავენ, რომ ამით წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებმა გააბათილონ ის, ხშირად სამართლიანი მოთხოვნილებანი, რომელთაც მათ უყენებს პროფკავშირები, შრომის დაცვის ინსპექცია თუ სხვა რომელიმე ორგანო.

ამ საკითხს თავის მოწინავე წერილში დაწვრილებით იხილავს, **„ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა“,** რომელიც შემდეგს სწერს:

> „ამ ნიადაგზე (არსებულ პირობების არასწორ შეფასებაზე) შრომის დაცვის ორგანოებსა და სამეურნეო მუშაკების შორის არსებული ურთიერთობა ძალიან ხშირად ღებულობს არანორმალურ ფორმებს, რაც, თავის რიგად, არა თუ ხელს არ უწყობს შემჩნეულ დეფექტების გამოსწორებას, არამედ კიდევ უფრო აუარესებს შრომის დაცვის საქმეს.
>
> **ამ კონფლიქტებში სამ. მუშაკები ყოველთვის მართალნი არ არიან.** წარმოების ხელმძღვანელები გულგრილად ეკიდებიან უშიშროების ტეხნიკას და სანიტ. ჰიგიენის დაცვის ელემენტარულ მოთხოვნილებებს, რასაც ამართლებენ (უკანასკნელ ხანებში) „მომჭირნეობის რეჟიმით“. ასეთ საკითხებს აწყდება ხშირად დაწესებულება და კომისია, რომელიც არჩევს კონფლიქტებს შრომის დაცვის დარგიდან. სამეურნეო მუშაკების მიერ შრომის დაცვის საქმეში თავიანთი მოვალეობის ამგვარ გაგებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს“.

ამავე დროს გაზეთი ჩერდება მეორე მავნე გადახრაზედაც, რომელსაც ადგილი აქვს შრომის ინსპექციის და პროფესიულ ორგანოების მუშაობაში. ის სწერს:

> **„რასაკვირველია, მართალი არ იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს ყველგან და ყოველთვის სამეურნეო მუშაკები არიან დამნაშავენი,** თითქოს მათზე კიდია მხოლოდ შრომის დაცვის დარგში არსებულ ნაკლულევანებათა უარყოფითი მხარეების აღმოფხვრა ან მით უფრო უშიშროების ტეხნიკის და სანიტარიის საზღვარგარეთის ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევებამდე აწევა“.

აქ „ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა“ აღნიშნავს საბჭოთა მრეწველობის განვითარების იმ მრავალ სიძნელეებს, რომელთაც უმთავრესად საფუძვლად უდევს ჩვენი ფინანსიური ხელმოკლეობა და ამბობს:

> **„ამავე დროს შრომის დაცვის ზოგიერთი ორგანოები ანგარიშს არ უწევენ რეალურ სინამდვილეს** და უყენებენ სამეურნეო მუშაკებს ისეთ მოთხოვნილებებს, რომელიც აშკარად ვერ განხორციელდებიან. ასეთი ქცევის დამახასიათებელ მაგალითს წარმოადგენს, გაზეთის სიტყვით, ქ. არტემოვსკის შრომის დაცვის განყოფილება: გრიშინსკის სამადნო სამმართველოს მან წარუდგინა 554 მოთხოვნილებაზე არც მეტი და არც ნაკლები. ამ მოთხოვნილებათა შესასრულებლად საჭირო იყო სულ მცირე—725.900 მანეთი“.

ცხადია, ამგვარ მოვლენებს ჩვენს სინამდვილეშიაც აქვს ადგილი. ამიტომ არსებულ პირობების სალი შეფასება, რეალურ მდგომარეობის გათვალისწინება და მხოლოდ მათზე დაყრდნობით მოქმედება--აუცილებელ პირობათ უნდა გაიხადონ, როგორც სამეურნეო მუშაკებმა, ისე შრომის დაცვის ორგანოებმა და პროფკავშირებმა.

ამერიკა და საერთაშორისო ტრიბუნალი

ვაშინგტონი, 11 აგვისტო. ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობა დასთანხმდა ერთა ლიგის საერთაშორისო ტრიბუნალში შესვლაზე იმ პირობით, თუ ტრიბუნალი არ ჩაერევა იმ სახელმწიფოთა დავაში, რომლებიც ამერიკის მატერიკზე იმყოფებიან და თუ შეერთებულ შტატების მიერ წამოყენებული პირობების მიღების საკითხს გადასწყვეტენ ტრიბუნალში შემავალი ცალკე სახელმწიფოები და არა ერთა ლიგის საბჭო.

ამის გამო სახელმწიფო დეპარტამენტმა 42 სახელმწიფოს დაუგზავნა ნოტა, რომელშიაც მოყვანილია ეს პირობები და სთხოვს მათ, რომ მიიღონ ხელშეკრულება. დღემდე დადებითი პასუხი მისცეს მხოლოდ სამმა მთავრობამ: საბერძნეთმა, ლიბერიამ და კუბამ. 14 მთავრობამ არავითარი პასუხი არ გასცა, 19 მთავრობამ მხოლოდ აცნობა, რომ ნოტა მიიღეს, 6 სახელმწიფომ განაცხადა, რომ თავიანთ თვალსაზრისს მხოლოდ იმის შემდეგ გამოსთქვამენ, როცა ამ საკითხს განიხილავს კონფერენცია, რომელიც ჟენევაში იქნება მოწვეული.

განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის კონგრესი

ვენა, 11 აგვისტო. გაიხსნა განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის კონგრესი, რომელზედაც მონაწილეობას იღებენ შეერთებულ შტატების, ლიუქსემბურგის, ინგლისის, ბელგიის, გერმანიის და საფრანგეთის განათლების მუშაკთა ორგანიზაციები. თუმცა კონგრესზე უმრავლესობა ყავთ სოციალ-დემოკრატებს, მაგრამ ავსტრიის მასწავლებელთა პროფკავშირმა, ავსტრიის პროფკავშირების საყოველთაო გაერთიანებამ, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და ვენის მუნიციპალიტეტმა, რომლის უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებისაგან შესდგება, არ გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები კონგრესზე.

ვენის პოლიციამ, მიუხედავად კონგრესის პრეზიდიუმის პროტესტისა, სხდომის დარბაზიდან გაიტანა ტოლსტოის სურათი და პლაკატი მარქსის ლოზუნგით: „რელიგია—ხალხის გონების დამჩლუნგველია“. შექმნილ მდგომარეობის გამო **კონგრესის მონაწილენი განიხილავენ საკითხს იმის შესახებ, რომ კონგრესის სხდომები სხვა, უფრო პროგრესიულ სახელმწიფოში იქმნას გადატანილი.** კონგრესმა მიიღო დეპეშა, რომ საბჭოთა კავშირის განათლების მუშაკები, რომლებმაც მიიღეს ავსტრიაში შესვლის ვიზა, ვენაში ჩავლენ 12 აგვისტოს. ამ ცნობის წაკითხვამ მხურვალე ტაშისცემა გამოიწვია.

ჭ ო რ ე ბ ი ს კ ა მ პ ა ნ ი ა

ამხ. ვოიკოვი უარყოფს პოლონეთის გაზეთების მიერ შეთხზულ ჭორებს

ვარშავა, 11 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობას ეწვიენ პოლონელი ჟურნალისტები. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში ამხ. ვოიკოვი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც მან განაცხადა, რომ პოლონეთის პრესის ცნობები საბჭოთა კავშირში აჯანყების შესახებ მოგონილი ჭორი და მტრული პროპაგანდის ნაყოფია. უარყო რა ფანტასტიური ცნობები საბჭოთა კავშირის ამბების შესახებ, რომელსაც ავრცელებს ნახევრად ოფიციალური „აღმოსავლეთის სააგენტო“, ვოიკოვმა დაწვრილებით დაახასიათა საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პოლონეთისა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობის პერსპექტივები თანდათან ფართოვდებიან. ვოიკოვის განცხადება მთელ რიგ გაზეთებში იქმნა მოთავსებული. მხოლოდ პილსუდსკის მომხრე სამმა გაზეთმა „გოლოს პრავდამ“, „კურიერ პორანნიმ“ და „დზენ პოლსკიმ“ გამოაქვეყნეს წერილები, რომლებშიაც აღნიშნავენ, რომ დაუშვებელია პოლონეთის პრესის რაიმე კონტაქტი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან. ამასთანავე ეს გაზეთები ილაშქრებენ „იზვესტიას“ და „პრავდას“ ვარშაველი კორესპონდენტების წინააღმდეგ, რომლებიც მიმოსვლის თავისუფლებით სარგებლობენ, მაშინ როდესაც, პოლონელ ჟურნალისტებს ვითომდა არა აქვთ მოსკოვში მუშაობის საშუალება.

„უ დ ი დ ე ს ი შ ე ც დ ო მ ა“

კლემანსოს წერილის გამოძახილი

ლონდონი, 12 აგვისტო. სენატორმა ბორამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც დახასიათებულია კლემანსოს წერილი პრეზიდენტ კულიჯისადმი, როგორც „უდიდესი შეცდომა“, განსაკუთრებით ეს შეეხება კლემანსოს შენიშვნებს საფრანგეთის დამოუკიდებლობის გაყიდვის შესახებ. სენატორი ამ წერილს სთვლის ერთგვარ უსამართლობათ ამერიკის სეპარატიულ საზავო ხელშეკრულების მიმართ. სენატორი ბორა დასძენს: კლემანსომ, რომლის უსაფუძვლო აღშფოთება გასაგებია, **არ იცის, სურს თუ არა საფრანგეთს თავისი ვალების გაუქმება. დეე, საფრანგეთმა გააუქმოს თავისი ვალები და სეპარატიუმი და დაგვანახოს, რომ გაუქმებული ვალები მოხმარდება კაცობრიობას და ევროპის მასების მდგომარეობის გაუმჯობესებას, და არა იმპერიალისტურ გეგმებს.**

პრეზიდენტ კულიჯთან ახლო მდგომი ოფიციალური პირები ფიქრობენ, რომ კლემანსოს წერილს უნდა გაეცეს რაიმე ოფიციალური პასუხი, რადგან იგი ეკუთვნის ცნობილ ფრანგ-მოქალაქეს.

რ ე ა ქ ც ი ა გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი

რეპრესიები ყოფილ ჯარისკაცთა წითელი კავშირის წინააღმდეგ

ბერლინი, 12 აგვისტო. უკანასკნელ ხანებში გერმანიაში გახშირდა პოლიციის რეპრესიები ყოფილ ჯარისკაცთა წითელ კავშირის წინააღმდეგ. **ამასთან ერთად ხელისუფლების წარმომადგენლებს განზრახული აქვთ სრულიად აკრძალონ ყოფილ ჯარისკაცთა წითელი კავშირის მოქმედება. არ იმართება არც ერთი მიტინგი, სადაც არ მომხდარიყოს შეტაკება პოლიციასთან; უკანასკნელი რეზინის ჯოხებით და თოფის კონდახებით სცემს ყოფილ ჯარისკაცთა წითელი კავშირის წევრებს.**

პოლიციას არ ჩამორჩებიან არც ფაშისტები, რომელნიც ცდილობენ პროვოკაციით გამოიწვიონ შეტაკება ყოფილ ჯარისკაცთა წითელ კავშირთან.

გერმანიის მელითონეთა ყრილობა

ბერლინი, 11 აგვისტო. გერმანიის მელითონეთა კავშირის ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე არჩეული იქნა კავშირის ცენტრალური კომიტეტი და კავშირის ახალი წარმომადგენლები მელითონეთა საერთაშორისო კონგრესზე. კონგრესმა უარჰყო ოპოზიციის მოთხოვნილება პროპორციონალურ არჩევნების შესახებ, რის გამოც ცენტრალურ კომიტეტში და აგრეთვე დელეგაციაში შევიდენ მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენლები.

ჩეხო-სლოვაკიის მუშების ბრძოლა

პრაღა, 11 აგვისტო. სლოვაკიის რკინისგზელთა მოძრაობა სამუშაო ხელფასის მომატებისათვის თანდათან [illegible]. მსხვილ ცენტრებში მოხდა მასიური რკინისგზელთა მანიფესტაციები. გზათა მიმოსვლის მინისტრი იძულებულია შესცვალოს თავისი პირველი შეურიგებელი პოზიცია და ეხლა აცხადებს, რომ ჯამაგირის მომატება, რომელიც დაწესებულია ჩეხო-სლოვაკიისათვის, არაა გაუქმებული და მას მხოლოთ განზრახვა აქვს აწარმოოს მოლაპარაკება ამ [illegible] შესახებ.

ბ რ ძ ო ლ ა ჩ ი ნ ე თ შ ი

პეკინში ისმის ზარბაზნების სროლა

პეკინი, 11 აგვისტო. უკანასკნელ დღეებში პეკინში გარკვეულად ისმის ზარბაზნების ხმა. ფიქრობენ, რომ ბრძოლა პეკინიდან 20 ვერსის მანძილის მოშორებით სწარმოებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საერთო მდგომარეობა ჩრდილოეთის ფრონტზე უცვლელია.

პეკინი, 11 აგვისტო. რეპრესიები პრესის წინააღმდეგ კვლავ გრძელდება. ლინ-ბეიშუან (გაზეთის რედაქტორი) სიკვდილით დასჯის შემდეგ დაიკეტა მსხვილი გაზეთები.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის მთავრობა ხუცებს იცავს

ლონდონი, 11 აგვისტო. ინგლისის მთავრობა, ემყარებოდა და ინგლის-მექსიკის ხელშეკრულებას, უცხადებს მექსიკის მთავრობას, რომ დაუშვებელია მექსიკაში მყოფ ინგლისის მოქალაქეთა და ინგლისის ეკლესიების ქონების კონფისკაცია.

ინგლისის გავლენა

პარიზი, 11 აგვისტო. იტალია-ესპანეთის შეთანხმების გამო „ეხო-დე-პარი“ სწერს:

ინგლისი, რომელიც კეთილ განწყობილად ეპყრობა იტალია-ესპანეთის შეთანხმებას, შემთხვევას არ უშვებს ცოტა რამ მაინც წაგლიჯოს. იტალიამ წარუდგინა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ნოტა ტანჟერის მართველობის შესახებ. სამინისტრომ აუთქვა მისი დაცვა პარიზში, ინგლისის გავლენა იტალია-ესპანეთზე უზრუნველყოფს ინგლისის თვალთახედვის გამარჯვებას აბესინიაში გავლენის სფეროს განაწილებაში.

რემედასის კამპანიის შედეგები

ანგორა, 11 აგვისტო. პალესტინიდან იტყობინებიან, რომ რემედასის კამპანიას შედეგათ მოყვა კომუნისტების განთავისუფლება, რომლებიც დატყვევებული იყვნენ პირველ მაისობის დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის და მისჯილი ქონდათ 6 თვით საკატორღო სამუშაო.

დახმარება ინგლისის სამთა-მადნო მუშებს

ბერლინი, 11 აგვისტო. ამსტერდამიდან მიღებული ცნობით—ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომმა ინგლისის ტრედუნიონთა კონგრესის თხოვნით მისწერა ინტერნაციონალში შემავალ ყველა ორგანიზაციებს მოაწყონ ინგლისის სამთა-მადნო მუშებისათვის დახმარების შეგროვების საქმე.

ახალი საქმე რაკოშის წინაალმდეგ

ვენა, 12 აგვისტო. ბუდაპეშტის პროკურატურა ამზადებს ახალ საბრალმდებლო აქტს რაკოშის წინაალმდეგ მისი მოქმედების გამო ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისრად ყოფნის დროს. მის წინაალმდეგ ბრალდება განისაზღვრება 100 დანაშაულობით.

გაზეთების ცნობით პროცესი უნდა დაიწყოს ენკენისთვეში.

მექსიკის პოლიციის შეტაკება კათოლიკებთან

ბერლინი, 12 აგვისტო. ეპისკოპოსი ციხნერესი თავის წერილში იტყობინება, რომ სუსაიოში მექსიკის პოლიციასა და კათოლიკებს შორის მომხდარ შეტაკების დროს მოკლულია 40 და დაჭრილია ბევრი. შეტაკება მოხდა პოლიციის მიერ ეკლესიის დაკავების დროს. დატყვევებულთა რიცხვიდან 14 სიკვდილით დასაჯეს სამხედრო სასამართლოს განაჩენით. წერილში ნათქვამია: ასეთივე სასჯელს ქონდა ადგილი კრაპუატოში.

ახალი კონფერენცია

ბერლინი, 12 აგვისტო. „დეილი ჰერალდის“ ცნობით, ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს მომავალ კვირაში მოიწვიოს სამთა-მადნო მუშებისა და მაღაროს მეპატრონეთა ახალი კონფერენცია.

არ ცხრებიან

ბერლინი, 12 აგვისტო. ინგლისის ეპისკოპოსები აცხადებენ, რომ მიუხედავად მათი შუამდგომლობის უარყოფისა სამთა-მადნო მუშების მიერ, ისინი მაინც განაგრძობენ მორიგების პოლიტიკას.

გერმანიის კაბინეტის სხდომა

ბერლინი, 12 აგვისტო. დღეს საზაფხულო არდადეგების შემდეგ პირველად შესდგა გერმანიის კაბინეტის სხდომა. გარეშე საქმეთა მინისტრმა შტრეზემანმა ფართოდ გააშუქა პოლიტიკური მდგომარეობა, და განსაკუთრებით შეჩერდა მოლაპარაკებაზე რეინში საოკუპაციო ჯარების შემცირების შესახებ, რომელიც პარიზში სწარმოებდა, აგრეთვე ერთა ლიგის მომავალ სესიაზე.

ინგლისელები ალარ აშენებენ ნავთსადგურს ხაიფში

პალესტინიდან იუწყებიან, რომ ინგლისელებს განზრახული აქვთ შესწყვიტონ ნავთსადგურის აშენება ხაიფში და ამის ნაცვლად მოაწყონ ნავთსადგური სუეცის არხის აღმოსავლეთის ნაპირზე, რათა შექმნან ახალი სტრატეგიული ბაზა სუეცის არხის დასაცავად.

ბრძოლა ჩინეთში
უ-პეი-ფუს ჯარების უწესოებანი

პეკინი, 11 აგვისტო. უ-პეი-ფუს ჯარების ზოგიერთმა ნაწილებმა შეურაცხყვეს ფინ-იუისიანის წინაპართა საფლავები, დაანგრიეს ძეგლები და დათხარეს ხეები საგვარეულო სასაფლაოზე.

მუშაობის განახლება

ლონდონი, 11 აგვისტო. სამხრეთ უელსის ლეიმეინის უდიდეს მაღაროს მუშებმა განაახლეს მუშაობა 7 საათის სამუშაო დღისა და სამუშაო ხელფასის ყველა მუშებისათვის მიღებულ აპრილის მინიმუმის საფუძველზე. ამათ რიცხვში არ შედიან ნარდათ მომუშავეები, რომელთაც ეძლევათ პროცენტული წამატებები 1919 წელში დადგენილი. შეთანხმების ვადა სამ თვეს გრძელდება, ამის შემდეგ ძირითად სამუშაო ხელფასის პროცენტული წამატებები დადგენილი იქნება 1921 წლის შეთანხმების საფუძველზე ე. ი. 14%-ით ნაკლები იქნება აპრილის განაკვეთზე.

შინა ვაჭრობის კომისარიატების თათბირი

მოსკოვი, 12 აგვისტო. 12 აგვისტოს გაიხსნა საბჭოთა კავშირის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ მოწვეული შინა-ვაჭრობის სახ. კომისრების თათბირი პურის კამპანიის საკითხის განსახილველად 1926-27 წელში.

საფრანგეთში

შეტაკება ფაშისტებსა და კომუნისტებს შორის

პარიზი, 12 აგვისტო. ფრანკფურტში „ფოლადის მუზარადის“ ორგანიზაციის წევრის დაკრძალვის დროს მოხდა შეტაკება კომუნისტებსა და ნაციონალისტებს შორის. ერთი კომუნისტი მძიმეთაა დაჭრილი. პოლიცია ჩაერია შეტაკებაში.

სიძვირის მოლოდინში

პარიზი, 12 აგვისტო. ბრიუსელიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ბელგიის ნაციონალური შერეული კომისია 15 აგვისტოდან ადიდებს მუშების ხელფასს 5 პროცენტით პროდუქტების და სხ. საგნების გაძვირების მოლოდინში.

გერმანიის მოთხოვნილება

ბერლინი, 12 აგვისტო. გერმანიის ელჩმა პარიზში ფონ-გეშმა, რეინის ოლქის საოკუპაციო ჯარების შემცირების შესახებ მემორანდუმით მიმართა საფრანგეთის საქმეთა მინისტრს ბრიანს. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ საკავშირო ჯარების რიცხვი რეინის ოლქში ამჟამად 65.000-ია და ამ რიცხვის შემცირება 50.000 ჯარისკაცამდე ლოკარნოში მიცემული დაპირების შესრულება იქნებოდა.

კაპიტალისტების შეთანხმება

ბერლინი, 11 აგვისტო. ლორენის და ლიუქსემბურგის რკინის ქარხნებისა და გერმანიის ფოლადის ტრესტებს შორის მოხდა შეთანხმება, რომლითაც ამ წარმოებებს რკინის შემოტანა შეუძლიათ მხოლოთ ტრესტის საშუალებით. ეს შეთანხმება შესაძლებლობას მისცემს ფოლადის ტრესტს, რომ თავისი ფასები უკარნახოს სამხრეთ-გერმანიას, სადაც დღემდე მას ანგარიში უნდა გაეწია ლორენის და ლიუქსემბურგის ფირმების კონკურენციისათვის.

ერთა ლიგის გარშემო
მწვავე უთანხმოებანი

ბერლინი, 11 აგვისტო. ერთა ლიგის მომავალ სესიის გახსნასთან დაკავშირებით, ერთა ლიგის წრეებთან ახლო მდგომი „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგი“ აღნიშნავს, რომ იმ 55 სახელმწიფოდან, რომელიც ერთა ლიგას ეკუთვნის, ბრაზილია ფორმალურათ გამოვიდა მის შემადგენლობიდან; არგენტინას პირველი სესიის შემდეგ არ მიუღია მონაწილეობა ერთა ლიგის მუშაობაში, ბოლივიას, ჰვატემალას, გონდურას და პერუს ერთა ლიგის უკანასკნელ სესიაზე არ გამოუგზავნიათ თავისი დელეგატები. ერთა ლიგაში მუდმივი ადგილების განაწილების საკითხში გაურკვეველი რჩება ისპანიის შემდეგი დამოკიდებულება მასთან. გაზეთი იტყობინება, რომ ინგლის-საფრანგეთს გადაწყვეტილი აქვთ არავის დაუთმონ მუდმივი ადგილი ერთა ლიგაში, გარდა გერმანიისა. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს — მიუხედავათ მწვავე უთანხმოებისა, გერმანიას არ მოელის არავითარი სერიოზული ხიფათი.

ფინეთი და საბჭოთა კავშირი

ჰელსინგფორსი, 11 აგვისტო. ფინეთის სოც.-დემოკრატიის ორგანო „ფინლიანდიის სოც.-დემოკრატი“ დანაშაულობათ უთვლის ეხლანდელ მთავრობას იმ გარემოებას, რომ მან არ მოიწვია სეიმის საგარეო საქმეთა კომისია ფინეთის პოლიტიკის განსახილველად საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ და ამ ქვეყნებს შორის საგარანტიო ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით. გაზეთი აღნიშნავს, რომ სოც.-დემოკრატიული პრესა დიდი ხანია ურჩევდა ამ კომისიის მოწვევას. დასასრულ გაზეთი სწერს: თვითეულ პიროვნებას შეუძლია აღნიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებმა ვერ მოახერხეს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების მოწესრიგება და ამ საკითხში ვერ გაბედეს დამოუკიდებელი პოზიციის დაჭერა.

აღმოსავლეთში
ოსმალეთი
რეაქციონერების გასამართლება

ანგორა, 12 აგვისტო. დამოუკიდებლობის სასამართლოს წინაშე წარსდგა ფინანსთა ყოფილი მინისტრი ჯავიდ-ბეი. მან განაცხადა, რომ დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ ის იძულებული იყო დამალულიყო, რადგან მოკავშირეთა საოკუპაციო ხელისუფლება დაპატიმრებას აწარმოებდა. შემდეგ ის იძულებული იყო საფრანგეთის გემით გაქცეულიყო მარსელში და როდესაც შვეიცარიაში ჩავიდა ფორმალურად განაცხადა, რომ არავითარ მონაწილეობას არ იღებს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჯავიდმა აღიარა, რომ მას კავშირი არ შეუწყვეტია ტალატ-ფაშასთან და უნიონისტების პროგრამა მასთან ერთად იქნა გამომუშავებული, მაგრამ ამბობს, რომ მონაწილეობა არ მიუღია ყარა-ქემალის პოლიტიკურ კრებებზე.

ეგვიპტე
ნაციონალური პრესის მხილება

პარიზი, 11 აგვისტო. ეგვიპტიდან იტყობინებიან, რომ საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომისიამ მოსთხოვა საგარეო საქმეთა მინისტრს ყველა ის საბუთები, რომლებიც შეეხება იტალია-ეგვიპტის ხელშეკრულებას ჯერაბუბის შესახებ (ოაზისი, რომელიც ძევს ეგვიპტისა და ლიბიას შორის), რომელიც ეგვიპტემ დაუთმო იტალიას ინგლისის ზეგავლენით.

ნაციონალისტური პრესა ამტკიცებს, რომ ყოფილმა პრემიერმა ზივარ-ფაშამ იტალიაში ელჩათ ყოფნის დროს თავის თავზე აიღო ვალდებულება ჯერაბუბას იტალიისადმი დათმობის შესახებ—იტალიის მთავრობამ კი მას სამაგიეროდ აღუთქვა დახმარება მინისტრად გახდომაში. პრესა ამტკიცებს აგრეთვე, რომ ზივარ-ფაშას პრემიერად დანიშვნას ხელი შეუწყო იტალიის მეფემ, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ეგვიპტის მეფეზე.

დემონსტრაცია ეგვიპტის წინაალმდეგ

პარიზი, 11 აგვისტო. კაირადან მიღებული ცნობით—ეგვიპტის ნაციონალისტურ წრეებში მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციათ სთვლიან იმ გარემოებას, რომ ყოფილი პრემიერი ზივარ-ფაშა, ლონდონში ყოფნის დროს, ჩემბერლენმა წარუდგინა მეფეს, რომელმაც ის სალამოზე მიიპატიჟა; და აგრეთვე ზივარ-ფაშას მიღებას ერთ-ერთ ყველაზე უფრო არისტოკრატულ კლუბის წევრათ.

საბჭოთა კავშირში
რუსეთი

კულტურული კავშირი უცხოეთთან

მოსკოვი, 12 აგვისტო. კულტურულ კავშირის სრულიად საკავშირო საზოგადოებამ წერილი მიიღო ჩეხო-სლოვაკიიდან, რომლითაც საზოგადოებას სთხოვენ დახმარება გაუწიონ ზოგიერთ თანამედროვე რუს მწერლის გადათარგმნას; ჩეხო-სლოვაკურ ენაზე პირველ რიგში უნდა გადაითარგმნოს: სეიფულინას, მალაშკინას, ესენინის, ლარისა რეისნერის, ბაბელის და სხვების ნაწერები.

გერმანიის მუშათა დელეგაცია

მოსკოვი, 12 აგვისტო. 10 აგვისტოს ბუხარინი ესტუმრა მოსკოვში მყოფ გერმანიის მეორე დელეგაციას. დელეგაციის წევრებმა მისცეს მრავალი პოლიტიკური შეკითხვები, რომლებზედაც ამხ. ბუხარინი პასუხს აძლევდა მთელი სამი საათის განმავლობაში.

ბუხარინის საბოლოო პასუხმა ხანგრძლივი ტაში გამოიწვია.

დედამიწის ირგვლივ მოტოციკლეტზე

ირკუტსკი, 12 აგვისტო. ჩამოვიდნენ ფრანგი მოტოციკლეტისტები სეჭსე და ანდრიე, რომელნიც დედამიწის ირგვლივ მოგზაურობენ. სპორტსმენები მიდიან ჩიტასკენ და შემდეგ ამურზე.

კანონების კრებული

მოსკოვი, 12 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობა შეუდგა საბჭოთა კავშირში მოქმედ კანონთა სისტემატიური კრებულების შედგენას, მის გამოსაცემათ. ეს იქნება პირველი ნაბიჯი საკავშირო კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და შეკრების საქმეში. ჯერჯერობით გამოცემულია კანონთა 4 კრებული, რომელნიც ეხებიან კავშირის პოლიტიკურ და სამეურნეო წყობილებასაც, კულტურულ აღმშენებლობას და მმართველობის სისტემას. სწარმოებს მუშაობა უკანასკნელ წიგნის შესადგენად, რომელიც გააერთიანებს ფინანსიურ კანონმდებლობას. ამის შემდეგ შეუდგებიან მომქმედ კანონების დამატებათა ნახევარ-წლიურ კრებულების გამოცემას.

სახელმწიფო წარმოებათა განთავისუფლება სასამართლოს გადასახადებისაგან

მოსკოვი, 12 აგვისტო. საერთო სახელმწიფოებრივ საშუალებებზე მყოფი და სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი წარმოებანი და აგრეთვე კომუნალური წარმოებანი განთავისუფლებული არიან სასამართლოს ყოველგვარ გადასახადისაგან.

გერმანიის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში

გერმანიის დელეგაციის გამგზავრება

მოსკოვი, 12 აგვისტო. დღეს გერმანიის დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვიდან. დელეგაცია გაიყო სამ ჯგუფად.

პირველი ჯგუფი შემოიარს ურალსა და ციმბირს, მეორე დაათვალიერებს ხარკოვს, პოლტავას, ყირიმს, ოდესას და სხვა ქალაქებს. მესამე ჯგუფი გაემგზავრა ნიჟნი-ნოვგოროდში, იქიდან წავა ასტრახანში, შემდეგ ინახულებს კავკასიას და შავი ზღვის ნაპირებს. ამ ჯგუფში იქნება დელეგაციის თავმჯდომარე კერბერი.

გერმანიის დელეგაცია ამხ. რიკოვთან

მოსკოვი, 12 აგვისტო. 11 აგვისტოს გერმანიის დელეგაცია მიიღო ამხ. რიკოვმა, რომელმაც თავის საუბარში გააშუქა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრება.

საუბრის ბოლოს დელეგაციის თავმჯდომარემ კერბერმა ულრმესი მადლობა გამოუცხადა რიკოვს მიღებისთვის და სხვადასხვა საკითხების გაშუქებისთვის. დელეგაციის სახელით მან აღუთქვა ფართოდ გააცნოს საბჭოთა კავშირის მდგომარეობა გერმანიის მუშებს და აღნიშნა, რომ ეს იქნება ობიექტიური გაშუქება ფაქტების გადაუმახინჯებლად.

გერმანიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარის კერმერის განცხადება

მოსკოვი, 12 აგვისტო. გერმანიის მუშათა დელეგაციის მოსკოვიდან გასვლის წინ, მის თავმჯდომარეს კერბერს შეეკითხა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელი, თუ როგორ უყურებენ გერმანიაში დელეგაციის საბჭოთა კავშირში ყოფნას.—კერბერმა განაცხადა: „დელეგაციამ მოათავსა „როტე ფანეში“ მოხსენება საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ. ამ მოხსენების გამო (გვარი დამახინჯებულია) მოათავსა ოფიციალური განცხადება, რომ დელეგაციის თავმჯდომარე კერბერი ბოლშევიკური პროპაგანდის განკარგულებაშიაო.

გერმანიის დელეგაციამ დაათვალიერა მოსკოვი და ლენინგრადი და იქ ნახულმა ფაქტებმა დაარწმუნა ის იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება და პროფკავშირები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ გააუმჯობესონ მუშათა კლასის მდგომარეობა.

თავის შთაბეჭდილებებსა და დასკვნებს საბჭოთა კავშირში ნახულის შესახებ დელეგაცია დასწერს დაწვრილებითი მოხსენებას და წარუდგენს საბჭოთა ხელისუფლებას.

საკავშირო თათბირი მებამბეობის შესახებ

მოსკოვი, 12 აგვისტო. საკავშირო თათბირზე მებამბეობის შესახებ გურევიჩმა თავის მოხსენებაში მომავალი კამპანიისა და ბამბის მოსავლის რეალიზაციის შესახებ განაცხადა, რომ მიმდინარე წელში მრავალგვარ დამაბრკოლებელი პირობების გამო, რომელიც თან სდევდა თესვის კამპანიას, შეგროვდა მხოლოდ 9.200.000—9.400.000 ფუთამდე ბამბა გასული წლის 9.643.000 ფ. ნაცვლად. მომხსენებელი წინადადებას იძლევა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მთელი მოსავლის შეგროვებას, რომ არ ჩაუვარდეს ის ხელში კერძო ვაჭრებს. კერძო კაპიტალის ჩამოშორება მებამბეობის დარგიდან შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მებამბეობის ორგანიზაციები დაიწყებენ გეგმიან მუშაობას, მიაწოდებენ წვრილ ფაბრიკებს, სახელმწიფო და კერძო საქსოვ სამრეწველოებს საჭირო ბამბას. ბამბის თესვის ზრდასთან ერთად ჩვენში იზრდება ზეთის წარმოებაც. უცხოეთის ბაზარზე 1923-24 წელში შუა აზიიდან გამოიტანეს 70.000 ფ. ბამბის ზეთი; 1924-25 წელში—800.000 ფუთი; 1925-26 წელში 1.600.000 ფუთი. ნაწილი ამ ზეთისა გადადებულია საზღვარ-გარეთ გასაზიდათ და ორი გემი 140.000 ფუთით დატვირთული უკვე გაგზავნილია.

აქსელროდის მოხსენებაში აღნიშნულია მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებიან შუა აზიის მებამბენი. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე ბამბის რაიონებში იაფი პურის შეზიდვის უდიდესი მნიშვნელობა.

შუა აზიის გლეხობის 60 პროც. სრულებით არ მოჰყავს პური და მთელი წლის განმავლობაში ნაყიდი პური იკვებება. გლეხობის უდიდესი ნაწილი უზრუნველყოფილია საკუთარ პურით მხოლოდ სამი თვით წელიწადში. პურის უქონლობა და სიძვირე დიდ გავლენას ახდენს დეჰკანების (გლეხების) მეურნეობის უდიდეს ნაწილზე.

შუა აზიის სხვა მტკივნეულ საკითხებს შორის, რომელნიც ითხოვენ გადაჭრას, პირველ რიგში უნდა იქნეს დასმული ბამბის ნათესების გაფართოების საკითხი.

მოსკოვი, 12 აგვისტო. სრულიად საკავშირო მებამბეობის მე-7 თათბირი დასრულდა. მებამბეობის მთავარ კომიტეტის მოხსენების გამო თათბირმა აღნიშნა, რომ წარსული წლის მოსავლის რეალიზაციის კამპანია ჩატარდა მეტად მძიმე პირობებში: ადგილი ჰქონდა საშუალებათა მოწოდების დამტკიცებას. მებამბეობის რაიონებში პურის ფასები მაღალი იყო და სხვ.

უკეთებს რა ჯამს მიმდინარე წლის ბამბის თესვის კამპანიის შედეგებს, თათბირი აღნიშნავს, რომ იგი მეტად არა ხელსაყრელ პირობებში ჩატარდა: მებამბეობის რაიონში წყლის ნაკლებობის და ცუდის ამინდის გამო. ასე, რომ მიმდინარე წელს დათესილი არე ძალიან უმნიშვნელოთ გაიზარდა შარშანდელთან შედარებით და წინა თათბირის მიერ გათვალისწინებული თესვის კამპანიის გეგმა შეუსრულებელი დარჩა. საჭიროა ძალიან ფრთხილად შევაფასოთ ბამბის მოსავალი; რათა საფეიქრო მრეწველობას შუა წელიწადში არ მოუხდეს თავისი გეგმების გადასინჯვა.

მიიღო რა მხედველობაში მიმდინარე წლის არასასიამოვნო პირობები, თათბირმა მხარი დაუჭირა ნედლი ბამბის ფასების დაკლებას. ბამბის კამპანიის წარმატებით გატარების უმთავრეს არსებათ თათბირი სთვლის—პურის და თანხების თავის დროზე მიწოდებას. თათბირმა დაავალა მებამბეობის მთავარ კომიტეტს მიიღოს დაუყოვნებელი ზომები შუა აზიაში პურის ფასების მოსაწესრიგებლად.

კოოპერაციასთან ურთიერთ დამოკიდებულების საკითხში თათბირმა აღიარა, რომ მებამბეობის კოოპერაცია ახლო მომავალში იქნას გამოყოფილი საერთო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციიდან. იგი უნდა განვამტკიცოთ მუშაკთა სათანადო კადრით. იგი მაქსიმალურად უნდა ჩაებას მებამბეობის კომიტეტის მუშაობაში.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა
კაპიტალის შემოტევა პოლონეთში

თუ პოლონეთის მუშათა მასებს ნაწილს სჯეროდა, რომ პილსუდსკის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების ჩაგდება ხელში გააუმჯობესებდა მათ მდგომარეობას, დიდი დრო არ დარჩა საჭირო იმისათვის, რომ ეს ილიუზიები გამქრალიყო.

25 ივნისს ვარშავაში შესდგა პოლონეთის მრეწველობის, სამთო საქმის, ვაჭრობისა და ფინანსების ცენტრალურ საბჭოს პლენუმის სხდომა, რომელსაც ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი კვიატკოვსკიც დაესწრო.

საბჭოს წევრებმა შემდეგი მოთხოვნილებები წაუყენეს მინისტრს:

1) კაპიტალისათვის უნდა შეიქნას მოგების მიღების პირობები; 2) უნდა გაუქმდეს სოციალური კანონმდებლობა, კერძოთ კი—სოციალური დაზღვევა და ფასიანი შვებულებები; 3) ნებადართული უნდა იქნეს საქონლის ფასების თავისუფლად გადიდება; 4) გადიდებული უნდა იქნეს საბაჟო ტარიფები შემოსატან საქონელზე; 5) ნებადართული უნდა იქნეს ვალიუტით თავისუფალი ვაჭრობა; 6) მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ტრესტებისა და კარტელების შექმნას.

პოლონეთის მსხვილი კაპიტალის ეს პროგრამა არ არის ახალი. მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ კრებაზე დამსწრე მინისტრმა, ერთი სიტყვითაც არ გაილაშქრა წამოყენებული მოთხოვნილებების წინააღმდეგ.

უფრო შორს მიდიან თავის მოთხოვნილებებში ქვანახშირის მაღაროების პატრონები. მათ მოსთხოვეს მთავრობას 8 საათის სამუშაო დღის გაუქმება. მიწის ზევით მომუშავეებისათვის შემოღებულ უნდა იქნეს 10 საათის სამუშაო დღე, მიწის ქვეშ მომუშავეთათვის კი—12. ეს არის ე. წ. „ეფექტიური შრომის“ საათები, ე. ი. მასში არ შედის ის დრო, რომელსაც მუშა ანდომებს მოსამზადებელ მუშაობას და რაც დაახლოებით ორ საათს შეადგენს. შემდეგ, მაღაროს პატრონები მოითხოვენ, რომ მთავრობამ გაანთავისუფლოს ისინი საშემოსავლო და ქონებაზე დაწესებული გადასახადიდან; 34%-ით გაადიდოს რკინისგზებისათვის მიწოდებული ნახშირის ფასი; შვებულების ვადა 14 დღიდან 6-დი უნდა იქნეს შემცირებული, ისიც იმ პირობით, რომ ამ 6 დღის (თანდათანობით, მთელი წლის განმავლობაში) უფასო მუშაობით აანაზღაურებს შვებულებაში წასული მუშა.

დაბოლოს, მაღაროს პატრონები მოითხოვენ საავადმყოფო კასების შესახებ არსებული კანონის შეცვლას.

მაღაროს პატრონებმა არ დაუცადეს საკანონმდებლო გზით 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებას და თვითონ გააუქმეს იგი. დომბროვის რაიონის თითქმის ყველა მაღაროებში შემოღებულია 10 საათის სამუშაო დღე, როცა შრომის ინსპექციამ სამუშაო დღის გადიდებისათვის პასუხისგებაში მისცა ერთ-ერთი უდიდესი მაღაროს დირექტორი, სასამართლომ გაამართლა იგი. სასამართლომ თავისი განაჩენი დაასაბუთა იმით, რომ ბრალდებული მოქმედებდა „პატრიოტული მოსაზრებებით“, ვინაიდან „სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვის წყალობით მსოფლიო ნახშირის ბაზარზე შექმნილი ხელსაყრელი კონიუნქტურის გამოყენებას“.

სოციალური დაზღვევისა და სოციალური კანონმდებლობის წინააღმდეგ პოლონეთის კაპიტალი არასოდეს არ აწარმოებდა ისეთ გააფთრებულ იერიშებს, როგორც ახლა.

ამაოთ სცდილობს, გაუბედავათ, შრომის სამინისტრო შრომის კანონმდებლობის დაცვას. მაგრამ მთავრობა მთლიანად მხარს არ უჭერს შრომის სამინისტროს. მრეწველთა მოთხოვნილებებს მისთვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს. არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ახლო ხანში სოციალური კანონმდებლობა საგრძნობათ იქნება შეკვეცილი.

მთავრობისათვის ფართო უფლებების მინიჭების შესახებ სეიმის მიერ მიღებული დადგენილება, შეიცავს მუხლს, რომელიც საშუალებას აძლევს მთავრობას გადასინჯოს სოციალური კანონმდებლობა. არა ნაკლებ საგულისხმოა სეიმის შრომის დაცვის კომისიის მიერ ამ რამდენიმე ხნის წინათ მიღებული დადგენილება. ამ კომისიამ ხმების უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ უახლოესი 10 წლის განმავლობაში არ გაიხსნას საავადმყოფო კასები იმ ადგილებში, სადაც რაიმე მიზეზების გამო ასეთები დღემდი არ არსებობდნენ, ეს დადგენილება არ-

მუშათა კლასის უფლებებზე შემოტევის დროს კაპიტალი მოხერხებულათ სარგებლობს იმ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფება პროლეტარიატი. უმუშევრობა საშუალებას არ აძლევს პროლეტარიატს ორგანიზაციული წინააღმდეგობა გაუწიოს კაპიტალს. უმუშევართა რიცხვი 300.000 აღემატება. აქედან მხოლოდ 130.000 კაცი იღებს უმნიშვნელო დახმარებას. დანარჩენები სიმშილით იხოცებიან ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. შიმშილობის ნიადაგზე თვითმკვლელობის შემთხვევებმა მასიური ხასიათი მიიღო.

უმუშევართა დამშეული არმია საუცხოვო ობიექტია ექსპლოატაციისათვის. ამ ექსპლოატაციის არაჩვეულებრივათ საშინელ ფორმებს, პოლონელ მრეწველობის უსაზღვრო ცინიზმს ნაწილობრივ ხდის ფარდას პოლონეთის ფეიქართა კავშირის ზავერცის განყოფილების წერილი, რომელიც რადიკალურ გაზეთებში გამოქვეყნდა.

წერილში ვკითხულობთ:

„ბ. ტ. ბერნდტის და კომპ. ფაბრიკაში, ზავერცეში, 250 კაცი მუშაობს. კვალიფიციური მუშების ხელფასი შეადგენს 1,30 ზლოტს (27 კაპ.), არაკვალიფიკაციურის კი—0,50 ზლოტს (10 კაპ.) დღეში. მოზარდები და ქალები არავითარ შრომის ხელფასს არ იღებენ მუშაობის პირველი სამი კვირის განმავლობაში. ამ ფაბრიკის მუშები იძულებული არიან იმუშაონ 16—16 საათი, რომ შიმშილით არ დაიხოცონ“.

სხვული კანონის აშკარა დარღვევაა.

ე-ტყის სახერხ ქარხანაში ტრანსპორტის სამერად არის განაწილებული სარყავ რაიონებში—

ა.-კ. ფედერაციაში
აზერბეიჯანი

გადასახლების გეგმა

ბაქო, 12 აგვისტო. სახ. საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციამ განიხილა მიწად-მოქმედების სახ. კომ. მიერ წარდგენილი გადასახლების საორიენტაციო გეგმა მახლობელ ათი წლისათვის. გეგმაში გათვალისწინებულია აზერბეიჯანის დიდი ველების, უმთავრესად სალიანის, მუღანლოს, მილის და შირვანის რაიონების დასახლება.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ბაქო, 12 აგვისტო. კამპანიის დაწყებიდან 1 აგვისტომდე აზერბეიჯანის რესპუბლიკაში შეგროვილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 90 პროც. წარსული წლის ნარჩენებიდან შეგროვილია —277.936 მანეთი.

სპორტი

ბაქო, 12 აგვისტო. სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკამ მიიწვია დონბასის სამთამადნო მუშა-სპორტსმენები. 25 აგვისტოს მოელიან ფეხბურთელთა გუნდების ჩამოსვლას.

ზაქათალა

კოოპერატიული თათბირი

ზაქათალა, 12 აგვისტო. ზაქათალაში შესდგა სამომხმარებლო კოოპერატივების გამგეობათა და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეების თათბირი. ზოგიერთი კოოპერატივების დიდ მიღწევებთან ერთად თათბირმა აღნიშნა აგრეთვე ნაკლიც; ასე მაგ.: მოსახლეობის ნაკლები პროცენტის ჩაბმა კოოპერაციაში, ანგარიშთ-წარმოების სუსტად დაყენება ზოგიერთ სოფლის კოოპერატივებში და სხ.

თათბირმა საჭიროდ სცნო „აზნევთის“ განყოფილების მოწყობა ზაქათალის მაზრაში.

თბ. ალმასკომის პლენუმი

თბილისის ალმასკომის პლენუმმა საჭიროდ სცნო ახალი წყალსადენის გამოყვანა და კვლევა-ძიებისათვის გადასდო 220.000 მანეთი.

პლენუმმა მიიღო ბინის ქირის ახალი პროექტი.

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის აღმასკომის მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგში დასმული იყო ორი მნიშვნელოვანი საკითხი—მოხსენებები: 1) ახალ წყალსადენზე და 2) ახალი საბინაო ქირის შესახებ.

ახალი წყალსადენი
(მომხსენებელი ინჟ. დიასამიძე)

ინჟ. დიასამიძე მოხსენების შესავალში ეხება იმ მიზეზებს, რომელთაც აუცილებელი გახადეს საკითხის დასმა ახალი წყალსადენის გამოყვანის შესახებ. მთავარი მიზეზთაგანი არის ის გარემოება, რომ არსებული წყალსადენი უკვე ვერ აკმაყოფილებს ზრდის პროცესში მყოფ ქალაქის მოთხოვნილებას. შესაძლებელი იყო არსებული წყალსადენის გაფართოება ერთი მაგისტრალის მომატებით, მაგრამ ეს იმდენი ჯდება, რომ არსებული სისტემის გაფართოებისათვის საჭირო თანხაზე მცირე თანხის დამატებით შესაძლებელია ახალი წყალსადენის გამოყვანა. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი, როცა იგი შეუდგა წინასწარ მუშაობას საწყალსადენო წყაროების გამოსაძებნად. კვლევა-ძიებისათვის საგანგებოდ დანიშნულმა კომისიამ შეჩერდა ორ მთავარ წყაროზე—რომელნიც არაგვის ხეობაში მდებარეობენ--ნატახტარის და ბულაჩაურის წყაროებზე. როგორც ერთს, ისე მეორე წყაროს აქვთ თავისი ღირსება და აგრეთვე ნაკლოვანებანიც. ნატახტარის წყარო, რომელიც თბილისზე უფრო დაახლოვებულია, მდებარეობს ქალაქის ქვედა რეზერვუარებზე 8 საჟენით მაღლა, რაც საშუალებას იძლევა წყალი წამოყვანილ იქნეს თვითმდინარებით ქვედა რეზერვუარებში, ხოლო ზედა რეზერვუარებისათვის საჭირო გახდება წყლის გადაქაჩვა; ამ ვარიანტით წყალსადენის გამოყვანა დაჯდება დაახლოვებით 4 მილიონი მან.

ბულაჩაურის წყაროები უფრო დაშორებულია ქალაქს, წყლის დებეტიც ნაკლებია. უპირატესობა ის არის, რომ მისი მდებარეობა უფრო მაღალია (34 საჟენით მაღლა მდებარეობს ქალაქის ზედა რეზერვუარებზე). აქედან წყალი წამოვა თვითმდინარებით ქვედა და ზედა რეზერვუარებში და საჭირო არ იქნება საქაჩავი სისტემის მოწყობა. ამ ვარიანტით წყალსადენის გამოყვანა დაჯდება 6.600.000 მანეთი. როგორც ნატახტარის, ისე ბულაჩაურის წყაროების წყალი სავსებით დააკმაყოფილებს ქალაქის საჭიროებას მომავალში. პირველი ვარიანტით გამოყვანილი წყალსადენი ქალაქს ყოველ 100 ვედრო წყალს მიაწვდის 1,5 კაპიკათ, ხოლო მეორე ვარიანტი მოეწყობა 2 კაპიკათ (ამ ჟამად თვითეული 100 ვედრო წყალი ღირს 35 კაპიკი).

უკანასკნელ დრომდე სწარმოებდა ორივე წყაროებზე სისტემატიური დაკვირვება და ნიადაგის გეოლოგიური გამოკვლევა. გამოკვლევის გასაგრძელებლად, მის საბოლოო დასამთავრებლად და ვარიანტის ამოსარჩევად საჭიროა კიდევ 220.880 მანეთი.

პლენუმმა საჭიროთ აღიარა კვლევა-ძიების დამთავრება და დაამტკიცა აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება ზემოხსენებული თანხის გაღების შესახებ.

ბინის ახალი ქირა
(მომხსენებელი ამხ. ბაბუნაშვილი)

ამხ. ბაბუნაშვილი, ვიდრე პლენუმს გააცნობდა ბინის ახალ ტარიფის პროექტს, შეეხო იმ მიზეზებს, რომელმაც აუცილებელი გახადა ბინის ქირის გადიდება.

მომხსენებლის აზრით ბინის არსებული ტარიფი იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელს ხდის სახლის მეურნეობის ელემენტარულ მოვლას; სახლის შემოსავალი უმრავლეს შემთხვევაში ვერ ჰფარავს გასავალს, რის გამოც სახლის მმართველობა და კერძო მეპატრონეებიც მოკლებულნი არიან საშუალებას იზრუნონ სახლის შეკეთებაზე,—სახლების ნგრევისაგან დაცვაზე, ამის გამო შენობათა დიდი ნაწილი ფუჭდება, იირანდება: დღითი-დღე კლებულობს საბინაო-საცხოვრებელი ფონდი.

ეს გარემოება არის მთავარი მიზეზი, რომ დაისვა საკითხი ბინის ქირის მომატების შესახებ. ბინის ქირა დიდდება გადამხდელთა ყველა ჯგუფებისათვის საშუალოდ 40—50 პროცენტით. შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით აცნობს პლენუმს ბინის ქირის ახალ პროექტს, რომელიც მოკლეთ უკვე მოთავსებული იყო ჩვენი გაზეთის 8 აგვისტოს №—179-ში.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ორატორები ეთანხმებოდნენ მომხსენებელს ბინის ქირის მომატებაში; მხოლოდ ალაგ-ალაგ საჭიროდ სცნობდნენ შესწორებების შეტანას. მაგალითად, ზოგიერთ ამხანაგებს დიდათ მიაჩნიათ შინა-მრეწველებისა და ხელოსნებისათვის დაწესებული ქირა (არა ნაკლებ 11 კაპიკისა და არა უმეტეს 48 კაპიკისა კვად. არშინზე), რადგან მათი აზრით ხელოსნების ხელფასი მეტად განსაზღვრულია და უმრავლეს შემთხვევაში არ აღემატება 70—80 მანეთს. ორატორებს კანონიერათ მიაჩნიათ შინამრეწველთა და ხელოსნებისათვის ბინის ქირა დაწესდეს შემოსავალთან შეფარდებით.

პროექტის მეორე მთავარ ნაკლოვანებად ალმასკომის ზოგიერთ წევრებს მიაჩნიათ ქირის გამოანგარიშების რთული სისტემა. მათი აზრით ქირის გამოსაანგარიშებლად სახლის მმართველობამ უნდა დაიქირავოს ბუხჰალტერი თუ არა მოანგარიშე მაინც.

საერთოდ კი პროექტი ყველა წევრებს დროულად და მიზანშეწონილად მიაჩნიათ.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა უცვლელად დაამტკიცა ბინის ქირის შესახებ წარმოდგენილი პროექტი და ამავე დროს დაადგინა გამოცემულ იქნეს ბინის ახალი ტარიფის განმარტების ფურცელი.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ბოლშევიკურ ცეკას ხაზი სწორია
(ახალ-სენაკის ორგანიზაცია)

საქ. კომ. პარტიის სენაკის მაზრკომის გაფართოებულ პლენუმმა მაზრის პარტორგანიზაციის და კომინტერნის კავშირის აქტივთან ერთად მოისმინა რა ცენტრ. კომიტეტის მდივნის, ამხ. მიხა კახიანის მოხსენება საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის და საქ. კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: გაფართოვებული პლენუმი მაზრის აქტივთან ერთად მთლიანად და სავსებით იზიარებს ცეკას პლენუმის მიერ გამოტანილ დადგენილებებს, როგორც საგარეო, ისე საშინაო საკითხებში და იწონებს განსაკუთრებით დადგენილების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება პარტიის მთლიანობის დასაცავად ფრაქციულ მუშაობის წარმოებისათვის ამხ. ზინოვიევის პოლიტბიუროდან მოხსნას. პლენუმი აღნიშნავს თავის განცვიფრებას იმ უმაგალითო მოქმედების გამო, რომელსაც ეწეოდენ ოპოზიციონერები ფრაქციულ მუშაობის სახით და კომინტერნის აპარატის გამოყენებით ის ყალბ პლატფორმის ნიადაგზე, რომელიც სასტიკად დაჰგმო მე-14 პარტყრილობამ. პლენუმს სავსებით სწორად მიაჩნია ჩვენი პარტიის ცეკას მიერ აღებული კურსი სამეურნეო და პოლიტიკურ საკითხებში და მოითხოვს ცენტრალურ კომიტეტისაგან უსასტიკეს ზომების მიღებას გაერთიანებულ ოპოზიციის გამთიშველ მოღვაწეობის წინააღმდეგ გაფართოვებული პლენუმი, როგორც გამომხატველი სენაკის მაზრის პარტორგანიზაციის აზრის, აცხადებს, რომ ის მომავალშიაც მხარს დაუჭერს ცენტრალურ კომიტეტს ყოველგვარ მავნე გადახრებთან ბრძოლაში.

გაუმარჯოს ლენინურ პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ მთლიანობას.

გაუმარჯოს საქ. კომ. პარტიის მებრძოლ შტაბს—ცენტრალურ კომიტეტს.

გეგმიანი მუშაობა
(სიღნაღის მ.)

ქვემო მაჩხაანის თემკომში შედის 7 კომუჯრედი. წარსულში თემკომის მუშაობა მოისუსტებდა, ამჟამად მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია.

პარტუჯრედების სხდომები ეწყობა სისტემატიურად. სხდომებს თითქმის ყველანი ესწრებიან. თუმცაღა კრებაზე არ დასწრებისა არის შემთხვევები, მაგრამ ეს აიხსნება გაცხოველებული სასოფლო-სამ. მუშაობით.

კომუჯრედიდან გამოყოფილია ბიუროები, მათი მუშაობაც ამ ბოლო დროს გამოცოცხლდა, ხშირად აწყობენ სხდომებს და ამუშავებენ უჯრედებისთვის საკითხებს. ბიუროს წევრთა შორის მუშაობა განაწილებულია; თანახმად მაზრკომის გეგმისა გამომუშავებულია უჯრედებში პარტმუშაობის გეგმა. თემკომის წევრები მიმაგრებული არიან უჯრედებზე და აძლევენ ბიუროებს ახსნა-განმარტებას ამა თუ იმ საკითხების გადაწყვეტის დროს.

თვით თემკომსაც აქვს გამომუშავებული 3 თვიანი გეგმა. თემკომის წევრები ხშირად ესწრებიან უჯრედების სხდომებს. თემკომის ხელმძღვანელობითვე ეწყობა უჯრედების ღია კრებები სადაც ესწრება უპარტიო გლეხები, რომელნიც ცხოველ მონაწილეობას ღებულობენ მსჯელობაში და საკითხების გარჩევაში.

პარტაღმზრდელობითი მუშაობა უჯრედებში და კომკავშირში წარმატებით მიმდინარეობს.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომ სოფლად საბჭოები ნაკლებად იკრიბება და დადგენილებებსაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, თემკომს აქვს მიღებული ზომები ფრაქციის საშუალებით ეს ნაკლი გამოასწოროს; ამასთან ერთად ქვემო მაჩხაანში კვირაობით ხდება ბაზრობა. ხალხი მოწყვეტილია ამ დღეს საბჭოს და აღმასკ. მუშაობას. გლეხობას საშუალება არა აქვთ დაესწრონ გაზეთის კითხვას სამკითხველოში. თვით გლეხებიც გამოსთქვამენ სურვილს ბაზრობის სხვა დღისთვის გადატანას. საჭიროა ამას მიექცეს მაზრაღმასკომის ყურადღება.

მ—ნელი.

გურიის კომკავშირი

ამ უკანასკნელ ხნის განმავლობაში გურიის კომკავშირის ორგანიზაციები იზრდებოდა გლეხურ ახალგაზრდობის ხარჯზე; კავშირში უმთავრესად მიღებული იქნა ღარიბი გლეხის შვილები, მოჯამაგირეები, და საშუალო გლეხობის საუკეთესო აქტივი.

სულ ამ მოკლე ხანში მიღებულია 555 წევრი —აქედან 446 ვაჟი, 89 ქალი. სოციალური მდგომარეობით: მუშა 4, მოჯამაგირე 2, ღარიბი გლეხი 439, საშუალო 91, ხელოსანი 11 და სხვები 8.

კომკავშირის ორგანიზაციებში ზოგან ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევას. კომუჯრედები ვერ ხელმძღვანელობენ და ვერ ეწევიან პარტაღმზრდელობითი მუშაობას კომკავშირელებს შორის.

პოლიტგანმანათლებელი მუშაობა თუმცა ჩატარდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი რომელთაც არ გაუვლიათ პოლიტიკური ცოდნა. ოზურგეთში იყო მოწყობილი 9 პოლიტსკოლა, რომელშიაც მეცადინეობდა 243 კომკ. პარტიის მოძრავი სკოლები გაიარა დაახლოვებით 147 კომკავშირელმა. სოფლის პოლიტსკოლები იყო მაზრაში მოწყობილი 31, რომელშიაც მეტად იწერებოდა 668 ამხანაგი. გარდა ამისა იყო მოწყობილი აგრეთვე 34 პოლიტკითხვის ჯგუფები, რომელიც აერთიანებდა 684 კომკავშირელს. წრეების და პოლიტკითხვის მუშაობა მიმდინარეობდა სუსტად მცოდნე ამხანაგების უყოლობისა გამო, თანაც არ მოიპოვებოდა საჭირო ლიტერატურა, რაც ძალიან აბრკოლებდა მეცადინეობას. საერთოდ ამ სასწავლო წლის განმავლობაში ერთიანი პოლიტგანათლების ქსელში ჩაბმული იყო 1767 კომკავშირელი ამ უკანასკნელ ხანებში კომკავშირის საზოგადოებრივი მუშაობა გაიზარდა.

კომკავშირელნი მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ საბჭოების, კოოპერაციის, გლეხკომების და თავისუფალ საზოგადოების მუშაობაში.

იანეთელი.

მუშაობა მოიკოჭლებს
(ლეჩხუმი)

ამჟამად მაზრაში დელეგატ ქალთა ორგანიზაცია 17 თემშია ჩამოყალიბებული. საერთო რიცხვი დელეგატებისა აღწევს 392. ქალთა სადელეგატო პუნქტებზე მიმაგრებულია ორი ორგანიზატორი, რომლებიც მუშაობას ვერ სწვდებიან, რის გამო, დელეგატ ქალთა კრებებზე მეცადინეობა მოისუსტებს. მაზრაში მუშა ქალები არ მოიპოვება და დელეგატ ქალთა შემადგენლობა უმთავრესად ღარიბისი და საშუალო გლეხობისგან არის.

დელეგატ ქალთა შორის ჯერ კიდევ ბევრია წერა-კითხვის უცოდინარი.

საზოგადოებრივ მუშაობაში ქალები სუსტად არიან ჩაბმული.

თუმცა ისინი ღებულობენ მონაწილეობას კოოპერატივებში, გლეხკომებში და სხვაგან, მაგრამ ეს ყოველივე უმნიშვნელო რიცხვს წარმოადგენს.

ნელი.

მუშაობა პოლიტიკურ განათლების დარგში
(თელავის მ.)

ყოველგვარი საკითხები პოლიტგანმანათლებელ დარგში სათანადოთ მუშავდებოდა მაზრკომის საგიტპროპგანყოფილების მიერ და შემდეგ ეგზავნებოდათ შესასრულებლად ადგილობრივ ორგანიზაციებს. აგიტპროპის ხელმძღვანელობით მთელს მაზრაში ჩატარებულ იქნა ყოველგვარი კამპანიები რევოლიუციონური დღესასწაულების შესახებ, რევოლიუციონური კანონიერების და წითელ არმიის შესახებ, ტყის დაცვის შესახებ, გლეხკომების გადარჩევის შესახებ. მე-14 პარტყრილობის რეზოლიუციების შესახებ და სხვ. ჩატარებულია ზოგ უჯრედებში სამი ზოგან კი ოთხი საუბრები მე-14 პარტყრილობის რეზოლიუციების შესასწავლად; საუბრები ჯერ არ არის დამთავრებული, მეცადინეობა გრძელდება.

წინად პარტიულები ნაკლებად კითხულობდენ გაზეთებს, არ აქცევდენ ყურადღებას პარტიულ ცხოვრებას და სხვა. აგიტპროპმა თვითგანვითარებისადმი ინტერესის გამოსაღვიძებლად, ჩაატარა უჯრედებში კამპანია, რამაც საგრძნობი ნაყოფი გამოიღო. დღეს უჯრედები იწერენ გაზეთებს და ერკვევიან პოლიტიკურ საკითხებში, ჩამოყალიბებულია მუშკორ-გლეხკორთა კადრი და სწარმოებს მათ შორის მუშაობა. მთავარ რაიონებში მოწყობილი იქნა გლეხკორთა თათბირები, სადაც ირკვეოდა საინსტრუქციო მოხსენებები, კორესპონდენტების მუშაობის შესახებ.

მაზრაში საკლუბო მუშაობა ვერ არის დაყენებული თავის რიგზე. თელავში არის ერთი პროფკლუბი, რომელიც აერთიანებს 300 წევრს. იქვე არსებობს განათლების მუშაკთა სახლი. ჩამოყალიბებულია უმანიტარული, საბუნებისმეტყველო მხარეთა მეცადინეობის და სხვა წრეები. ჩატარებულია რამოდენიმე ლექცია სხვადასხვა თემებზე.

სოფლად არსებობს 13 კლუბი, მაგრამ საკლუბო მუშაობა მათში არ სწარმოებს. ისინი გამოყენებულია თეატრებად და მუშაობას აწარმოებს დრამწრეები.

გარდა ამისა უმთავრესი ყურადღება მიქცეული იქნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. ქოხსამკითხველოების მუშაობის წინ წაწევას, წითელ კუთხეების მოწყობას და სათანადო ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესებას ამ დარგში.

მთელს მაზრაში გახსნილი იყო 142 ლიკსკოლა, 4 მცირე მცოდნეთათვის. მსმენელთა რაოდენობა იყო 3202, ამათში მამაკაცები 2928, ქალები 274. ეროვნების მიხედვით ქართველები 2312, სომხები 305, თათრები 55, რუსები 5. ამათგან სკოლები დაამთავრა 3.064 კაცმა. ამ ციფრებიდან სჩანს, რომ ქალები ნაკლებად არიან ჩაბმული ლიკსკოლებში.

მაზრაში აგრეთვე ჩამოყალიბებულია 17 ქოხსამკითხველო.

ზოგიერთ ქოხსამკითხველოებთან არსებობს პოლიტიკური, აგრონომიული, სანიტარული, კოოპერატიული, დრამატიული, ლიტერატურული და მომღერალთა წრეები. უმთავრესად ასეთი წრეები მოწყობილია ქალაქში და ზოგიერთ რაიონებში, თემებში ამ მუშაობისათვის ძალები არ მოიპოვება, ამის გამო ქოხსამკითხველოების მუშაობა სოფლად ძოისუსტებს.

კედლის გაზეთები მაზრაში ნაკლებად გამოდის. სულ მაზრაში 14 კედლის გაზეთი გამოდის. ქოხსამკითხველოების მუშაობის გასაუმჯობესებლად აგიტპროპი ხშირად იწვევს გამგეობას და აძლევს მათ სამუშაო გეგმებს, ინსტრუქციებს და ახსნა-განმარტებებს. ასეთმა მეთოდმა უკვე სასურველი ნაყოფი გამოიღო.

დრო გამოშვებით მუშაობის გასაცნობათ და პრაქტიკული ღონისძიებების გამოსამუშავებლად ეწყობა კლუბების და ქოხ-სამკითხველოების გამგეების თათბირი.

სამკითხველოებთან აგრეთვე მოწყობილია ქალთა 14 და 7 სამხედრო წრე.

სამხედრო წრეების მუშაობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. მაზრაში დეზერტირობას ადგილი არა აქვს.

მომავალში საჭიროა ყურადღება მიექცეს ანტირელიგიური პროპაგანდას მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებას. შერჩეული უნდა იქმნენ ამ დარგში სამუშაოდ მომზადებული ამხანაგები, რომელნიც შესძლებენ რელიგიის დაუპირდაპირონ მეცნიერება. საჭიროა აგრეთვე გლეხქალების უფრო მეტი პროცენტის ლიკსკოლებში ჩაბმა.

გლეხი ა—ლი.

სამპარტკომის კომუჯრედში
(ცაგერი ლ. მაზრა)

სამპარტკომის კომუჯრედი აერთიანებს ამჟამად 40-დე წევრს და კანდიდატს. კომუჯრედის შინაპარტიული მუშაობა ამ ბოლო დროს გაცხოველდა. კრებებზე სისტემატიურად არ გამოცხადების ბოლო ეღება.

კომუჯრედის 9 ივლისის სხდომაზე განხილული იქნა უჯრედის მუშაობის 3 თვიური გეგმა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გეგმაში შეტანილ იქნა შესწორებები.

სხდომამ დაადგინა აგრეთვე, რომ თვითეულმა წევრმა და კანდიდატმა გამოიწეროს გაზ. „კომუნისტი“ და ჟურ. „სოფლის კომუნისტი“. ამავე სხდომაზე დადგენილ იქნა, რათა მიღებულ იქნეს ზომები „ავიაქიმის“ უჯრედის დასაარსებლად. რისთვისაც არჩეულ იქნა კომისია. კომუჯრედის კრებამ საჭიროდ სცნო ორი ამხანაგის მიმაგრება ჩხუტელის კომუჯრედზე. ამ ორ ამხანაგს ევალებათ ყოველ კვირა დღეს დაესწრონ სოფ. ჩხუტელის უჯრედის სხდომას და გაუწიონ მას ხელმძღვანელობა. დაბოლოს სხდომამ განიხილა სხვადასხვა საკითხები, რომელზედაც გამოტანილი იქნა შესაფერისი დადგენილება.

მ. ფრუიძე.

კომკავშირის უჯრედების გამოკვლევა აფხაზეთში

ამას წინად აფხაზეთის კომკავშირის ოლქკომის მიერ გამოკვლეული იქნა ბედიის და აჩიგვაროს კომკავშირის უჯრედები.

გამოკვლევიდან აღმოჩნდა, რომ ბედიის კომუჯრედში არავითარი ლიტერატურა არ მოიძებნება მეცადინეობისათვის. პოლიტცოდნის საქმე ცუდათ არის დაყენებული, მეცადინეობა სუსტად მიმდინარეობს. პიონერების ორგანიზაციაში ირიცხება 40 პიონერი, მაგრამ კომკავშირის ხელმძღვანელობა არ სჩანს.

ღარიბ გლეხობაში და მოჯამაგირეებში მუშაობა არ სწარმოებს, ჟურნალ-გაზეთებს არავინ კითხულობს და არც იწერენ. საერთოდ მუშაობა ძალზე მოისუსტებს.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს აჩიგვარის უჯრედის მუშაობა. ამ უჯრედის მუშაობა შედარებით ბედიის უჯრედთან ძალიან ნაყოფიერია,—ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ აჩიგვარის უჯრედი ახლოა ცენტრთან და მეორეს მხრით უჯრედის შემადგენლობაში შედის მეტი კულტურული ძალები, ვიდრე ბედიის უჯრედში.

მიუხედავათ ამისა, ამ უჯრედსაც აქვს რამოდენიმე ნაკლი: დაბალია პოლიტგანვითარების დონე, მოჯამაგირეთა შორის მუშაობა სწარმოებს სუსტად, აგრეთვე სუსტად მიმდინარეობს ახალგაზრდა ქალთა ჩაბმა კომკავშირის მუშაობაში და სხვა.

მომავალში საჭიროა, მიექცეს ყურადღება ამ ნაკლის გამოსწორებას ორივე უჯრედში.

ილი.

ქალთა სადელეგატო კრებები თელავის მაზრაში

მთელს მაზრაში ჩამოყალიბებულია ქალთა სადელეგატო კრებები 26 თემში და სოფელში. ყველა ისინი გარდა ოთხისა, კომუჯრედებთან არსებობენ. გლეხქალთა ლტოლვა პარტიის რიგებისაკენ თანდათანობით იზრდება.

ყველა პუნქტებში გარდა ოთხისა მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად. ოთხ პუნქტზე კი ხელმძღვანელი არ არის და ამიტომ მეცადინეობაც დროგამოშვებით სწარმოებს და ისიც სუსტად მიმდინარეობს.

სადელეგატო კრებებში ირიცხება 602 ქალი; ამათში ქართველი 423, სომეხი 63, დანარჩენი სხვადასხვა ეროვნების (ქისტები, ოსი, რუსი).

დელეგატ ქალები ღებულობენ მონაწილეობას საბჭოთა აღმშენებლობაში, საბჭოებში ირიცხება 121 ქალი, გლეხკომში 32. წერა-კითხვა შეისწავლა 180 ქალმა. სადელეგატო კრებებს ხშირად ბლომად ესწრება არა დელეგატ ქალებიც. მაგალითად იყალთოში 63 გლეხი ქალი ესწრება კრებას.

დროგამოშვებით ეწყობა ქალთა ექსკურსია ერთ სოფლიდან მეორეში.

დელეგატ ქალების პრაქტიკული მუშაობაში ჩაბმა ხდება საბჭოს სექციების საშუალებით, ქალთა აქტივის აღრიცხვა, მათი წამოყენება სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ჯერ-ჯერობით სუსტად სწარმოებს.

ჯოყოლოს თემში გახსნილია ქალებისათვის პროფსკოლა.

ქალები ჩაბმული არიან სხვადასხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობაში: „ავიაქიმიაში“ წევრებად ითვლება 300, „რემედასის“ 300, „წერკუმსის“ 200. კოოპერაციაში ირიცხება 900 წევრი.

ია.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

რისთვის ვღუპავთ 3.000 მანეთს

ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტისათვის (ლენინის ქ. № 49) ჯერ კიდევ 1923 წელში გამოწერილი იქნა რენტგენის უკანასკნელი სისტემის გაუმჯობესებული აპარატები. აპარატები დიდი ხანია მიღებულია, მაგრამ დღემდე არ არის დადგმული და მოწყობილი, მიუხედავად იმისა, რომ შტატი უკვე აყვანილია 1-ლ იანვრიდან. დღემდი უმოქმედოდ აწყვია რამოდენიმე ათი ათასი მანეთები, რატომ? იმიტომ, რომ ფიზიო-თერაპევტიულ ინსტიტუტში არ არის აპარატების დასადგმელი ადგილი. აპარატების მიღებამდე ამ მიზნისათვის ფიქრობდენ ინსტიტუტის შენობის პირველ სართულიდან ექიმ მიხ. ზანდუკელის გამოსახლებას, მაგრამ ზანდუკელი დღესაც იქ სცხოვრობს და რენტგენის აპარატები-კი დაუდგმელი რჩება.

რენტგენის აპარატების მოსაწყობი ფულის (300 მანეთის) ძებნაში—გამოირკვა, რომ რენტგენი უნდა დაიდგას დროებით მეორე სართულში, ხოლო ზანდუკელის გამოსახლების შემდეგ, იგი ჩატანილი იქნება პირველ სართულში, რადგანაც მეორე სართულში სტაციონალურ ავადმყოფთათვის რენტგენი საზიანოა. ისე გამოდის, რომ 3000 მანეთი ეხლა იხარჯება რენტგენის მეორე სართულში დადგმისათვის, ხოლო შემდეგ, პირველ სართულში გადატანას კიდევ ალბად სხვა 3000 მანეთი დასჭირდება. ამ ხარჯების თავიდან ასაცილებლად და რენტგენის აპარატების თავის ადგილზე ეხლავე დადგმისათვის-კი სულ უბრალო რამ არის საჭირო.—გამოსახლდეს ინსტიტუტში მცხოვრები სამნეო ნაწილის გამგე ვ. ჭირაქაძე და მისი ბინა დაეთმოს ექიმ ზანდუკელს, ზანდუკელის ბინა-კი რენტგენის კაბინეტს.

შეიძლება ვინმემ სთქვას—არის თუ არა მიზან-შეწონილი სამნეო ნაწილის გამგის გამოსახლება?—დიახ, არის და აი, რატომ. ინსტიტუტის შტატიდან ეკონომკის თანამდებობის შემოკლებისა და ბინის უქონლობის გამო ფ.-თ. ინსტიტუტის სამზარეულო ა.-წ. აპრილიდან შეუერთეს საბებიაო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტის სამზარეულოს. ასე რომ შესაძლებელი გახდა ერთი სამზარეულოთ ორივე ინსტიტუტების ავადმყოფების გამოკვება. ამის შემდეგ ძნელი აღარ არის, რომ შემოსავალი და გასავალიც ერთ წიგნში გატარდეს, ე. ი. აყვანილ იქნას ორივე ინსტიტუტისათვის ერთი მოანგარიშე, ნაცვლად სამისა; მით უმეტეს, რომ ფიზიო-თერაპევტიულ ინსტიტუტს სურსათ-სანოვაგეს აწვდის ყოველდღიურად არა სამნეო ნაწილის გამგე ჭირაქაძე, არამედ ჯან. სახ. კომისარიატის სპეციალურად გამოყოფილი სამნეო დარგი. გარდა ამისა ყოველგვარ შეკეთებებს ინსტიტუტში აწარმოებს არა სამნეო ნაწილის გამგე, არამედ ჯან. სახ. კომისარიატის ტეხნიკური განყოფილება, ინსტიტუტის ადმინისტრაციის გარეშე. მაშასადამე აღარ არის საჭირო სამნ. ნაწილის გამგეც.

ამავე დროს სამნეო ნაწილის გამგე ჭირაქაძეს აქვს საკუთარი სახლები, სადაც შეუძლიან გადასახლდეს, ხოლო თავისი დღევანდელი ბინა სახალხო სამსახურისათვის რენტგენის კაბინეტს დაუთმოს.

ამ საშუალებით მოიხსნება სამნეო ნაწილის გამგის თანამდებობა და ჯან. სახ. კომისარიატს მიეცემა საშუალება იმომჭირნეოს ეხლავე სამი ათასი მანეთი და ამასთან ყოველთვიურად 70 მანეთი (გამგის ჯამაგირი).

საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ჯანსახ. კომისარიატმა და შესაფერი პრაქტიკული ზომები მიიღოს, სანამ რენტგენის აპარატის დადგმას ჯერ კიდევ არ შესდგომიან.

ჯიმო.

მოძრაობა ფერხდება
(თბილისის სადგური)

თბილისის სადგურის ლიანდაგების სიმცირე და სამანევრო ორთქლმავლების ნაკლებობა აბრკოლებს რკინისგზის ნაყოფიერ მუშაობას.

საქმე შემდეგშია: სადგურზე ითვლება სულ 15 ლიანდაგი. მათ შორის 7 ლიანდაგი დაკავებულია რონოდებით. დანარჩენი კი დატოვებულია მოძრაობისათვის. ხშირი შემთხვევაა, რომ არც ერთი ლიანდაგი არ რჩება თავისუფალი და ეს სწორედ იმ დროს, როდესაც აქ შედგენილი უნდა იქნეს ბაქოსა და ბათომისაკენ მიმავალი სხვადასხვა საქონლის და ამკრეფი მატარებლები.

მატარებლის შემდგენელს საშუალება ესპობა, რომ ნაყოფიერად იმუშაოს, თავის დროზე შეასრულოს დაკისრებული საქმე, რის გამო მატარებლის გასვლა გვიანდება.

უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ ზიანს აყენებს ტრანსპორტს ეს გარემოება; როცა მატარებელი აქედან დაგვიანებით გადის, ცხადია, სადგურ თბილისში მომავალ მატარებელსაც დააგვიანდება. მოვიყვანოთ მაგალითები: № № 193, 317, 319, 321, 398, 192, 203. საერთოდ ამ მატარებლებმა 19 საათზე მეტი დაიგვიანეს.

მატარებლების დაგვიანება იწვევს საორთქლმავლო და კონდუქტორთა ბრიგადების ტყუილ უბრალოდ გაცდენას, სათბობ ძალის უსარგებლოდ დაწვას და სხვა მრავალ გაუმართლებელ ხარჯებს.

ვიანგარიშოთ და გამოვარკვიოთ ეს ხარჯები. თვითეულ მატარებელს საშუალოდ 7 კონდუქტორი ემსახურება, შევაერთოთ ჩამოთვლილ მატარებლების კონდუქტორთა რიცხვი, გადავამრავლოთ დაგვიანებულ საათების რაოდენობით და დიდ ციფრს მივიღებთ, რაც უდრის თვიურად 43 კონდუქტორთა სამუშაო საათებს, ეს არის 29 მაისის ტყუილად გაცდენილი საათების რაოდენობა. აქ მე მოვიყვანე ეს ერთი დღე მხოლოდ მაგალითისათვის. მაგრამ სხვა დღეებშიაც იგივე ხდება.

არის თუ არა აქედან გამოსავალი გზა? რასაკვირველია, არის. თბილისის ჩრდილოეთის პარკში უნდა დაიგოს რამოდენიმე ლიანდაგი, სადაც ჩაყენებული იქნება შესაკეთებელი და უვარგისი რონოდები. ამის შემდეგ სადგურის ლიანდაგები განთავისუფლდება და მატარებლების მოძრაობაც წესიერად იწარმოებს.

ეს კი აგვაცდენს დიდ ზარალს და ზედმეტ ხარჯებს.

ეხლა საჭიროა როგორც პროფორგანომ, ისე ადგილობრივ ადმინისტრაციამ მიიღონ სათანადო ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად.

ის. გოგიბერიძე.

აქაც საჭიროა მომჭირნეობა

ჯომარდობამ (СПОРТ) მაგრათ მოიკიდა ფეხი საქართველოში. მუშაობა ამ დარგში დღითიდღე ფართოვდება. ამასთან ერთად იზრდება საჯომარდო იარაღების შესაძენი ხარჯები.

ხშირად სათანადო ორგანიზაციები საჯომარდო იარაღებს და ხელსაწყოებს იძენენ კერძო მოვაჭრეებიდან, სადაც ამ იარაღებში ზედმეტ ფასებს იხდიან.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ა. კ. ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ და წინადადება მისცა ყველა ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ სასპორტო იარაღების შეძენას, მეტი მომჭირნეობა გამოიჩინონ ამ დარგში. იარაღები უნდა იქმნენ შეძენილი სახელმწიფო ორგანოების სავაჭრო დაწესებულებებიდან კერძოთ კი ფიზკულტურის საბჭოს სავაჭრო სექციებიდან, სადაც ისინი ფასობენ გაცილებით უფრო იაფად, ვიდრე კერძო პირებთან.

პრესა მომჭირნეობის შესახებ
ვინ უნდა ებრძოლოს სიმულიაციას

როგორც ვიცით, სამუშაო დროის გაცდენასთან ბრძოლა ერთ-ერთ უაღრესი მნიშვნელობის ამოცანადაა აღიარებული ჩვენი მრეწველობის განვითარებისათვის. როგორ და რა გზით უნდა ვებრძოლოთ ამ სენს, აი საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად უნდა გვაინტერესებდეს ჩვენ? ამაზე ჩერდება თავის ვრცელ წერილში ამხ. ალ. სოლმაკი („პრავდა“ № 179), რომელიც სწერს:

„რა გზით, რა საშუალებით შეგვიძლია ჩვენ სამუშაო დროის გაცდენის—ჩვენი წარმოების ამ იარის, აღმოფხვრა? არავითარი ბრძოლა დროის გაცდენასთან არ მოგვცემს საჭირო ნაყოფს თუ ამ ბრძოლაში თვით მასა არ იქნა ჩაბმული. აქ ყველაზე მეტ მნიშვნელობის როლს თამაშობს საწარმოო თათბირები, სადაც უნდა ირჩეოდეს და მუშავდებოდეს შრომის დისციპლინის საკითხები.

საწარმოო თათბირები არ უნდა კმაყოფილდებოდნენ სამუშაო დროის გაცდენის ფაქტის აღნიშვნით. ისინი მოვალენი არიან შეისწავლონ ამ მოვლენის მიზეზები და მიიტანონ იერიში მათ წინააღმდეგ, სანამ ეს მიზეზები არ იქნებიან მოსპობილი. მუშები თვით უნდა ღებულობდენ მონაწილეობას შრომის ნაყოფიერების აწევის საშუალებათა გამოძებნაში და სამუშაო დროის გაცდენასთან ბრძოლაში.

ჟელიაბოვის სახელობის (ლენინგრადი) ფაბრიკაში სიმულიაციასთან და დროის გაცდენასთან ბრძოლისათვის გამოყოფილ იქნა ცალკე კომისია. რომლის მუშაობის შედეგებიც მალე გახდა საგრძნობი „ბიულეტენშჩიკების“ რიცხვი შემცირდა 20 პროცენტით, რამდენიმე კაცი გაიგზავნა ექსპერტთა ბიუროში მათი ინვალიდობის ხელმეორედ შესამოწმებლად“.

ამხ. ალ. სოლმაკის შენიშვნები უთუოდ საგულისხმოა. ჩვენ გვაქვს მრავალი მუშათა ორგანიზაციები, რომელთა საშუალებით შეიძლება მუშური საზოგადოებრივი აზრის ამოქმედება სამუშაო საათების, თუ დღეების გაცდენისა და სიმულიაციის წინააღმდეგ. თუ ამ ბრძოლაში უშუალოდ არ ჩაება თვით მუშები, თუ აქ დიდი აქტივობა და ინიციატივა არ გამოიჩინა მუშურმა საზოგადოებრივმა ორგანოებმა, ჩვენ, რა თქმა უნდა, სიმულიაციასთან ბრძოლაში ბევრს ვერაფერს გავაკეთებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკაში

ქუთაისი, 12 აგვისტო. სახელმწიფო თამბაქოს ქარხანაში ქუთაისში, ივლისის თვის განმავლობაში დამზადებულ იქნა 5.854.000 ცალი პაპიროსი, რაც საწარმოო პროგრამას 850.000 პაპიროსით აღემატება. პირველ ოქტომბრიდან ფაბრიკის საწარმოო პროგრამა აყვანილი იქნება 10 მილ. პაპიროსამდე თვიურად. ამასთან დაკავშირებით ორჯერ გადიდებული იქნება მანქანების რიცხვი. მუშების რიცხვი ფაბრიკაში გადიდებული იქნება 40 პროც.

ელექტრო-სადგურის შეკეთება

ქუთაისი, 12 აგვისტო. მექანიკმა შაქრო ყურდღელაშვილმა, რომელიც ქუთაისის ელექტრო-სადგურში 14 წელიწადია მუშაობდა, 80 ძალიანი კერტინგის სისტემის ძრავი შეაკეთა, რაც სადგურის ძალოვნებას 25 პროცენტით ადიდებს. ყურდღელაშვილმა შეაკეთა აგრეთვე 65 ცხენის ძალიანი დინამო.

ქოხ-სამკითხველოების გამგეთა ყრილობა

ქუთაისი, 12 აგვისტო. გაიხსნა ქუთაისის მაზრის ქოხ-სამკითხველოების გამგეთა ყრილობა. ყრილობას ესწრებიან ამხ. რუხაძე და სულუხია—თბილისიდან და ქოხ-სამკითხველოების 55 გამგე ქალ. ქუთაისიდან და მაზრიდან.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებანი ადგილებიდან, 2) მოხსენება ქუთაისის პოლიტ-განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ, 3) მოხსენება საინსტრუქტორო დირექტივების შესახებ და 4) მიმდინარე საქმეები.

თხილის დამზადება

ქუთაისი, 12 აგვისტო. „ცეკავშირის" ქუთაისის განყოფილება შეუდგა 50.000 ფუთი თხილის დამზადებას.

სამთამადნო მუშათა დასახმარებლად

ქუთაისი, 12 აგვისტო. ქუთაისის პროფბიურომ შეკრიბა და გაგზავნა 1.528 მან. და 18 კ. ინგლისის სამთამადნო მუშათა დასახმარებლად. ანარიცხების შეგროვება გრძელდება.

„რემედას"-ის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია.

ქუთაისი, 12 აგვისტო. „რემედას"-ის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია წარმატებით მიმდინარეობს. რაიკომებს და უჯრედებს დაეგზავნათ ცირკულიარები და ინსტრუქციები.

დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში

ქუთაისი, 12 აგვისტო. დამთავრდა ვანის რაიონის მილიციონერის ციო ჩხუნაშვილის საქმის გარჩევა, რომელსაც ბრალდება გაუფრთხილებლობით ნიკოლოზ დვალიშვილის მკვლელობა, სიმთვრალის დროს. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლომ ჩხუნაშვილს მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

კულტმუშაობა

ტყიბული, 12 აგვისტო. მემაღაროეთა კავშირის ცეკას ინიციატივით მემაღაროეთა კლუბთან მოეწყო მომღერალთა წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი მომღერალი სანდრო კავსაძე.

მუშაობა მაღაროებში

ტყიბული, 12 აგვისტო. ძველ მაღაროებში, რომელშიაც დღემდე მუშაობა არ სწარმოებდა, დაიწყო ამობურღვა, რომელმაც კარგი შედეგები მოიტანა.

ამობურღვას აწარმოებს მოსკოვიდან ჩამოსული მუშათა არტელი.

საბინაო ალმშენებლობა

ტყიბული, 12 აგვისტო. საბინაო კრიზისის გამო ცენტრმა, საცხოვრებელი ბინების ასაგებათ გადასდო 400.000 მან.

გზატკეცილების გამოკვლევა

ახალქალაქი, 12 აგვისტო. გზატკეცილების სამმართველოს სპეციალურმა კომისიამ საბჭოთა კავშირის ფინ. სახ. კომისარიატის წარმომადგენელთან ერთად გამოიკვლია გზატკეცილების მდგომარეობა.

აღმოჩნდა, რომ ყველაზედ უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფება ბაკურიან-ახალქალაქის და ახალქალაქ-ბოგდანოვის გზატკეცილი. ეს გზები არ შეკეთებულა 1917 წ. და ამის გამო ზოგ ადგილას სრულიად გამოუსადეგია მიმოსვლისათვის.

გზატკეცილების სამმართველომ მიმდინარე წლის თავის გეგმაში შეიტანა ბაკურიან-ახალქალაქის გზატკეცილების შეკეთება. ახალქალაქ-ბოგდანოვის გზატკეცილი კი შეკეთდება გლეხების საშუალებით საგზაო ბეგარის წესით; ხოლო ტეხნიკურ ხელმძღვანელობას გაუწევს გზატკეცილების სამმართველო.

შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება ბორჯომ-ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილი იმის გამო, რომ ყოველწლივ სწარმოებდა მისი ნაწილობრივი შეკეთება.

გლეხკომების ხელახალი არჩევნების შედეგები

ახალქალაქი, 12 აგვისტო. საბოლოო ცნობების თანახმად გლეხკომების შემადგენლობაში შედის 376 კაცი, აქედან 209—ღარიბი გლეხი და 167 საშუალო შეძლების გლეხი. პარტიული შემადგენლობით—49 კომუნისტი და ახალგ. კომკავშირის წევრი. გლეხკომების შემადგენლობაში არჩეულია 10 ქალი. ამ დღეებში მოწვეული იქნება გლეხკომების სამაზრო კონფერენცია.

მინერალური წყაროები

ახალქალაქი, 12 აგვისტო. მაზრის შემსწავლელმა საზოგადოებამ შეკრიბა დიდძალი მასალა მაზრაში ძვირფას მინერალურ წყაროების შესახებ. მინერალურ წყაროებიდან ყურადღების ღირსია: ხოზაპინის გოგირდიანი წყარო—ბღერის წინაალმდეგ, მრაკვალის-რკინიან-კირიანი, ლოროსტუტუ—მარილიანი, აპნიის, ტუმიკის, პოხლი-ჯემუხის, ალასტანის, ხალდოსის წყაროები. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ წყაროების მოუწყობლობის გამო, ეს წყაროები ავრცელებენ ათასგვარ სნეულებას. ზოგიერთი წყაროები სათანადო მოწყობის შემდეგ ხელს შეუწყობენ ხალხის ჯანმრთელობას.

ამინდი

ახალქალაქი, 12 აგვისტო. 3 კვირაა მაზრაში გვალვა დაიწყო; რაც ცუდ გავლენას ახდენს ნათესებზე.

მძარცველების მოკვლა

თელავი, 12 აგვისტო. სოფელ ხურატანის (თელავის მაზრა) მცხოვრებლებს, როდესაც ისინი მდინარე ალაზნის ახლო, მუშაობდნენ თავს დაესხა ორი შეიარაღებული კაცი, რომლებიც გლეხებმა იცნეს კახეთში ცნობილი მძარცველები. გლეხებმა მოიპატიჟეს ისინი „საზამთროს საჭმელათ", მოულოდნელათ დაესხნენ მათ და ხანჯლებით აკუწეს. მძარცველების გვამები ჩაიტანეს თელავის სამაზრო მილიციაში.

გლეხთა კურორტი

თელავი, 12 აგვისტო. სოფ. ზინობიანში 1925 წელს აღმოჩენილ იქნა რადიო-აქტიური წყაროები.

მიმდინარე წელს ამ ადგილას დადგეს ქვაბები წყლის გასათბობათ. ახლო-მახლო სოფლებიდან სამკურნალოთ ჩამოდის დიდძალი გლეხობა.

მოსავალი

თელავი, 12 აგვისტო. პურის მოსავალი საშუალოზე კარგია ხოლო ზოგიერთ ადგილებში ძლიერ კარგი. ცუდი მოსავალია მხოლოდ იყალთოს რაიონში, სადაც ერთ დესეტინაზე საშუალოდ მოვიდა 25 ფუთი, მაშინ, როდესაც სხვა რაიონებში მოვიდა 80 ფუთი.

ხანძარი

თელავი, 12 აგვისტო. 8 აგვისტოს ღამით სოფ. გულგულაში კალოზე დაიწვა 80 ურემი გაულეწავი პური და ორი სახლის ასაშენებელი მასალა.

ფიქრობენ, რომ ხანძრის მიზეზია—მეზობლის შურისძიება.

შემოწირულების შეგროვება ინგლისის მუშებისათვის

თელავი, 12 აგვისტო. „პროფკავშირელის" დაწყებული კამპანია ინგლისის მემაღაროეთა დასახმარებლად შემოწირულებათა შეგროვებისათვის, წარმატებით მიმდინარეობს. გამოწვევების გზით მხოლოდ თელავში შეგროვილია 300 მანეთამდე.

გვალვა

თელავი, 12 აგვისტო. გვალვამ დააზიანა ვენახის ნერგები.

მავნეები

თელავი, 12 აგვისტო. ალაზნის გაღმა გაჩნდა ერთგვარი სოკოს ხასიათის სნეულება.

იყალთოს, კურდღელაურის რაიონებში მძვინვარებს მცენარეულობათა სხვადასხვა სნეულებანი.

ფიზიკური კაბინეტები

გორი, 12 აგვისტო. ქარელის თემის ალმასკომმა განათლების სახალხო კომისარიატიდან, ადგილობრივ შვიდწლედის საჭიროებისათვის, მიიღო ფიზიკური კაბინეტი.

მიღებულია ზომები მაზრაში სხვა სკოლებისათვისაც ამგვარი კაბინეტების მისაღებათ.

სამაზრო საგადასახადო კომისია

ოზურგეთი, 12 აგვისტო. სამაზრო საგადასახადო კომისია შეუდგა ინტენსიურ მუშაობას სახნავ მიწების, ბაღების, მუშა-საქონლის და სხვა ობიექტების შეფასებას. მუშაობა უნდა დამთავრდეს სექტემბრის ბოლოს.

გრიგალი და ნიაღვარი

გორი, 12 აგვისტო. 2 აგვისტოს გადავლილმა გრიგალმა სრულიად გაანადგურა ნათესები, ხოლო ნიაღვარმა წაიღო ახალ-სოფლის თემის რამდენიმე სოფლის ნათიბები. შექმნილია სპეციალური კომისია ზარალის გამოსარკვევად.

სახალხო აღწერა

ოზურგეთი, 12 აგვისტო. სამაზრო ალმასკომი შეუდგა სახალხო აღწერის მოსამზადებელ მუშაობას.

ყველა სასოფლო თემიდან გამოთხოვილია სახლის პატრონთა სიები, მათი ოჯახების შემადგენლობა და სხვა ცნობები. ყველა ცნობები წარდგენილ უნდა იქნეს 15 სექტემბრამდე.

ფოთის ნავთსადგური

ფოთი, 12 აგვისტო. მოვიდნენ საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემები „ნოვოროსიისკი" და „კინალი", რომლებმაც ჩამოიტანეს აზერბეიჯანისათვის 23 ვაგონი შაქარი, სპარსეთისათვის 3 ვაგონი ჩაი და ამიერ-კავკასიისათვის 7 ვაგონი ფქვილი.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაცია

ახალ-სენაკი, 12 აგვისტო. მაზრაში მოწყობილია საკრედიტო ამხანაგობა. ამხანაგობათა წევრებად ჩაეწერა 4.500 გლეხი. წევრების ყველაზე მეტი რიცხვი (910) მოდის სენაკის საკრედიტო ამხანაგობაზე.

კარგი გზა და კარგი მუშაკი

(ს. ფარცხანალი, შორაპნის მაზრა)

არიან სოფლად და ალბად ქალაქადაც ჩვენი მუშაკები, რომლებიც ბევრს აკეთებენ და ცოტას ლაპარაკობენ.

კეთდება ჩვენ სოფლად პატარა თუმცა მეტად მნიშვნელოვანი საქმეები, რომლის აღნიშვნას ჩვენი პრესა ყოველთვის ვერ ასწრებს და ეს იმიტომაც ხდება, რომ სოფლის ეს ჩუმი მშენებლები საგაზეთო ქებას და რეკლამას არ არიან ჩვეული.

ყველას მოეხსენებათ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლებისათვის განსაკუთრებით მთიან რაიონებში, გზების მშენებლობას, სკოლა და კულტურა ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, მაგრამ უგზოთ ვერც ერთი ვერ მიაღწევს სოფლამდე და გლეხობამდე. მრავალი რაიონები და სოფლები იღრჩობა ჩვენში უგზოობით, მაგრამ მოსახლეობა და თვით ადგილობრივი მუშაკებიც ხშირად მხოლოდ უმაღლეს მთავრობას შეჩერებიან და მას ეხვეწებიან, „გზა გაგვიკეთეთო".

ასე არ მოქცეულა სოფ. ფარცხანალი (შორაპნის მაზრა) და მისი მკვიდრი ამხ. იაკო შარიქაძე, რომელმაც რამოდენიმე ამხანაგთან ერთად თავს იდვა სადგურ ხარაგოულიდან სოფ. ფარცხანალში გზის გაყვანა, თითქმის 5 ვერსის მანძილზე. ეს სოფელი შეწუხებული იყო უგზოობით, არა თუ ურმით, ცუდი ამინდის დროს, ცხენითაც კი შეუძლებელი იყო დაბაში და სადგურში ჩამოსვლა.

ბევრჯერ იყო ცდა გზის გაყვანისა მეფის მთავრობის დროსაც, მენშევიკების ხანაშიაც, მაგრამ საქმეს არ ეშველა. სხვა მიზეზებს რომ თავი დავანებოთ იმ დროს ხომ შეუძლებელი იყო მიწის მესაკუთრესთან ახლოს მიკარებაც კი, რა გინდ სასარგებლო საქმის დაწყებაც არ უნდა გეფიქრათ. ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ეს დაბრკოლება არ არსებობდა, თანხმობაც იყო ხალხის თანხმობით და დღეს ფარცხანალში ავტომობილითაც კი შეიძლება მისვლა ხარაგოულიდან.

ბევრ ადგილას გაჭრილია დიდი კლდეები, ორ ადგილას ამთავრებენ დიდ ბოგირ-ხიდს და მთელი გზა უკვე დამთავრებულია და სადაც საჭირო იყო მოკირწყლულიც კი არის.

მთავრობა არავის არ შეუწუხებია და მით უფრო სამაგალითოა ამ გზის გაკეთების ინიციატორთა მხნეობა და ენერგია და გლეხობის თვითმოქმედების გამოღვიძება. ტეხნიკური დახმარებაც კი არ დასჭირებიათ და გზა კი მშვენივრათ არის გაჭრილი და გაკეთებული. მუშაობა მხოლოდ უქმე დღეებში სწარმოებდა და ყანის მუშაობას გლეხობა თითქმის არ მოცდენილა.

მგზავრი.

არაჩვეულებრივი წვიმა ახალციხეში

8 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, ახალციხეში კოკისპირული წვიმა მოვიდა, რომელმაც გასტანა ნახევარ საათამდე. წვიმა ბევრს სახლების სარდაფებსაც ესტუმრა. ქალაქის ძველ ნაწილში კი ბევრ მოქალაქეს სახლებში ჩაუვიდათ, ვინაიდან მათი სახლები მიწურია. ზღვასავით წყალი იყო, განსაკუთრებით პროფკავშირის (ფოსტის) ქუჩაზე, მთელი ქუჩა დაფარული იყო წყლით.

ფოსტის სარდაფში, სადაც ცხოვრობენ მოქალაქენი (თანამშრომლები) ალაყაფის კარებიდან შევარდა მოზღვავებული წყალი, თავზარდაცემული მცხოვრებლები გამოვარდნენ გარეთ და ფოსტის გვერდზე მყოფ ბაღის დარბაზის ორი ფიცარი ამოტეხეს და ასეთი საშუალებით წყალი გაუვიდა ბაღში და ბაღიდან კი მიიქცა ღელეებში. ცოტა ხნის შემდეგ წვიმა შესდგა, მაგრამ მოზღვავებული წყალი კი ისევ სდგას ქუჩაზე. მოქალაქენი გაცხარებულნი მუშაობდნენ. ამ ქუჩასთან მაზრის მილიცია მოთავსებული სა იდანაც მოვიდნენ რამოდენიმე მილიციელები, რომლებმაც დაუწყეს სეირს ყურება. სასურველია განემარტოს მილიციელებს, რომ ასეთი სტიქიური უბედურების დროს მილიციის თანამშრომლები (მილიციელები) უნდა მიეხმარონ მოქალაქეებს.

ციების „წამალი"

(გურია)

დღეს გურიაში განსაცვიფრებელ და ამასთან დამღონებელ მოვლენას წარმოადგენს არყით თრობა.

ხშირად შეხვდებით სოფელში გლეხს, რომელსაც ჯიბეში არაყით სავსე ბოთლი უდევს. ამბობენ ასეთი სურათები ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიაც არის. მით უარესი, თუ ეს ასეა. მე კი ეხლა გურიაზე მოგახსენებთ.

გურული ცუდათ იქცევა, გურია ციებიანი კუთხეა.—არ შეიძლება არ დაგვიბადოს შიში იმის შესახებ, რომ ხალხის ჯანმრთელობა საფრთხეში ვარდება„ არაყს სვამს ყველა, განურჩევლად სქესისა და ჰასაკისა. თუ რას უქადის ლოთობა ახალგაზრდობას — ეს ყველასათვის ცხადია.

როდესაც ეკითხები არაყით გატაცებულ ხალხს—რისთვის იწამლავენ ისინი თავს—გიპასუხებენ:—ჩვენი მხარე ციებიანია, არაყი ჩვენთვის სასარგებლოაო. ასეთი ყალბი აზრი არის გავრცელებული არაყის სარგებლობის შესახებ. —ამიტომ ლოთობის საშიშროება ძლიერდება. მის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული ზომები. ლოთობისგან დასუსტებულ ორგანიზმს უფრო იმორჩილებს ციება. ჩაყოლილი ციება კი ნიადაგს უმზადებს ჭლექს, რაც დღეს გურიაში არაჩვეულებრივადაა გავრცელებული.

ნატურალისტი.

გამოხმაურება

„კომუნისტი"-ს 22 ივლისის ნომერში მოთავსებულია „ფ. ძ—ლ"-ს წერილი ლეჩხუმის მაზრის შესახებ. წერილში აღნიშნულია, რომ მაზრაში კულტმუშაობა სუსტად სწარმოებს.

ლეჩხუმის ალმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ძალრაძემ აცნობა რედაქციას, რომ სამაზრო ალმასკომის უმთავრეს საზრუნავ საგანს ამჟამად გზების გაყვანისა და შეკეთების საქმე შეადგენს, რის გარეშე შეუძლებელია მაზრის კულტურულ დაწინაურებაზე ლაპარაკი. ამ მიმართულებით ეხლა სწარმოებს ინტენსიური მუშაობა, გარდა ამისა, მიუხედავათ იმისა, რომ მაზრა დეფიციტიანია და დიდი ნივთიერ სივიწროეს განიცდის, უკანასკნელი ხუთი—ექვსი თვის განმავლობაში მაინც ბევრი რამ არის გაკეთებული. დამთავრებულია ალმასკომისათვის შენობა და სხვა.

თეატრის და კინოს საქმის მოსაწესრიგებლად გადადგმულია სათანადო ნაბიჯები.

ზაკლთან ერთად კორესპონდენტებმა მიღწევებიც უნდა გააშუქონ.

წერილები

ჩვენ რაღა შუაში ვართ?

„აქლემები წაიჩხუბნენ და კოზაკი გამოსრისესო", ეს თქმულება სწორედ ჩვენზე ახდა.

ბორჯომის ქართ. შრ. სკოლის გამგის მოადგილედ იყო მასწ. ბაგ. სარალიძე; ის ამ სკოლაში რვა წელიწადი მსახურობდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრმა მოწაფეებმა დასრულეს ამ სკოლაში კურსი და ამჟამად მეტი წილი უნივერსიტეტში და ტეხნიკუმებში სწავლობს. ყველა ისინი იგონებენ სარალიძეს, როგორც კარგ მასწავლებელს.

გასული წლის 25 ოქტომბერს სარალიძე რაღაც ჩვენთვის გაუგებარ მიზეზებით მოხსნეს სამსახურიდან, რაც ძალზე საწყენათ დაერჩათ მოწაფეებს და მათ მშობლებსაც. როგორც ვიცით, სარალიძის საქმე გამოიძია გან. მუშ. ცენტრ. გამგეობამ და განათლ. კომისარიატმა. ამის შესახებ, როგორც იქნა, იანვრის გასულში, ის აღადგინეს, მხოლოდ ორი კვირის შემდეგ ისევ მოხსნეს. ჩვენი საქმე აიწეწა: ხან გამცდარი ვიყავით, ხან ვინ გვასწავლიდა და ხან ვინ? დანიშნეს მასწ. ნიკოლაიშვილის ქალი; ის მოწაფებს ვერ შეეთვისა, ცოტა ხანს უმადურად ამაცადინა და შემდეგ ოთხი თვის შვებულებაში წავიდა. ამას შედეგათ ის მოყვა, რომ სარალიძის საგნებში პროგრამა ვერ დავასრულეთ და ყველას ვამოცდა დაგვეჩინა.

ამ ზაფხულის სიცხეში, ამის გამო ჯერ ერთი, გვიხდება მეტი ენერგიის დახარჯვა და მეორე ზედმეტი ხარჯების გაღება კერძო მასწავლ. დაქირით. სალარიძე ეხლა მესამეთ გაუწმენდიათ უმაღლეს მთავრობას, მაგრამ რაცა დროს, სამოსწავლო წელიწადმა ასე უმადურათ ჩაგვიარა და მეტად დავზარალდით. სასურველია მასწავლებელ სარალიძის გარშემო შექმნილი ბურუსი მალე გაიფანტოს და ბოლო მოეღოს პირად კინკლაობას, რომლის მსხვერპლიც გახდა სარალიძე.

ვინც დამნაშავეა ამ კინკლაობაში, სასტიკად უნდა დაისაჯოს, რადგანაც ასეთი კინკლაობით უდანაშაულო ხალხი ისჯება და სახელმწიფოც ზარალობს.

უდანაშაულოდ დასჯილი.

წითელ ჯარში

საერთო ტერშეკრებისათვის

ამჟამად მთელ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა წითელი ჯარის ტერიტორიალურ ნაწილების საერთო შეკრების ჩასატარებლად.

წრეულს ყველა ტერიტორიალური ნაწილები ერთად მოიყრიან თავს. ეს პირველი მაგალითია ჩვენი ტერიტორიალური მშენებლობის დარგში.

ამ შეკრებამ უნდა დაგვანახოს მთელი სიძლიერე ახალი სისტემის და ჩვენი ცვალებად შემადგენლობის საომარი მზადების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

სამხედრო უწყება დიდი ხანია შეუდგა შეკრებისათვის მზადებას. წინასწარი მზადება უკვე დამთავრებულია. ბანაკი ნაწილებისათვის მოწყობილია, მომარაგებულია საჭირო რაოდენობა ტანისამოსის და ფეხსაცმელის, ამოძრავებულია სანიტარული ნაწილიც.

ცვალებადებთან პოლიტმუშაობის საწარმოებლად გამოყოფილია საჭირო რიცხვი ხელმძღვანელების, რომელთანაც სწარმოებს მუშაობა. მიღებულია თანხები სახელმძღვანელოების, რუქების, რვეულების და სხვა ნივთების შესაძენათ.

შეკრების ჩასატარებლად ყველა წერტებზე და რაიონებში დაგზავნილია მეთაურები და პოლიტხელმძღვანელნი, რომელნიც ადგილობრივ მოუყრიან თავს ცვალებადებს და შემდეგ გაემგზავრებიან საერთო შეკრების ადგილას. ზოგიერთ ადგილებიდან მოსული ცნობების თანახმად, წინასწარი კამპანია დამაკმაყოფილებლად ტარდება. იმართება საერთო კრებები და თათბირები, სადაც მოსახლეობას უხსნიან შეკრების მიზნების, ამოცანებსა და მნიშვნელობას. მოსახლეობა ხვდება შეკრებას სრულის შეგნებით და ხელს უწყობს სამხედრო უწყებას მის ჩატარებაში.

ადგილობრივი პარტორგანიზაციები და საბჭოთა დაწესებულებები დიდ ენერგიას იჩენენ შეკრების ბრწყინვალედ ჩასატარებლად.

საერთო შეკრებამდის დარჩა მხოლოდ ორი კვირა. ეს მოკლე დრო სავსებით უნდა იქნეს გამოყენებული და თუ კი რომელიმე რაიონში შეკრებას აქვს რაიმე ნაკლი, უნდა ვეცადოთ გამოვასწოროთ.

უნდა დაჩქარდეს ცვალებად წითელარმიელების სამეურნეო საქმის მოგვარება, რათა ცვალებადელი გამოცხადდეს შეკრებაზე სრულიად დამშვიდებული თავის ოჯახურ მდგომარეობით.

თუ კი რომელიმე ადგილას შემჩნეულია რაიმე მითქმა-მოთქმა შეკრების ირგვლივ, ან გაუგებრობა, ეხლავე უნდა მიღებულ იქნეს ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

დაჩქარებულ უნდა იქნეს იმ ცვალებადელების გამოძახება და დაბრუნება თავის ბინაზე, რომელიც რაიმე საქმის გამო წასულია სხვა ადგილას სამუშაოდ, ან სხვა საქმის გამო.

დრო ცოტა დარჩა შეკრებამდე და უნდა ვეცადოთ იგი რიგიანად და სარგებლიანად გამოვიყენოთ.

ტ. ხუციშვილი.

მზადება გაწვევისათვის

(გორის მაზრა)

უკანასკნელ დრომდე გორის მაზრაში გაწვევის საქმე არ იყო მოწესრიგებული. არ ექცეოდა ყურადღება შეღავათების მიცემას და მათ სწორ განაწილებას, რაც ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა გაწვევ ახალგაზრდობაზე.

გაწვევის ვადა არა ცხადდებოდა დროზე. სათემო ალმასკომები არ ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას გაწვევაში.

ასეთ არანორმალურ მდგომარეობას უკვე მოეღო ბოლო. გორის სამაზრო სამხედრო კომისარიატის მიერ მიღებულია ზომები, რომ მომავალი შეკრება ჩატარდეს უნაკლოდ.

გაცემულია განკარგულება, რომ მოხდეს აღრიცხვა იმ მოქალაქეების, რომლებსაც აქვთ უფლება ისარგებლონ შეღავათით.

ამის გარდა კომისარიატის მიერ მიღებულია ზომები, რომ ყოველ თემში ჩატარებულ იქნეს კამპანია გაწვევის ირგვლივ, აეხსნას გლეხობას გაწვევის მიზნები და მნიშვნელობა, რომ ყოველ მოქალაქეს ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა მასზე.

ყოველ რაიონში მოწყობილია „ცნობათა ბიუროები", რომლის საშუალებითაც გასაწვევი მოქალაქენი ერკვევიან გაწვევის საკითხებში, შეღავათებში და სხვა.

—ჟ.

ჩვენი საქმიანობა

(1-ლი ლეგიონი)

ჩვენი ლეგიონის სამხეო გუნდი ბანაკად ხაყოფიერად მუშაობს.

საგრძნობლად გაძლიერდა საგანმანათლებლო მუშაობა. დაარსებულია შემდეგი ჯგუფები: „ავიაქიმი"-ს, წერა-კითხვის, აგრონომიული, სამხედროთა და სხვა. ჯგუფებში ბლომად არიან აქტიური წითელარმიელნი, რომელნიც სცდილობენ ჩაითრიონ მუშაობაში სხვა ამხანაგებიც.

გუნდში გამოდის კედლის გაზეთი, თანამშრომლები არმიელები არიან.

ბევრი წითელი არმიელი შემოდგომაზე მიდის უვადო შვებულებაში. ეს ამხანაგები აწარმოებენ გაცხოველებულ მუშაობას და იქნენ სოფლად მუშაობისათვის გამოსადეგ ცოდნას.

აღსანიშნავია, რომ მუშაობაში დიდ დახმარებას უწევენ არმიელებს გუნდის უფროსი და პოლიტხელმძღვანელი.

—ბ.

სტუმრად მუშებთან

(მე-8-ე ლეგიონი)

ჩვენი ლეგიონის 1-ლი ასეული ესტუმრა ქუთაისის მაუდის ქარხანას.

მუშები სიხარულით შეხვდნენ წითელარმიელების მისვლას.

დათვალიერებულ იქნა მატყლის სარეცხი, სასპინტი, მქსოველი მანქანები.

მუშები უხსნიდნენ არმიელებს მანქანების მუშაობას.

წითელარმიელებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქარხნის მოწყობილობამ და მუშაობის წესებმა.

ხ. ბ.

ქალთა შრომა

ქალთა შრომის გამომკვლევ კომისიაში

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატთან მოწყობილია კომისია ქალთა შრომის შესასწავლად. კომისიის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ქალთა შრომის ბაზრის მდგომარეობის შესახებ ამიერ-კავკასიაში. ქალთა შრომა სჭარბობს შემდეგ პროფესიებში: სამკერვალო, გამოკვების და საექიმო-სამკურნალო დარგებში. შრომის კოლექტივებში ჩაბმულია უმუშევარ ქალთა 22 პროცენტი. საზოგადოებრივ მუშაობაში ქალების ჩაბმა მეტად სუსტად სწარმოებს. მომხსენებელი საჭიროდ სცნობს, რომ მომავლისათვის გაძლიერებული იქნეს მუშაობა ქალთა დასახმარებლად, განსაკუთრებით ქალების გადასამზადებლად.

თათბირმა დაადგინა მიღებულ იქნეს ზომები პროფკავშირებში, სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა და აგრეთვე უმუშევარ ქალთა რაოდენობის გამოსარკვევად. თათბირი საჭიროდ სცნობს შესწავლილ იქნეს სახალხო მეურნეობაში ქალთა სუსტი მონაწილეობის და აგრეთვე მრეწველობის ზოგიერთი დარგებიდან ქალთა შრომის დევნის მიზეზები.

თათბირის დადგენილებით მიღებული უნდა იქნეს ზომები ქალების საზოგადოებრივ სამუშაოებში და შრომის კოლექტივებში ჩასაბმელად, აგრეთვე უმუშევარ ქალების, რაც შეიძლება მეტი პროცენტის,—უმუშევართა გადასამზადებელ კურსებზე მოსაწვევად და სხვა.

თათბირმა დაადგინა მოაწყოს სპეციალური კოლექტივი, რომელიც ქალთა შრომის შეუწყობს სხვადასხვა ხელობას.

დისპანსერი ქუთაისში

ქუთაისში არსდება ამხ. კუპაიძის სახელობის ჭლექით ავადმყოფთა დისპანსერი.

ჩქარი და ენერგიული მუშაობის მოხებით ამ დისპანსერის მოწყობისათვის მუშაობა შედარებით მცირე ხნის განმავლობაში თითქმის დასრულებულია. თავისი ტიპით ქუთაისის დისპანსერი იქნება ისეთივე, როგორიც არის მოსკოვის საჩვენებელი დისპანსერი.

ამ თავითვე დისპანსერში მოეწყობა კონსულტაცია—კაბინეტებით: თერაპევტიული, ბავშვთა, ქირურგიული, აფთიაქი და სანიტგანათლების განყოფილება.

დისპანსერთან იქნება ღამის სანატორიუმი დიდებისათვის, 30 კაცისთვის და დღის სანატორიუმი 20 ბავშვისათვის, ბაღით, სადაც მეცადინეობა გაიმართება ცის ქვეშ, ეყოლებათ თავისი პედაგოგიური და აღმზრდელი პერსონალი.

დისპანსერის აღნიშნული განყოფილებები, რომელნიც მოთავსებული არიან საუცხოო ორსართულიან, განკერძოებულ [illegible] სახლში, [illegible]

საგზაო მშენებლობა

3.500.000 მანეთი საგზაო მშენებლობისათვის 1926—27 წელი

საქართველოს საგეგმო კომისიაში განხილული იქნა გზა-ტკეცილების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი 1926-27 წ. საგზაო მშენებლობის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების ქსელი ფართოვდება თითქმის ერთი-ორათ. რესპუბლიკანური მნიშვნელობა ენიჭება მთელ რიგ გზებს, რომლებიც აქამდე იმყოფებოდენ ადგილობრივ ალმასკომების მზრუნველობაზე.

სახელდობრ რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების ქსელში 1926-27 წლიდან შედიან —თელავი-გავაზის, კოდი-აბულაღის, ბენარი-აბასთუმანი-ზეკარის, ბაღდათ - ზეკარის, ზუგდიდი-ჯვარის და ზუგდიდი-ანაკლიის გზები, რომელთა საერთო სიგრძე უდრის 295 კილომეტრს.

გეგმით ამ გზების შენახვა, მათი კაპიტალური და მიმდინარე რემონტი 1926-27 წლის განმავლობაში უნდა დაჯდეს 1.823.146 მანეთი 44 კაპ.

გეგმა ითვალისწინებს მთელ რიგ ახალ საგზაო სამუშაოების წარმოებას. განზრახულია სურამი-ძირულის და ჯავა-როკის გზატკეცილების დამთავრება; დაწყებული უნდა იქნეს მუშაობა სვანეთის გზის გასაყვანათ ჯვარიდან მესტიამდე; დაწყებული იქნება აგრეთვე მდ. თურდოზე (თბილის-თელავის გზა) დიდი რკინისხიდის აგება. ახალ სამუშაოებზე, გეგმის მიხედვით, დახარჯული უნდა იქნეს 1.421.119 მანეთი.

გარდა ამისა წარმოებული იქნება გამოკვლევითი მუშაობა ახალ გზების პროექტების შემუშავების მიზნით.

მთელი დასახული პროგრამის შესასრულებლათ გზა-ტკეცილების სამმართველო ითხოვს მიღებულ იქნეს 1926-27 წლის განმავლობაში 3.469.203 მან. 16 კაპ. საგეგმო კომისიამ სცნო, რომ გეგმა სავსებით მიზანშეწონილია და არამც თუ უნდა იქნეს შეკვეცილი, არამედ პირიქით გეგმას უნდა დაემატოს თელავ-ახმეტის გზის რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების ქსელში შეტანა და ხიდის აგება მდ. ალაზანზე.

აღნიშნულ დამატებების შემდეგ საერთო ხარჯი საგზაო მშენებლობაზე შეადგენს 2.516.844 მან. 13 კაპ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება

მატყლი

ა.-კ. კოოპერატივთა კავშირის ცნობით უკვე დამთავრდა გაზაფხულის ნაკრეჭი მატყლის დამზადება. საბჭოთა კავშირის მრეწველობას საზოგადოება „შერსტი"-ს საშუალებით გადაეცა იმ მატყლის ნარჩენები, რომელნიც დაამზადეს ძირითადმა კოოპერატიულმა ორგანოებმა. მომწესრიგებელ ორგანოების მიერ ბაზარზე გამოსატანად დაწესებულ მატყლის ნორმას წელს დამზადებამ აზერბეიჯანში გადააჭარბა 80 პროცენტით; საქართველოში კი კოოპერატიულმა ორგანოებმა ორჯერ მეტი დაამზადეს. დასამზადებელ კამპანიის ასე წარმატებით ჩატარება აიხსნება ერთი მხრივ მატყლზე დამაკმაყოფილებელი ფასების დაწესებით და მეორე მხრივ კოოპერატიული ორგანოების შეთანხმებული მუშაობით.

ა.-კ. კოოპერატივთა კავშირში შემავალ ორგანიზაციებიდან დამზადებულია მატყლი „შპანკა" —3.500 ფუთი, ყარაბაღული მატყლი —9,500 ფუთი, თუშური—6,000 ფუთი, ლეკური მატყლი 16.000 ფუთი; ხოლო ნახჩევანური —1,500 ფუთი.

თამბაქო

თამბაქოს დამზადება სავსებით ნორმალურად მიმდინარეობს. ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა დაამზადა ნორმაზე მეტი, 25 ათასი ფუთით. თამბაქოს დამზადება ხდება უცხოეთში გასატანად—ლონდონის და ჰამბურგის ბაზრებისათვის.

თამბაქო გასატანად სავსებით გამზადებულია. ექსპორტი დაიწყება სექტემბერში.

თხილის და ნიგვზის დამზადება

ა.-კ. კოოპ. კავშირი უკვე შეუდგა თხილის დასამზადებელ ოპერაციებს.

მოხდა თხილის დასამზადებელი რაიონების განაწილება მთავარ დამამზადებელ ორგანოებს შორის.

წელს საქართველოში დამზადებული უნდა იქნეს კოოპერაციის მიერ 100.000 ფუთი თხილი და ნიგოზი, ხოლო აზერბეიჯანში—130 ათასი ფუთი.

ბრძოლა კალიასთან

თბილისის, ბორჩალოს და სიღნაღის მაზრებში

ეს ორი წელიწადია, რაც თავისი საშიშროებით, როგორც სახელმწიფოს ისე მოსახლეობის მხრივ დიდი ყურადღება მიიპყრო კალიამ. აღნიშნულ მავნებლის წინააღმდეგ ჯერ კიდევ წარსულ წელს სწარმოებდა ბრძოლა, რითაც იგი მოსპობილ იქნა 70 პროც., მაგრამ დანარჩენი ოცდაათი პროცენტი საკმარისი გახდა, რომ ერთი ორმოცად გამრავლებულიყო და მოსდებოდა უფრო დიდ სივრცეს, ვიდრე წარსულ წელს.

წრეულს გაზაფხულზე დაზიანების მოედანი თბილისის, ბორჩალოს და სიღნაღის მაზრაში უდრიდა დაახლოებით 12.000 დესეტინას. ეს ციფრი საკმაო დიდი და საგრძნობელია ჩვენი ისედაც პატარა მეურნეობისათვის. კალია სპობს ხორბლის ნათესებს, ბოსტნეულს, ბამბას და სხვა მრავალ მცენარეებს, საკმარისია მისი ხუთი წლით შესვლა ბოსტანში ან ბამბის ნათესებში, რომ სრულიად მოსპოს იგი. აქედან ნათლად სჩანს, თუ რამდენათ დიდი ზიანის მიყენება შეუძლიან კალიას. ასედაც იქნებოდა, რომ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მცენარეთა დაცვის განყოფილებას თავის დროზედ, როგორც წარსულ წელს ისე წრეულს, არ მიეღო შესაფერისი ზომები და ამით არ ეხსნა გლეხის მოსავალი მოსპობა-განადგურებისაგან. წელს კალიის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო მაისის მიწურულში და დამთავრდა მკათათვეში. ბრძოლის დაწყების წინ იყვნენ ზემოთ აღნიშნულ განყოფილების მიერ გაგზავნილი აგრონომ-ინსტრუქტორები მზვერავებით კალიით მოდებულ ადგილების გამოსარკვევათ. გამოკვლევის შემდეგ კალიით მოდებულ რაიონებში გაიგზავნა კალიასთან ბრძოლის მცოდნე პირები სპეციალური აპარატებით და სხვადასხვა საწამლავ მასალებით.

კალიის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი არმია გაიყო ექვს რაზმად, რომელთაც მიჩნეული ჰქონდათ თავიანთი საბრძოლველი უბნები. ამრიგათ მთელი ექვსი რაზმი დაახლოებით ორასი კაცი თავისი მარაგით, ურმებით ცხენებით და სხვა მოედო თბილისის და ბორჩალოს მაზრებს. აღნიშნულ რაზმებს ხელმძღვანელობას უწევდნენ აგრონომები. ასეთივე რაზმები გაიგზავნა შირაქშიც, რომელიც ცნობილია ჩვენში დიდი პურის მოსავალით.

წელს დროზე მიღებულ ზომების წყალობით გადარჩენილ იქნა განადგურებისაგან 6.100 დეს. ნათესები. ცხადია ორი წლის მუშაობით შეუძლებელი იქნებოდა კალიის სრულიად მოსპობა. კალია დარჩა კიდევ, რისთვისაც საჭიროა მომავალ წელს კიდევ გამეორდეს ასეთივე მუშაობა.

მიწათმოქმედების კომისარიატთან არსებულ მცენარეთა დაცვის განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს აგვისტოს შუა რიცხვებში გაგზავნოს თავისი ინსტრუქტორები იმ ადგილების აღსარიცხავად, სადაც კალიამ კვერცხები დასდო, რომ ამით მომავალ წელს მუშაობა გაადვილდება და უფრო მეტი ნათესები იქნება გადარჩენილი, განადგურებისაგან.

აგრონომი **ი. ბათიაშვილი.**

სახ. მამულების ტრესტში

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სახალხო მამულების ტრესტმა ჩაატარა ნაყოფიერი მუშაობა როგორც სახალხო მამულების, ისე კერძო გლეხური მეურნეობის აღსადგენად.

განსაკუთრებით დიდი დახმარება აღმოუჩინა ტრესტმა გლეხობას მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენა-განვითარების საქმეში. ამ დარგში მთავარი ყურადღება მიექცა ამერიკული ლერწის და ნამყენის ვაზის დამზადებას. ექვსი თვის განმავლობაში დამზადებულ იქნა 4.540.000 ნამყენი ვაზი,—რისთვისაც უცხოეთიდან მიღებულ იქნა პირველად 3 მილიონი მეტრი მწარე ვაზი, ხოლო მეორედ კი 800 ათასს მეტრზე მეტი სამყნობი ლერწი, 4,5 მილიონ ცალი ნამყენ ვაზიდან გლეხებს დაურიგდათ 860 ათასი ცალი. ხოლო უდიდესი ნაწილი მოხმარდება ნამყენი ვაზის სანერგეების გაშენებას.

სანერგეებისაგან დაკავებული არე გადიდებულ იქნა 9,5 დესეტინით, ხოლო ახლად გაშენებული ვენახების სივრცე 32 დესეტინით.

რაც შეეხება ხილის სანერგეებს, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მათი სივრცე გაფართოებულ იქნა 15 დესეტინით.

სელექტიური (შერჩეული) დათესვა მოხდა 400 დესეტინაზე.

მებამბეობა

ბამბის კულტურა ქვემო-იმერეთში

მიმდინარე წელს ბამბის პლანტაციები უხვად იქნა გაშენებული ქვემო-იმერეთში სარწყავი არხების რაიონებში აჯამეთის, ხოხოულის, მუხიანის ჭალებზე და სხვაგან. ბამბის მცენარის მეორე მორწყვის პერიოდში ხშირი წვიმების გამო საჭირო არ შეიქნა ხელოვნური მორწყვა და ამიტომ სარწყავი წყალიც ზომაზე მეტი იყო. მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია სარწყავი სისტემის ტეხნიკური ნაკლოვანებანი: აჯამეთის და ხოხოულის არხები საჭიროებენ კაპიტალურ შეკეთებას, ხოლო მაზვერლის, პირველი საბჭოთა, მუხიანის ამირეჯიბის და მდივნის არხები კი ჯერ დამთავრებული არ არის. გარდა ამისა ბამბის ნათესები არათანაბრად არის განაწილებული სარწყავ რაიონებში—ერთგან ბამბა ზომაზე მეტია დათესილი, ხოლო მეორე ადგილას ზომაზე ნაკლები.

გლეხობა ბამბის დათესვის დროს მხედველობაში იღებენ უფრო ბუნებრივ (წვიმების საშუალებათ), ვიდრე ხელოვნურ მორწყვას.

წელს ხშირი წვიმების გამო წყლის ნაკლებობა არ ყოფილა, მთიანი ადგილების გამოკლებით. მომავალი წლისათვის საჭირო გახდება სარწყავი არხების მოწესრიგება და არხის შტოების გაყვანა მებამბეობის ადგილებში.

მიმდინარე სეზონში მიუხედავად წვიმების სიუხვისა, ამინდი ბამბის მცენარეს ხელს არ უწყობდა. პირველ ხანებში ბამბის ნათესებს ავნო ორი თვის ხანგრძლივმა გვალვამ, რომელიც შეცვალა წვიმიანმა პერიოდმა; შემდეგ დაიწყო ღრუბლიანი დღეები, რომელმაც ხელი შეუშალა ბამბის ამოცენებას და ზრდას.

ბამბის მავნებლები წელს ნაკლებად იყო და მათგან გაფუჭებულია მხოლოდ ნათესების ერთი მეათედი.

პირველად ბამბის მცენარემ ყვავილი გამოიღო ივლისის შუა რიცხვებში. სიმაღლე ბამბის მცენარისა საშუალოა.

ალმშენებლობა სოფლად

თელავის მაზრაში

ერთი თვის წინად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა საამშენებლო სამუშაოების გამოსაკვლევად თელავში გაგზავნა ინჟინერი, რომელიც გაეცნო საკითხს, თუ რამდენად შესაძლებელია შრომის ბეგარის განხორციელება საგზაო მშენებლობაში.

იმავე ინჟინერმა დაწვრილებით დათვალიერების შემდეგ შეადგინა სოფელ შრომაში (ყოფ. ვაჩნაძიანი) სარექტიფიკაციო ქარხნის ასაგები პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. ამ ქარხნის აგებას თელავის მაზრის გლეხობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ საშუალება მიეცემათ იქვე, ახლო გაასაღონ ყურძნის მოსავალი, რომელსაც დაამუშავებს ახალი სარექტიფიკატო ქარხანა.

ადგილობრივი ალმასკომის სხდომაზე გადაწყდა თელავის ყველა ქუჩების ასფალტით მოგების, ქალაქის სასაკლაოს გაფართოების და სასოფლო გზა-ტკეცილების კაპიტალური შეკეთების საკითხი.

დადგენილ იქნა ამ ზაფხულშივე დაიწყოს—თელავ-ნაფარეულის—ალვანის საურმე გზის და თელავ-ახმეტის გზატკეცილის კაპიტალური შეკეთება. შემუშავებულია აგრეთვე პროექტი მდ. უჯარმაზე ხიდის აგების შესახებ. გამომუშავებულია ხარჯთაღრიცხვით ხიდის აგება ჯდება 4.250 მანეთი. აღსანიშნავია, რომ გზების დიდი ნაწილი თელავის მაზრაში დიდი ხნის შეკეთებულია და ამიტომ გლეხობამ სასოფლო [illegible] გამოტანილ დადგენილებების თანახ[illegible] [illegible] არის მონაწილეობა მიიღოს საგზაო [illegible]

სატყეო მრეწველობა

სატყეო მრეწველობის განვითარებლად აფხაზეთის სახალ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ცენტრიდან მიიღო 150 ათასი მანეთი.

სატყეო ორგანოები უკვე შეუდგნენ ამ თანხის საშუალებით მუშაობას სატყეო მრეწველობის დარგში. დაწყებულია მუშაობა გაგრის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში ტრანსპორტის სამექანიზაციოთ, რისთვისაც გადადებულია 52 ათასი მანეთი. გაგრის ხე-ტყის სახერხ ქარხანასთან ეწყობა აგრეთვე ფანერის საამქრო, რისთვისაც გაღებულია 35 ათასი მანეთი. გრძელ ავეჯეულობის ფაბრიკის მოსაწყობად გადადებულია 25 ათასი მანეთი. პირველად ეწყობა აგრეთვე აფხაზეთში კასრების წარმოება გუდაუთის ქარხანაში, რომელსაც კაპიტალური რემონტი უკეთდება. ახლად ეწყობა აგრეთვე ბალაშევისეული ხე-ტყის სახერხი ქარხანა და გაგრის ხის დასამუშავებელი სახელოსნო. ყველა ეს სამუშაოები დამთავრებული იქნება ამ მოკლე ხანში, რაც სატყეო მრეწველობის ტრესტს საშუალებას მისცემს შეუდგეს აფხაზეთის ტყეების ექსპლოატაციას ფართო მასშტაბით.

საბავშვო ლიტერატურა

განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ საბავშვო გამომცემლობის განყოფილებაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა საბავშვო ლიტერატურის მოთხოვნილება. განყოფილება ყოველივე ღონეს ხმარობს ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

სისტემატიურად გამოდის მთელი რიგი საბავშვო ჟურნალები: „ნაკადული" და „წითელი სხივი"—ქართულ ენაზე; „კარმირ—წილერ", სომხურ ენაზე, „კიზილ შეფახ"—თურქულ ენაზე. ამ ჟურნალების ტირაჟი თანდათან მატულობს.

იზრდება საბავშვო წიგნაკების გამომცემლობა. უკანასკნელი სამი წლის ციფრები, რომ ავიღოთ შემდეგ სურათს დავინახავთ: 1923 წელში გამოცემული იქნა 82.000 ცალი წიგნი ბავშვებისათვის; 1924 წელში—132.000 ცალი, 1925 წელში—187.000 ცალი.

საერთოდ სკოლა ძალიან წინ წავიდა თავის მოთხოვნილებით. ძველი საბავშვო ლიტერატურა გათავდა, და კიდევაც რომ იყოს, იგი მიუღებელია ახალ სკოლისათვის. ამიტომაც საბავშვო ლიტერატურის გამოცემის საქმეს სათანადო ყურადღება ექცევა და ყოველწლიურად ფართოვდება. მიმდინარე წელს, უეჭველია, გამოცემული იქნება მეტი წიგნი, ვიდრე წინა წლებში.

გამომცემლობის პროგრამა არ ამოიწურება მარტო ქართული საბავშვო ლიტერატურის გამოცემით. დიდი ყურადღება ექცევა წიგნების გამოცემას ნაციონალურ უმცირესობათა ენებზე. თუმცა ერთ დროს სომხურ სკოლებისათვის წიგნები შემოგვქონდა სომხეთიდან, რუსულ სკოლებისათვის—რუსეთიდან, მაგრამ თანდათან ირკვევა, რომ შემოტანილი ლიტერატურა ვერ აკმაყოფილებს საქართველოში მცხოვრებ ბავშვების მოთხოვნილებას. მიზეზი ადვილი გასაგებია. შემოტანილ ლიტერატურაში არ მოიპოვება ადგილობრივი მასალა.

რაც შეეხება წიგნების ხარისხს შინაარსის მხრივ, უნდა ითქვას, რომ ჩვენში ძალიან ცოტა გვყავს საბავშვ. მწერლები.

მიუხედავად ამისა მხატვრული საბავშვო ლიტერატურა სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება პოპულიარულ-მეცნიერულ ნაწილს, აქ ხშირად გვხვდება თარგმნა და კომპილიაცია.

ლიბანის სანატორიუმი

ლიბანის სანატორიუმის აგება, რომელიც დაიწყო 1924 წელს, დამთავრდება მიმდინარე წლის ნოემბერში, სანატორიუმის შენობა აგებულია ლენინაკანის ტუფის ქვიდან.

სანატორიუმი მდებარეობს წიწვიან ტყეში—ზღვის დონიდან 1368 მეტრის სიმაღლეზე. ყველა ოთახები ისე არის აგებული, რომ სამხრეთისკენ იყურებიან. შენობას უჭირავს 480 კვ. საჟენი. ცენტრალური ნაწილი სამ სართულიანია, ხოლო გვერდითი კორპუსები—ორსართულიანი.

სანატორიუმი ავადმყოფებს მიიღებს მთელი წლის განმავლობაში. საავადმყოფოს თვითეული ოთახი დაიტევს 1—2 ავადმყოფს. ზედა სართულში ეწყობა ღია გალერეია ავადმყოფების ჰაერით მკურნალობისათვის, მეოთხე სართულის ცენტრში ეწყობა აგრეთვე სოლიარიუმი მზის ვანებისათვის. გარდა ზემოხსენებულ განყოფილებებისა, სანატორიუმში მოწყობილი იქნება საკონცერტო დარბაზი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რენტგენის კაბინეტი, სასადილო, საექიმო პუნქტი, საწყობები და სხვ.

ამჟამად სანატორიუმის მთავარი კორპუსის გარდა, აგებულია პატარა სახლები მოსამსახურეებისა და საექიმო პერსონალისთვის, სამანქანო განყოფილების შენობა, აბანო და სხვა. სანატორიუმში გამოჰყავთ ცხრაწყაროს წყალი.

ამჟამად სანატორიუმის შენობის ასაგებად მუშაობს 350 კაცი.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მუშების ჯანმრთელობა უზრუნველყოფილია

ამ ორიოდე თვის წინეთ დამზღვევ სალაროს სამკურნალოს ქვეგანყოფილებამ მოაწყო ტალახის შესანიშნავი სამკურნალო ყოფილ ირაკლის გოგირდის აბანოსთან. სამკურნალოს განაგებს ექიმი დ. ჯავახიშვილი. ასეთი სამკურნალოს დაარსება, რა თქმა უნდა, ფრიად დიდ დახმარებას გაუწევს დაავადებულ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებსაც არ აქვთ საშუალება ან დრო სპეციალურად წავიდენ საექიმოთ ახტალაში. ტალახით სამკურნალო ამჟამად დატვირთულია ავათმყოფებით და თითქმის 2—3 თვით წინ არიან ჩაწერილი რიგში. გარდა ამისა, ტალახის ვანები თავისი სპეციფიური თვისებით ძალიან მარგებელია და მით სავსებით იკურნება დაავადებულნი. საინტერესოა აგრეთვე თვით აბაზანების მიღების პროცედურა და ამ ახალი სამკურნალოს შინა-წესრიგი.

საბჭოთა ალმშენებლობის სხვა მრავალ მიღწევათა შორის დღევანდელ პირობებთან შეფარდებით ეს ახლად დაარსებული სამკურნალო ქ. თბილისის მშრომელი მასის ჯანმრთელობის აღსადგენად პირველია და მეტად დიდი მნიშვნელობის საქმეა.

სამკურნალო მოწყობილია თავისი განყოფილებებით—საუცხოოთ; სისუფთავე უმაღლეს ხარისხამდე აღწევს; ავადმყოფების მიღება და მათდამი მოპყრობა მეტად თავაზიანია; ექიმობის და სხვა მხრივ არ არსებობს არავითარი გარჩევა, ყველას ერთნაირად ღებულობენ და ექიმობენ. უმთავრესად აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი მომენტი, რომ ადმინისტრაცია (ექიმები—ფერშლები) განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან თავის საქმეს. მედპერსონალი აბაზანის მიღების დროს ყოველ ავადმყოფს თითქმის თავს დასტრიალებს და საჭიროებისამებრ მზათ არის აღმოუჩინოს მათ ყოველგვარი საექიმო დახმარება. მომვლელი ქალები მანქანისებური სისწრაფით-დაუზარებლათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და დიდ ყურადღებას იჩენენ ავადმყოფებისადმი.

საერთოდ სამკურნალოს მთელ შემადგენლობას ამოძრავებს საზოგადოებრივი ინტერესები და მუშათა ჯანმრთელობის საკითხი. მათ მუშაობაში სრული სოლიდარობაა. ჩვენ სინამდვილეში იშვიათია ასეთი შეხმატკბილებული მოსამსახურეთა კადრის შექმნა. ალბად, კარგად გამოცდილ, დახელოვნებული პირის ექიმ დ. ჯავახიშვილის ღირსებაა ამის მიზეზი.

სამკურნალოს ავადმყოფები ერთ სულოვნებით გამოსთქვამენ კმაყოფილებას როგორც ექიმობის შესახებ, აგრეთვე სამკურნალოს შემადგენლობის მიერ ყურადღების შესახებ.

იმედია, რომ ეს თავდადებული მუშაობა და დაუზარებელი ენერგია შეუჩერებელი და მუდმივი იქნება, კერძოდ სამკურნალოს და საერთოდ საბჭოთა მშენებლობის განმტკიცების საქმეში.

ამ დიად საქმის პატრიოტებს ამხ. **ჯავაირა ხუტულაიშვილმა** და ექიმ **დ. ჯავახიშვილს** უსურვებთ ამგვარი სამკურნალოების გამრავლებას ქ. თბილისში, რომ მშრომელი მასის ჯანმრთელობა სამუდამოდ განიკურნოს. მათ მიერ დაღვრილი ღვაწლი და შეუჩერებელი ენერგია უკვდავი იქნება ქ. თბილისის მშრომელი მასის გულში და ხსოვნაში.

ავადმყოფი № 1741.

„ქირს სირცხვილი"

(მუშის შენიშვნა)

საღამო ჟამია. ვერის ხიდთან გაცხარებული ბანაობაა.

ბანაობენ ბავშვები, მოზარდები, წვერულვაშიანი ვაჟკაცები.

მობანავეები მისდევენ მტკვარს ბალკამდე, გამოდიან ნაპირზე და სანაპირო ქუჩით „ადამის ტანისამოსით" არხეინად მიდიან ხიდისკენ, ვითომ აქ არაფერიაო.

ამ ქუჩაზე კი აუარებელი ხალხი დადის ნამეტურ საღამოობით. დადიან ბავშვები, ქალები, პატარა გოგოები. შესცქერიან იქვე მოსიარულე ტიტლიკანა მობანავეებს. მე ვრწმუნდები, რომ ზოგიერთ მობანავეთ არა აქვთ სირცხვილის გრძნობა... მილიციამ ხომ იცის, რომ ქუჩაში ტიტლიკანა სიარული სირცხვილია?

რატომ არ აუკრძალავს ამ ურცხვილო ვაჟბატონებს „ადამის ტანისამოსით" სიარულს?!

მუშა ვერელი.

მუშა-გლეხკორთა ახალი რაზმები

შინაგან საქმეთა სახკომისარიატის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ გადასწყვიტა ხელი შეუწყოს ადგილებზე მილიციელ კორესპონდენტთა წრეების შექმნას პრესაში თანამშრომლობისათვის. ამის გამო ადგილებს დაეგზავნათ მიწერილობები, რომ მილიციელები ფართოდ ჩაიბან კორესპონდენტების მუშაობაში.

მაზრებში მოეწყობა განსაკუთრებული წრეები, სადაც მილკორებს შეასწავლიან ყველა იმ საკითხებს, რაც დაკავშირებულია კორესპონდენტის საქმიანობასთან.

რეგულარ ვკურნალობთ და ვისვენებთ სანატორიუმებში

აბასთუმნის მეხუთე სანატორიუმში ასამდე ავადმყოფია მოთავსებული. ამათში მძიმე ავადმყოფები ძალიან მცირეა, მძიმე ავადმყოფები პირველ რიგში უფრო ბევრი ყოფილა.

საჭმელ-სასმელი მეტად საყოფი გვაქვს დილით გვაძლევენ ორ კვერცხს, ფინჯან რძეს, კარაქს და ჩაის. თერთმეტ საათზედ საუზმეს გვაძლევენ კატლიტით, ხიზილალათი და სხვა.

სადილი ორი კერძით და ტკბილეულით გვეძლევა 5 საათზე ჩაი, 8 საათზედ გვაქვს ვახშამი მაწვნით.

ადმინისტრაცია კარგად გვეპყრობა.

უმფროს ექიმად დანიშნულია ექიმი ლომინაძე. სავარძლები სათითაოდ აქვთ ყველა ავადმყოფთ. გვყავს უფასო პარიკმახერი და სხვა.

პირველი რიგის ავადმყოფებს და ადმინისტრაციის შორის ყოფილა უთანხმოება ზოგიერთს ნაკლებზედ.ეხლა კი ასეთებს ადგილი არა აქვს.

აღსანიშნავია აქ ავადმყოფების მხრით ვადაზედ ადრე წასვლა სანატორიუმიდან, რაც დაუშვებელია. ასეთის მოვლენის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები.

წამოსვლის დროს ასეთი ავადმყოფები აიძულებენ კავშირებს, რათა ისინი გაგზავნილი იქნან სანატორიუმში და მისვლისას კი არ ემორჩილებიან ზოგიერთები სანატორიუმის წესებს და გარბიან.

აქ ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ექიმებს გაუსინჯავთ ახლად მოსული ავადმყოფი და აღმოჩენილა იგი სრულიად ჯანსაღი. სანატორიუმში იგი მოხვდა ან შეცდომით, ან და ერთგვარი ნათლიმამობით. ასეთი ავადმყოფები, რა თქმა უნდა, უკანვე დაუბრუნებიათ.

2 აგვისტოს სანატ. აოაზინდოში ჭლექის შესახებ ლექცია წაიკითხა **ექ. „ლომაურმა"**. ლექცია ძალიან შინაარსიანი იყო რამაც ავადმყოფებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

კარგი იქნება, რომ ასეთი შინაარსის ლექციები დრო გამოშვებით სხვა სანატორიუმებშიც იკითხებოდეს, რადგანაც მათ შეუძლიან დიდი სარგებლობის მოტანა ავადმყოფისათვის.

მუშკორი ნიკო მკერვალი.

ბალბოსტანკავშირის ბურბუშელის ქარხანა

ქ. გორში, სადგურის მახლობლად, არსებობს ბალბოსტანკავშირის ბურბუშელის ქარხანა. ამ ქარხანას აქვს უდიდესი მნიშვნელობა გორის მაზრის მეხილეობისთვის, მაგრამ სამწუხაროდ, აგერ წელიწადი გადის და ხუთასი ფუთი ბურბუშელა ძლივს დაუმუშავებიათ აქ. მაშინ, როდესაც სხვადასხვა მანქანებში დაბანდებულია დიდძალი თანხა, ნედლი მასალაც არის მომარაგებული, მაგრამ აქ რეგულიარული მუშაობა მაინც ვერ მოეწყო.

გამგეობამ კარგად იცის, რომ ბურბუშელა წმინდა მოგებას 30—50%-ზედ მეტს იძლევა. მაზე აუარებელი მოთხოვნილებაც არის. 24 საათი რომ იმუშაოს ქარხანამ ყოველ დღიურათ მაინც მაზრის მოთხოვნილებას იგი ვერ დააკმაყოფილებს; მიუხედავათ ამისა, ქარხანას მაინც სძინავს და ნამდვილად ზარალის მეტს არაფერს იძლევა. აქ შეიძლებოდა დიდძალი მუშახელის დაბანდება და უმუშევრობის შენელება. კერძო ვაჭრებმა უკვე დაიწყეს ბურბუშელის რუსეთიდან ათეული ფუთების რონოდებით ზიდვა და 100%-ს მოგებით ჰყიდიან.

ალბად მათი იმედი აქვს ბალბოსტანკავშირის გამგეობას, რომ აქამდის ქარხანა უყურადღებოდა მიტოვებული. ჩვენ ქარხანაში გამოხდილი ბურბუშელა ბევრად უკეთესია რუსეთისაზე და იაფიცაა. ამას ყურადღებას არავინ აქცევს. აგერ ხილის დამუშავების სეზონიც კარზეა მომდგარი და რამდენიმე ათეული ათასი ფუთი ბურბუშელა უნდა ჰქონდეს ბალბოსტანკავშირს მომარაგებული. ქარხნის სამუშაოთი დასატვირთავად მას კი ასი ფუთიც არა აქვს დამზადებული.

საქმისადმი ასეთი გულგრილობა დაუშვებელია.

დროა, ბალბოსტნის კავშირმა გამოაცოცხლოს მუშაობა.

მეგობარი.

ძველი მეგობრები მეგობრულად მიიღეს

თუთუნის ქარხანა „პროლეტარში". 6 აგვისტოს გვესტუმრა ბელგიელი მუშათა დელეგაცია. რომელმაც დიდი ყურადღებით დაათვალიერა ქარხნის ყველა განყოფილებ. ჩვენმა მუშაობამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მათზე. ისინი ზოგიერთ მუშებსაც გამოელაპარაკნენ მათ ცხოვრების პირობებზე.

შემდეგ მათ პატივსაცემად. საათნახევრით ადრე შეჩერეს მუშაობა, და ჩვენი მუშები შეგროვდნენ ახლად აშენებულ სასადილოში. გაიმართა საერთო კრება. მუშებმა საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს ერთი დელეგატთაგანი.

პირველი მისასალმებელი სიტყვა უთხრა გამოკვების პროფკავშირის თავმჯდომარემ, ამხ. ავეტისოვმა.

საპასუხო სიტყვას ამბობს დელეგაციის თავმჯდომარე, ბელგიელი ამხანაგი. მან სთქვა, რომ ბელგიიდან დღემდისაც გვეგონა, რომ რუსეთში და განსაკუთრებით საქართველოში; მუშების მდგომარეობა აუტანელია, სიმშილი და გაჭირვება წრეს გადასულია და არამცთუ მუშათა კლასი სარგებლობს ყოველგვარი თავისუფლებით, არამედ ისინი შექმნილნი მონები და ბოლშევიკების მძიმე უღელქვეშ სულს დალევენ და სხვა.

ასეთი ჭორები მთელ ევროპაში მოფენილია მენშევიკებისგან, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ბინძური სიცრუეა ახლა ჩვენ სულ სხვას ვხედავთ. ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირში თვით მუშა და გლეხია ყველაფრის ბატონ-პატრონი და სხვა.

შემდეგ ერთი მუშა ქალი შეეკითხა, თუ რატომ მათ შორის ქალი არ არისო. ამ კითხვაზე ისევ თავმჯდომარემ ღიმილით უპასუხა და სავსებით დაასურათა ბელგიელი ქალის მდგომარეობა საშინელი და აუტანელი, ბელგიელი ქალი მოკლებულია ყველა იმ უფლებებს, როგორითაც თქვენი ქალები სარგებლობენ. ის მონაა კაპიტალისტური რეჟიმისა, ბელგიელი ქალის შრომის ხელფასი იმდენად უმნიშვნელოა, რომ ყოველდღიურ აუცილებელ მოთხოვნილებასაც ძნელად აკმაყოფილებს იგი. ფულით რომ შესაძლოა იგი მოგზაურობაში ვერავინ ყიდვას ვერ შესძლებს, რადგანაც ფრანკის კურსი იმდენად დაცემულია, რომ იძულებული ხდება გამოიტანოს ბაზარში და თავის სხეულით ივაჭროს, რომ ასაზრდოოს თავის თავი და თავის შვილებიო.

დასასრულ ორატორმა უსურვა ჩვენ მუშებს უფრო გაორკეცებული ენერგიით შრომა საბჭოთა ქვეყნების საკეთილდღეოდ.

ალ. ბაჯიაშვილი.

მუშათა ქრონიკა

— კოლოფების ქარხანამ „ინტერნაციონალ"-მა ივლისის თვეში მიიღო სად. ბოროვენკოდან 1.560 ფუთი რუსული კარდონი.

— ამავე ქარხანამ, აგვისტოს პირველ რიცხვებში მიიღო 850 ფ. მშრალი წებო.

— **სხვა კავშირში გადარიცხვა.** კოლოფების ქარხნის მუშები ითვლებოდენ „ხურსათ-გემოვნები"-ს კავშირის წევრებად. ა. წ. 1 აგვისტოდან კი ჩვენ გადავირიცხეთ „მბეჭდავები"-ს კავშირში, ქარხანაში უკვე დაიწყო ანკეტების შევსება, მბეჭდავთა კავშირის წიგნაკების მისაღებად.

— **კურორტზე გაგზავნა.** თბილისის რკ.-გზის საუბნო დამზღვევი სალარო პენსიონერების შვილებს 34 კაცს აგზავნის კურორტზე, საუბნო დამზღვევ სალაროს ხარჯზე.

— **შვებულების მიცემა.** იმ პირებს, რომელთაც არ უსარგებლიათ სანატორიუმებში, კურორტებზე წასვლით მიეცათ სათანადო შვებულება.

— **რკ.-გზ. დამზღვევ სალაროზე გადასვლა.** თბილისის საქანლის სადგურის მტვირთავი მუშები ტერიტორიალურ დამზღვევ სალაროდან გადარიცხულ იქნენ რკ.-გზის უბნის დამზღვევ სალაროში.

— **შენობის გაფართოება.** თანახმად პროფკავშირის და რკ.-გზ. საუბნო კავშირის მე-7-ე კონფერენციის დადგენილებისა თბილისის რკინისგზის დამზღვევი სალარო გაფართოებულია 2 ოთახით.

— **სიმულიაციის წინააღმდეგ.** თბილისის რკინისგზის კომისიამ სიმულიაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოიწვია ექიმთა თათბირი.

— **ადგილკომების გადარჩევა დასრულდა.** უკვე დასრულდა ხაშურის უბნის ადგილკომების ხელახალი არჩევნები.

— **აბანოს დროებით გადატანა.** ვინაიდან რკ.-გზ. აბანო დაიწვა, მსურველნი დროებით სარგებლობენ მთავარ სახელოსნოს აბანოთი.

— **მემაღაროელთა სასარგებლოთ.** თბილისის რკ.-გზ. საუბნო პროფკავშირმა მიმართა ამხ. ს. ორჯონიკიძის და პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობებს, რათა ორ-ორი ფასიანი წარმოდგენა გამართონ ინგლისში გაფიცულ მემაღაროე მუშების სასარგებლოთ.

— **შეფის გაგზავნა,** თბილისის რკ.-გზ. საუბნო პროფ-კავშირმა გაგზავნა ამხ. შმესი მოსკოვში პლეხანოვის სახელობის კლუბისთვის სასულე ორკესტრის შესაძენად.

სასოფ.-ს' მ. სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია

სასოფლ.-სამეურნ. სკოლები

გუშინ, საღამოს 7 ნახ. საათზე სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის დარბაზში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლების მასწავლებელთა რესპუბლიკანური კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა განათლების კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სკოლების გამგემ ამხ. ნიკ. ღლონტმა.

ამხ. ღლონტის სიტყვა

ამხ. ღლონტი შეეხო კონფერენციის წინაშე დასმულ ამოცანებს და აღნიშნავს, რომ სასოფლო-მეურნეობის აღორძინების საქმეში აუცილებლივ საჭიროებას წარმოადგენს სამეურნეო სკოლებში გეგმიანი მუშაობის წარმოება. საჭიროა,—ამბობს—ამხ. ღლონტი,—შევქმნათ ისეთი ბაზა, რომ გლეხური მეურნეობა დავაყენოთ სოციალისტური მეურნეობის გზაზე.

დასასრულ ორატორმა იმედი გამოსთქვა, რომ კონფერენცია სავსებით სწორად გადასჭრის მის წინაშე დასმულ ამოცანებს და გამოიმუშავებს სათანადო ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო მუშაობის გასაფართოებლად.

პრეზიდიუმი

ამის შემდეგ კონფერენციამ აირჩია პრეზიდიუმში შემდეგი ამხანაგები:

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი, ვ. კანდელაკი, ნ. ღლონტი, პროფ. ჯანდიერი, ნ. იოსელიანი, ნ. ღლონტი, ფურცელაძე, ხოფერია, დანელია, შუბლაძე და დევიძე.

შემდეგ აირჩიეს სამდივნო.

დღის წესრიგი

კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1) მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობაზე, 2) საქართველოს სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები, 3) მოხსენება მესაქონლეობის, მებაღეობის, მეხილეობის და მევენახეობის მდგომარეობის შესახებ, 4) სასოფლო-სამეურნეო განათლება და სამეურნეო სკოლები და 5) მოხსენება ცენტრალურ საცდელ-საჩვენებელ სკოლის მუშაობის შესახებ.

რეგლამენტის მიღების შემდეგ ამხ. ღლონტი აცნობს კონფერენციას სასოფლო-სამეურნეო სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსების მუშაობის მთავარ ამოცანებს.

ამხ. ღლონტი აღნიშნავს, რომ ეს კურსები კონფერენციის დასრულების შემდეგ გაიხსნება თბილისსა და წინამძღვრიანთ სკოლებში.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს დილის 8 საათზე.

პროფკავშირებში

ჩვენ კავშირებში

საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა მუშაკების კავშირის ფოთის სამ. განყ. ა.-წ. 4 აგვისტოს შესდგა წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 160 კაცი.

კრებამ მოისმინა გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება.

მომხსენებელი აცნობს კრებას, თუ რა მუშაობა ჩაატარა გამგეობამ აპრილ-ივნისის თვეებში საორგანიზაციო, კულტურულ და სატარიფო-საეკონომიო დარგებში ფინანსიური ანგარიშების მუხლობრივი ჩამოთვლით.

აღნიშნავს მომავალში ადგილკომებთან არსებულ კომისიების მუშაობის გაძლიერების საჭიროების და წევრთა პროფგანვითარების მიზნით დაბალი საფეხურის პროფწრეების ადგილობრივად მოწყობის აუცილებლობას.

სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რევიზია საანგარიშო ხნის განმავლობაში სამჯერ მომხდარა ფინანგარიშების სრული გამოკვლევით.

ფინანსიურ ანგარიშების წარმოება სწორი ყოფილა და შეფარდებული ცენ. გამგეობის მიერ დამტკიცებულ მუშაობის გეგმასთან და ხარჯთ-აღრიცხვასთან, რის გამო სარევიზიო კომისია გამგეობის მუშაობას სთვლის დამაკმაყოფილებლად.

კრებამ გამგეობის მუშაობა აპრილ-ივნისის განმავლობაში სცნო დამაკმაყოფილებლად და წარმოდგენილი ფინანგარიშები დაამტკიცა. ამასთანავე გამგეობას ყურადღება მიაქციოს მუშაობაში მიაქციეს ცხოვრებაში შემდეგ ღონისძიების გატარებას: ადგილკომებთან არსებულ კომისიის მუშაობის გაფხოველებას და წევრთა პროფგანვითარებისათვის დაბალ საფეხურის პროფწრეების მოწყობას.

კრებამ გამგეობის მიერ წარდგენილი ივლის-სექტემბრის სამუშაო გეგმაც დაამტკიცა.

ქ. ჟ.

მედსანშრომის კავშირში

დასასვენებელი დღეები მედსანშრომის მუშაკთათვის

დღეს, 12 აგვისტოს, დილის 9 საათზე შრომის კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებაში შესდგება თათბირი მედსანშრომის მუშაკთა მომავალ საბიუჯეტო წლიდან გამოსასვლელი (დასასვენებელი) დღეების დაწესების შესახებ; თათბირს დაესწრებიან მედსანშრომის და ჯანსახკომის ცენტრალურ გამგეობათა წარმომადგენლები.

პროფსაბჭოს წარმომადგენლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საბჭოებში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოში პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა თავის წარმომადგენლებათ დანიშნა: ა. ფანცხავა, გ. კვიტარიძე, მარიამიძე, კალანდაძე (თბ. რკ. გზ. საუბნო კომიტეტი) და პოლოხოვი. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში—ამხ. მაჩაიძე, გაბუნია, მანას—შილინ-ქოვი, ანთიძე და სულავა (ალმშენებელია).

ინგლისში მთამადნის გაფიცულ მუშების მეუღლეებისა და შვილების დამხმარე კომისიის სხდომა

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილ ქალთა კომისიის პირველი სხდომა შესდგა 4 აგვისტოს. სხდომამ დაადგინა მოწოდებით მიმართოს საქართველოს მშრომელ ქალებს გაიღონ დახმარება ინგლისში გაფიცულ მთამადნის მუშების მეუღლეებისა და ბავშვების სასარგებლოდ.

10 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, პროფსაბჭოს წითელ დარბაზში კომისია იწვევს აქტიურად მომუშავე ქალთა სხდომას.

პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების განმარტება

ბორჯომის საქალაქო პროფბიურომ დაადგინა, რომ ის მუშა-მოსამსახურე მოხსნილი იქნეს აღრიცხვიდან და შეეწყვიტოს მას დახმარება, რომელიც სამუშაოზე უარს განაცხადებს, პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებამ ამაზე განუმარტა, მას რომ სამუშაოზე წასვლაზე უარის მთქმელის აღრიცხვიდან მოხსნის უფლება არა აქვს კავშირს, დახმარების შეწყვეტა კი შესაძლებელიაო.

მუშფაკები

ვაკანსიები მუშფაკებზე 1926—27 წ. საქ. პროფსაბჭომ შემდეგნაირად გაანაწილა: ქართულ მუშფაკზე—60 ადგილი; რუსულზე—30; სომხურზე—30.

რკინის გზის მუშფაკი გაუქმდება და შევა საერთო მუშფაკის შემადგენლობაში.

თბილისში ოთახების უქონლობის გამო პროფსაბჭოს დადგენილებით, მუშფაკის მსმენელები გაგზავნილი იქნებიან მხოლოდ თბილისიდან.

ბოტანიკური მუშაობა

მიწადმოქმედების კომისარიატმა შეიმუშავა გეგმა და ხარჯთაღრიცხვა თბილისის ბოტანიკური ბაღის კეთილმოსაწყობად.

მომავალ საბიუჯეტო წლიდან განზრახულია ახალი წყალსადენის გაყვანა, რომელიც დაჯდება 154.000 მანეთი. დადგმული იქნება ახალი ელექტრო-მოტორები.

ამჟამად ბოტანიკური ბაღის ფიზიოლოგიური ლაბორატორია აწარმოებს ვაზის ორგანიზმში პლასტიურ ნივთიერებათა დაგროვების შესწავლას, ფიტოპატოლოგიური ლაბორატორია იკვლევს ვაზის ავადმყოფობას, რომელსაც ძირის სიდამპლე ეწოდება და იმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს მასთან საბრძოლველად.

ინტენსიურად მუშაობს აგრეთვე სელექციის კაბინეტი, სადაც სწარმოებს მუშაობა სიმინდის, ლობიოს, პურის და ხორბლის ახალი ჯიშების მისაღებად. ივლების საცდელი სადგური აწარმოებს გლეხის სათესლე მასალის გამოკვლევას.

სწარმოებს აგრეთვე მუშაობა სარეველა მცენარეების ბიოლოგიის გამოსარკვევად. კახეთის და საქარის საცდელი სადგურები იკვლევენ ხის მავნებლობის ბიოლოგიას.

მდელოსნობის კაბინეტი შეუდგა სათიბ-საძოვარი ადგილების და ბალახის თესვის საკითხების გამორკვევას.

საექიმო პერსონალი

მედსანშრომის კავშირმა გამოიმუშავა პროექტი—საექიმო პერსონალის მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საქ. პროფსაბჭომ წინადადება მისცა მედსანშრომის კავშირის ცენტრალურ გამგეობას წარმოადგინოს აღნიშნული პროექტი დასამტკიცებლად საქ. სახკომსაბჭოში.

სატრაქტორო კურსები

მიწათმოქმედების კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა დებულება და ხარჯთაღრიცხვა ტრაქტორისტების 5-თვიან კურსების მოსაწყობად. კურსები გაიხსნება თბილისში ამა წლის ოქტომბრის 1-დან. კურსებზე მიღების დროს უპირატესობა მიეცემათ მაზრებიდან გამოგზავნილ კანდიდატებს.

ტყეების ექსპლოატაცია

მიმდინარე საოპერაციო წლის მესამე კვარტალში (აპრილ-ივნისი) რესპუბლიკის ტყეების ექსპლოატაცია შემდეგ ციფრებში გამოიხატება: ტყეებიდან გაცემულია 1.545.291 კუბიკური ფუტი საშენი მასალა, 12.271 კუბ. საჟ. შეშა, ფიჩხი და წნელი—1.154 კუბ. საჟ. მარგილი—54.775 ც., ქიგო——556.085 ც. და სხვ.

ბრძოლა ხანძართან

სახანძრო საქმე მაზრებში

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი მთავარ ყურადღებას აქცევს ამჟამად ხანძართან ბრძოლის მოწესრიგებას საქართველოს მაზრებში. ყველა ის თანხები, რომელიც შ. ს. კომისარიატის კომუნალურ განყოფილებას მიეცა სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მოგებიდან, ხმარდება სხვადასხვა სახანძრო ინსტრუმენტებისა და მოწყობილობის შეძენას მაზრების სახანძრო ნაწილებისათვის. მაგ. გასულ წელს სახელმწ. დაზღვევის სამმართველოს მოგებიდან მიღებული 14 ათასი მანეთით შეძენილი იქნა სახანძრო იარაღები, რომელმაც საშუალება მისცა შ. ს. ს. კომ. კომუნალურ განყოფილებას სახანძრო რაზმი მოეწყო საქართველოს 12 პუნქტში.

მიმდინარე წელს შ. ს. ს. კომისარიატის კომუნალური განყოფილება იმავე მიზნებისათვის სახელ. დაზღვევის სამმართველოს მოგებიდან ღებულობს 32 მანეთს, რომელიც განზრახულია მოხმარდეს ახალი სახანძრო პუნქტების მოწყობას იმ რაიონებში, სადაც ისინი არ არსებობენ და აგრეთვე ახალი იარაღების შეძენას უკვე მოწყობილ სახანძრო რაზმების ინვენტარის შესავსებათ.

გარდა ამ ღონისძიებებისა, შ. ს. ს. კომ. კომუნალური განყოფილება გზების სახანძრო რაზმებისათვის კვალიფიციური ხელმძღვანელების მოსამზადებლად თბილისში აწყობს 6 თვიან კურსებს, სადაც სამეცადინოთ მოწვეული იქნება 20-მდე ახალგაზრდა. კურსები გაიხსნება ა. წ. პირველ ოქტომბრიდან.

მოკლე ხანში გამოცემული იქნება აგრეთვე სახანძრო საქმის შესასწავლი სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც უკვე შედგენილია ქართულ ენაზე.

ქრონიკა

პროფსაბჭოს წარმომადგენლები უნივერსიტეტებში

პროფსაბჭომ თავის წარმომადგენლებად სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოში დანიშნა: ამხ. ფანცხავა, კვიცარიძე, მარიამიძე, ანთიძე და პოლოსოვი. სახ. პოლიტიკურ ინსტიტუტის საბჭოში კი წარმომადგენლებად დანიშნა: ამხ. მაჩაიძე, მარკმანი, სულავა და კალანდაძე.

პროფმოძრაობის კურსები

საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულმა პროფმოძრაობის კურსებს ქონდა 8.000 მან. შემოსავალი. კურსების ხარჯები უდრის 8.854 მან. დეფიციტი — 854 მან. პროფსაბჭოს კულტფონდის თანხებით იქნა დაფარული.

ასპინძის რაიონის ტყეების მოწყობა

მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ გაგზავნა ახალციხის მაზრაში ტყის მომწყობი ჯგუფი ტაქსატორ ვ. კონსტანტინაშვილის მეთაურობით, ასპინძის რაიონის ტყეების მოსაწყობად, 5.000 დეს. არეზე.

სატყეო მეურნეობის რევიზია

მიწათ-მოქმედების სახ. კომსარიატის სატყეო განყოფილებამ სწავლული მეტყევე ალ. მაიშმელაშვილი გაგზავნა რაჭის მაზრაში ადგილობრივ სატყეო მეურნეობის რევიზიისათვის.

ხე-ტყის მასალა ახალქალაქის მაზრის მოსახლეობისათვის

ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთათვის ახალციხის მაზრის ტყეებიდან ხე-ტყის მასალის გაცემის შესაძლებლობის და რაოდენობის გამოსარკვევად ახალციხის მაზრაში გაიგზავნა რევიზორ - ინსტრუქტორი ვ. ქარსელაშვილი.

სახელმწიფო საჯინიბოს გაფართოება

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ ნება დართო სახელმწიფო ცხენთსაშენის განყოფილებას ხუთი ჯიშიანი ცხენის შეძენა თბილისის სახელმწიფო საჯინიბოს გასაფართოებლად.

მცირე მცოდნეთა სკოლები

საქ. პოლიტგანათლების მთავარმართველობას მთელ რესპუბლიკაში გახსნილი აქვს მცირე მცოდნეთა სკოლები ექვს მაზრაში: ქუთაისში—7, თელავში—4, რაჭაში—5, ფოთში—1, ზემოსვანეთში — 1 და თბილისში — 106; სულ გახსნილია 124 სკოლა. გამოშვების აქტები მღებულია: თბილისის, ქუთაისის, ფოთის და რაჭის 119 სკოლიდან, კურსი დაუმთავრებია 2095 მსმენელს; მათ შორის მამაკაცი — 1659 და ქალი —436. ამათში 1289 არის პროფკავშირების წევრი, 806 კი არა პროფკავშირის წევრი.

შრომის ბირჟის კომიტეტში

— **ბინები უმუშევართათვის.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა, მოაწყოს უმუშევართათვის ღამის გასათევი ბინები, ასი კაცისათვის და სასადილო - საჩაიე, — 500 კაცისათვის.

— **სესხი.** მეჩექმეთა კოლექტივს დამატებით მიეცა 1.000 მან. სესხის სახით, მუშაობის გასაგრძელებლად.

— **თათბირები.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა, რომ შემდეგში სისტემატიურად ხდებოდეს კოლექტივების გამგეობათა თათბირები, თითეულ კოლექტივის ტერიტორიის ფარგლებში.

სხვადასხვა

— **ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები.** ამიერ-კავკ. სახ. კომისართა საბჭომ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მოსაწყობათ გადასდო 150 ათასი მან.; ამ თანხიდან საქართველოსათვის გადაიდება — 106.676 მან., სომხეთისათვის — 6.531 მან. და აზერბეიჯანისათვის—36.785 მან.

— **დადგენილება.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა ჯანმრთელობის განყოფილების ექიმებს ბიულეტენის შევსებისა და რეცეპტების გამოწერისათვის მიეცეთ ისეთივე უფლება, როგორიც აქვთ დამზღვევი სალაროს ექიმებს.

— **„კახეთი“-ს რწმუნებულთა კრება.** კვირას 22 აგვისტოს გურჯაანში შესდგება კახელ—მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოების „კახეთი“-ს რწმუნებულთა ჩვეულებრივი კრება.

— **თბილისის ტელეფონის ქსელზე** მორიგე ტელეფონისტთა მხრივ აბონენტთა გამოძახებაზე პასუხის გაცემის დროს „ცენტრალნაია“-ს მაგიერ შემოღებულია შემდეგი წესი: აბონენტს მორიგე ტელეფონისტი უსახელებს მხოლოდ თავის პირად ნომერს. დასახელებულ ნომრის შეერთების წინ იმეორებს ნომერს და მხოლოდ შემოწმების შემდეგ აერთებს მას.

— **შტატების შემცირება.** იმის გამო, რომ ზაჰესის მუშაობა უკვე მთავრდება, სწარმოებს შტატების შემცირება, დღემდე არსებული შტატი შემცირებულია 50 პროცენტით.

შემთხვევები

— **ქურდობის განზრახვა.** 11 აგვისტოს სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკში შეიპყრეს ფედორკინი და ორი მისი ამხანაგი: შვენდელი და კენინი, რომლებიც ცდილობდენ ზუგდიდის „ეპო“-ს რწმუნებულისათვის პორტფელიდან ფულის მოპარვას.

— **125 მან. მოპარვა.** 11 აგვისტოს შტაბის ქუჩაზე № 2-ში მცხოვრებ ნ. მელიმონაძის ბინიდან, მისი სახლში არყოფნის დროს მოიპარეს 125 მ.

— **ქურდობა.** გაქურდეს კომუნალურ ქ. № 121-ში მცხოვრებ ა. ფარსადანოვის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვადასხვა ნივთები 500 მანეთისა.

— **ფულის გატაცება.** 11 აგვისტოს ხელოსანთა კავშირის მოლარეს ედიშერიძეს გაუტაცებია 3.600 მან. კავშირის ფული და მიიმალა.

— **ქურდის შეპყრობა.** 10 აგვისტოს გაქურდეს მ. ბელოვანის ბინა (კამოს ქ. №55), საიდანაც წაიღეს სხვადასხვა ნივთები და ოქროულობა. მილიციამ აღმოაჩინა ქურდი გეურქა ქარელი და შეიპყრო.

— **თავის ჩამოხრჩობა.** ერწოს რაიონში, ს. ალოტაში თავი ჩამოიხრჩო ხევსურმა ქალმა მ. ჭინდიკაურმა.

საზიზღარი მკვლელობა

გუშინ დილის 10 საათზე ხორცით მოვაჭრე მამედ აბრეხიან-ოღლის დუქანში (კომუნალური ქუჩა, სახლი № 57) შევიდა ვინმე ალი აბას-ოღლი.

აბას-ოღლიმ 6 ტყვიით სასიკვდილოთ დასჭრა მამედ ობრეხიან-ოღლი.

გასროლილმა ტყვიამ გაანგრია მოსაზღვრე დუქნის კედელი და მსუბუქათ დაიჭრა მაღაზიის მეპატრონე მოქ. აბდულ გასან-ოღლი.

მამედ ობრეხიან-ოღლი რამოდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა. გვამი გადაგზავნილია საავადმყოფოს პროზექტურაში. დაჭრილი აბდულ გასან-ოღლი მოთავსებულია საავადმყოფოში. მკვლელი ალი აბას-ოღლი სისხლის სამართლის მილიციას გადაეცა.

წინასწარი გამოძიებით ირკვევა, რომ მამედ ოღლის წინათ დაუჭრია ალი აბას-ოღლი, რის გამო მათ შორის შური არსებობდა.

ყაჩაღის დაჭერა

გუშინ ოზურგეთის სამაზრო მილიციაი დაიჭირა და გაძლიერებული ყარაულით ოზურგეთში ჩამოიყვანა ერთ-ერთი ყაჩაღი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ბახმაროზე მიმავალ ექსკურსანტებზე თავდასხმაში. ყაჩაღი ყველაფერში გამოტყდა და ყველა თავისი ამხანაგები გასცა. საქმე გადაეცა პროკურატურს.

გაძარცვა

ურიათუბანში (თელავის მაზრა) გააძარცვეს მიწათ-მოქმედების კომისარიატის მიერ საცდელ სადგურზე სამუშაოთ მივლინებული სპეციალისტები და პრაქტიკანტები. მძარცველები ღამით შეიჭრენ ქოხში, სადაც მივლინებულები იმყოფებოდენ და რაც მათ ებადათ ყველაფერი წაიღეს.

მკვლელობა

— გუშინ საღამოს მტკვრის პირას, მირაზოვის დუქანთან **გიორგი ხაჩბაზოვმა** ჯიბის დანით გულში რამოდენიმეჯერ ჩაცემით მოჰკლა ლაზარევის ქ. სახლი №47-ში მცხოვრები **გ. ყარამოვი.**

მკვლელი ხაჩბაზოვი დაპატიმრებულია.

ჯიბგირის შეპყრობა

— გუშინ, საღამოს პუშკინის ქუჩაზე მოქ. **ვენეცკის** მოჰპარეს რედიკული 250 მანეთით. ჯიბგირი **არამ დალუიანცი** შეეცადა გაქცევას, მაგრამ საგუშაგოზე მყოფ მილიციელის მიერ დაპატიმრებული იქნა და გადაიგზავნა სისხლის სამართლის მილიციაში.

ხელოვნება

დრამის მსახიობთა კოლექტივი

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ მოაწყო ქართული დრამის მსახიობთა მოძრავი კოლექტივი, რომელშიაც შედის 17 კაც. კოლექტივი მოგზაურობს ქალაქებსა და სოფლებში და მართავს ქართულ დრამატიულ წარმოდგენებს.

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას კოლექტივი უჯდება თვეში 1700 მანეთი. წარმოდგენებიდან შემოსავალი საშუალოთ უდრის 1200 მანეთს. ვინაიდან კოლექტივის მუშაობას აქვს უდიდესი კულტურული მნიშვნელობა, საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა დეფიციტი დაფაროს და ყოველთვიურად ამ მიზნით გადასდვას 500 მანეთი კულტფონდიდან.

◆

ძვირფასი კულტურები

ბრინჯის მცენარე გურიაში

უკანასკნელ ხანებში გურიის გლეხობის სასოფლო-მეურნეობაში ფეხს იკიდებს ქვეტროპიკული მცენარეების კულტურა. მაგ., ამ უკანასკნელი სამი—ოთხი წლის განმავლობაში ძალიან გავრცელდა ბრინჯის თესვა. პირველმა ცდებმა კარგი ნაყოფი გამოიღეს. ბრინჯი ხარობს მზიან და ამავე დროს ჭარბწყლიან ადგილებში. ამჟამად გურიაში ბრინჯი იმდენი მოდის, რომ სავსებით აკმაყოფილებს ადგილობრივ ბაზრის მოთხოვნილებას.

მიმდინარე წელს გურიაში ხელი მოჰკიდეს ახალ სუბტროპიკულ მცენარის—კენაფის კულტურას.

ახალი კულტურების შემოღებამ წარმოშვა გაუმჯობესებულ იარაღების საჭიროება. მაგ. წელს დიდი მოთხოვნილება იყო ევროპიულ ფარცხებზე. მაზრის დაბლობ ადგილებში გამოცდილ იქნა აგრეთვე ტრაქტორები.

◆

საცდელი მეველეობა

ტირიკონის ველზე სასოფლო-მეურნეობის მთავარი დარგი არის მეველობა, რომელსაც მისდევს მთელი ტირიკონის ველის მოსახლეობა. არავითარი გაუმჯობესება გლეხურ მეურნეობას არ ეტყობა, რადგან მეველეობა სწარმოებს ძველი წესებით და საშუალებებით. საცდელი მეურნეობის მოუწყობლობა ტირიკონის ველზე ძალიან მოქმედობს მოსავლიანობაზე. ამიტომ ჯერ კიდევ რამოდენიმე წლის წინად აღიძრა სპეციალური საცდელი ბანდურების მოწყობის საკითხი. ამჟამად უკვე ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა მიწადმოქმედების კომისარიატის სასოფლო-მეურნეობის სამმართველო. ამ უწყების მიერ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა საჭირო მიწის ნაჭერის დათმობის შესახებ საცდელი მეველეობის მოსაწყობად. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს განზრახვა აქვს საცდელ მეველეობისათვის მიწის ნაჭერი გამოჰყოს იმ ფონდიდან, რომელიც შეიძინება ტირიკონის ველის მორწყვის და სამიწადმოწყობო მუშაობის დამთავრების შემდეგ.

სასამართლო

ყაჩაღების გასამართლება

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით დაიწყება სიმონ **ძებნიაურის,** გიორგი **მაჭავარიანის** და ნიკოლოზ **ანასტასიანის** საქმე. 1922 წ. 29 ივლისს, ბრალდებულნი შეიარაღებულნი თავს დაესხენ ხარლამპოვის შესახვევზე № 10-ში მცხოვრებ იოსებ ყაზაროვს და მოკვლის მუქარით გაძარცვეს იგი. წაიღეს ოქროულობა, ფული და სხვა. ყაზაროვმა ყაჩაღებს წინააღმდეგობა გაუწია, რის გამო მას სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს. არ გასულა დიდი ხანი, რომ ყაჩაღები დაპატიმრებულნი იქნენ.

წინასწარი გამოძიებით გამოირკვა, რომ ბრალდებული ანასტასიანი სისტემატიურად ეწეოდა გლეხების ოჯახების აწიოკებას და დარბევას.

თავდამსხმელების საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ მათე და იპატო **ფერაძეებს** და შალვა **ჯავახიძეს,** როგორც გაძარცვის მიზნით შეიარაღებულ თავდასხმის მოწყობის ხელმძღვანელებს მიესაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, ხოლო პავლე **თოფურიანს** და შალვა **სამსონაძეს** აღნიშნულ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღებისათვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა 14 აგვისტოს.

მოქ. ლევიძის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **შ. ოდილავაძის** თავმჯდომარეობით და პროკურორ **გრიგოლიას** მონაწილეობით ქ. სიღნაღში გაარჩია ვანო **ლევიძის** საქმე.

ლევიძეს ბრალდებოდა მოქ. **ქოქროშვილის** მოკვლა.

ბრალდებულსა და ქოქროშვილს შორის წინეთ ცუდი განწყობილება არსებობდა. ლევიძე შეზარხოშებული შეხვედრია ქოქროშვილს და ხანჯლით ჭრილობა მიუყენებია. ამ ჭრილობისაგან ქოქროშვილი გარდაიცვალა.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავეთ და დასძინა, რომ მკვლელობა ჩაიდინა თავდაცვის ნიადაგზე.

სასამართლომ ბრალდებულ ლევიძეს მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

ექსკურსიები

15—16 აგვისტოს ექსკურსიები

ორშაბათი 16 აგვისტო დასასვენებელი დღეა. დაწესებულებები და წარმოებებში ორი დღით (კვირა და ორშაბათი) შეჩერდება მუშაობა. ამ ორ დღეს პროფესიონალური კავშირები გამოიყენებენ მთელ რიგ ექსკურსიების მოსაწყობათ.

მასიური ექსკურსია ბათომში, რომლის მოწყობაც განზრახული ქონდა საქართველოს პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებას სხვადასხვა ტეხნიკური მიზეზების გამო არ შესდგება.

სამაგიეროთ ცალკე კავშირები აწყობენ ჯგუფურ ექსკურსიებს—ბორჯომში, ბათომში, ბაკურიანში, ერევანში და სხვაგან.

პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებაში ყოველ-დღე შემოდის კავშირებიდან მოთხოვნილება საექსკურსიო ბილეთებზე. ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კულტ-განყოფილებამ გამოითხოვა ა.-კ. რკინისგზების სამმართველოდან დამატებითი 800 შეღავათიანი ბილეთი.

ჯერ-ჯერობით საბჭოთა მუშაკების კავშირს მიეცა 150 ბილეთი, გემო-კვების კავშირს—75 ბილეთი, აღმშენებელთა კავშირს—40 ბილეთი, მიწა-ტყის კავშირს—30. ბილეთების განსაზღვრული რაოდენობა ეთმობა დანარჩენ კავშირებსაც.

◆

რადიო-მშენებლობა

ამიერ-კავკასიაში რადიო-მოყვარულთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. მათ სამსახურს ვეღარ უწევს თბილისში არსებული რადიო-მოამბე სადგური. მაგალითად ისეთი ქალაქები როგორიც არის ბაქო. ბათომი და სოხუმი ვერ ისმენენ რადიო-გადაცემებს თბილისის სადგურიდან, უკანასკნელის სუსტი სიმძლავრის გამო.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად თავის დროზე იქნა მიღებული საჭირო ზომები და ამჟამად უკვე მიღებულია და იდგმება მძლავრი რადიო-მოამბე სადგური, რომელიც გადასცემს კონცერტებს, მოხსენებებს, რადიო-გაზეთებს ა.-კ. ყველა რადიო-მოყვარულთ.

გარდა ამისა საგარეჯოში მოწყობილია მძლავრი მიმღები სადგური, რომელიც მიიღებს რადიო-ცნობებს საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქებიდან და საზღვარგარეთიდან და შემდეგ რადიო-მოამბე სადგურის საშუალებით გადასცემს ყველა რადიო მოყვარეებს.

მუშათა სასახლეში ეწყობა რადიო-სტუდია. ამ სტუდიის დანიშნულებაა შეაერთოს რადიო-მოამბე სადგური თბილისის საოპერო თეატრის, რუსთაველის თეატრის და კონსერვატორიის დარბაზებთან, რომ ყოველივე საოპერო სიმღერა და კონცერტები გადაცემული იქნეს რადიო-მოამბის საშუალებით მთელს ამიერ-კავკასიაში.

ვიდრე ახალი მძლავრი რადიო-მოამბე სადგური მოეწყობოდეს, განახლებულ იქნება კონცერტების და ლექცია-მოხსენებების გადაცემა არსებულ სადგურის საშუალებით. ასეთი გადაცემა, სხვათა შორის, ეწყობა დღეს საღამოს 9 საათიდან 11 საათამდე.

◆

რკინის გზებზე

კერძო რადიო-სადგურები

ა.-კ. რკინისგზების სამმართველოს ბრძანების თანახმათ კერძო რადიო-ანტენების დასადგმელათ და სადგურების მოსაწყობათ რკინისგზების მიდამოების ფარგლებში საჭიროა სათანადო უბნის ადმინისტრაციის ნებართვა.

ხიფათის აცილება

10 აგვისტოს სად. ნახიჩევანიდან მატარებელი № 11 გამგზავრების დროს ისარი გადაყვანილიყო დეპოს ჩიხისაკენ. მოსალოდნელი იყო მატარებლის ჩიხზე დაჯახება, მაგრამ მემანქანემ შეამჩნია ეს და გააჩერა მატარებელი. ამან გამოიწვია დაგვიანება 35 წუთით.

მემანქანეს დაეძინა

10 აგვისტოს ავჭალიდან გაემგზავრა ორთქლმავალი № 2070. გზაში მემანქანეს დაეძინა და ორთქლმავალი გაჩერდა 274 ვერსზე. მემანქანე გააღვიძა მორიგე მონტიორმა. მისი დაუდევრობის გამო მატარებელი № 4 გაჩერებული იყო სად. ავჭალაში 2 საათის განმავლობაში და მატ. № 3386 თბილისში 1 ს. 15 წუთით.

ტალახით სამკურნალო

შრომის კომისარიატის ქიმიური ლაბორატორია აწარმოებს თბილისის ტალახით სამკურნალოს გამოკვლევას.

გამოკვლევის მიზანია გამოარკვიოს, თუ როგორი შრომის პირობებია საავადმყოფოში, საავადმყოფოს ატმოსფერა როგორ გავლენას ახდენს იქ მყოფ ავადმყოფებზე, რამდენად და რითაა ჰაერი გაფუჭებული და სხვა.

◆

ქეცის მკურნალობა

ჯანმრთელობის კომისარიატს განზრახული აქვს ჩაატაროს კანის ავადმყოფობის—„ქეცის“ მასიური ექიმობა. დღემდე არსებული ცნობებით პროვინციაში აღრიცხვაზე აყვანილია 750 კაცამდე ქეცით დაავადმყოფებული.

განზრახულია ყველა ავადმყოფების თბილისში თანდათანობით გადმოგზავნა რენტგენის სხივებით საექიმოთ და განსაკურნავად.

◆

პროფმოძრაობის ისტორია

საქართველოს პროფმოძრაობის ისტორიის კომისიამ (რომელმაც მუშაობა დაიწყო 1926 წლის იანვარში) შეაგროვა საბჭოთა საქართველოს რევოლიუციონურ პროფმოძრაობის მოღვაწეთა ფოტოგრაფიული სურათები, ხელთნაწერები და სხვა მასალები, რომელიც ეხება საქ. პროფმოძრაობას 1917—21 წლის პერიოდში.

შეგროვილია აგრეთვე მუშათა დიდი ძალი მოგონებები და აგრეთვე სხვა ისტორიული საბუთები, რომელიც გამოცემული იქნება.

იკრიბება აგრეთვე სხვა მასალებიც, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს. დამზადებულია გამოსაცემად „საქართველოს მუშათა მოძრაობა“.

ეს შრომა შეიცავს ეპოქას 1800 წლიდან 1917 წლამდე და აღწერს მუშათა და სამთამადნო მუშების პროფესიონალურ მოძრაობას საქართველოში (1800 წელს საქართველოში დაიწყო სპილენძის დამუშავება, შემდეგ შავი-ქვის, ქვანახშირის, ბარიტის და სხვა.). წიგნი გამოცემული იქნება მოკლე ხანში.

საქ. პროფკავშირთა სამაზრო პროფბიუროებს დაევალათ მასალების შეგროვება საქ. პროფმოძრაობის ისტორიის შესახებ.

◆

ფიზიკური კულტურა

საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვება გერმანიაში

ბერლინი, 11 აგვისტო. გამოსვლა საბჭოთა ფეხბურთელების გუნდის, რომელიც მუშა-ფეხბურთელების კავშირის მოწვევით ჩავიდა გერმანიაში, დიდის წარმატებით ჩატარდა. ყველა შეჯიბრი გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით დამთავრდა. ლეიპციგში შეჯიბრი გათავდა ასეთი შედეგით: 5:2, ხემნიცში—7:2, დრეზდენში—10-1, შტუტგარტში—9:1. უკან დაბრუნებისას საბჭოთა კავშირის ფეხბურთელები შეეჯიბრებიან ლატვიის მუშა ფეხბურთელების გუნდს რიგაში.

ახლო-აღმოსავლეთის სასპორტო დღესასწაული

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის საბჭოს განზრახვა აქვს, ამა წლის შემოდგომაზე თბილისში მოაწყოს, მთელ საბჭოთა კავშირში პირველი—ფიზკულტურის ახლო - აღმოსავლეთის დღესასწაული.

დღესასწაულზე მოწვეულ იქნებიან სპარსეთისა და ოსმალეთის მუშა-სპორტსმენები. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ მთელი ამიერ-კავკასიის და ჩრდილო-კავკასიის ფიზკულტურის ორგანიზაციების წარმომადგენლები. დღესასწაულს ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმ მხრივ, რომ იგი ხელს შეუწყობს ახლო-აღმოსავლეთის ყველა ქვეყნების მუშა-სპორტსმენების დაახლოვებას და მათ შორის კავშირის განმტკიცებას.

მეცნიერება და ტექნიკა

მომავალი ყინულოვანი პერიოდი

ამერიკელი ასტრონომები და მეტეოროლოგები, მათ რიცხვში ვაშინგტონის ობსერვატორიის დირექტორი **ბროუნი,** წინასწარმეტყველობენ, რომ წრევანდელი ზაფხული უკანასკნელი ზაფხულია ამ სახელის ღირსი. ბროუნი ამბობს, რომ 1927-28 წლიდან დაიწყება მზის ძალის შესუსტება, ამის გამო მოხდება ტემპერატურის ისეთი ცვალება დედამიწაზე, რომ ჩვენი პლანეტის ცხოვრება ძირ-ფესვიანათ შეიცვლება. ხორბლეულობის რაიონები გადაინაცვლებს უფრო ახლო ეკვატორისაკენ. პოლიარული ყინულების რაიონი გაფართოვდება და ჩრდილოეთის პოლიარული ყინულების რაიონი მოაღწევს ლაბრადორამდე და შპიცბერგენამდი. წვიმა და დარი ისე იქნება განაწილებული მთელი წლის მანძილზე, რომ განცვიფრებას გამოიწვევს. ერთი სიტყვით უნდა ველოდოთ ახალი ყინულოვანი პერიოდის დადგომას.

გვიანი გაზაფხული გამოიწვევს მიწის დამუშავების ხარჯების გადიდებას, ამის უშუალო შედეგი იქნება ის, რომ მეტად წვიმიანი წლები დაიწყება. ბროუნი ამტკიცებს, რომ ზომიერი ყინულოვანი პერიოდის დადგომის ზეგავლენით, დადამიწაზე იქნება ისეთივე ტემპერატურა, როგორიც მეთოთხმეტე საუკუნეში იყო.

ინგლისელმა მეცნიერმა **ნეპირ შოუმ** ამერიკელების წინასწარმეტყველებათა შესახებ განაცხადა, რომ მართლაც ამერიკელები უკანასკნელ ხანებში ყურადღებით ისწავლიდენ მზის გამოსხივებას მათ მიერ სპეციალურად დამზადებული აპარატის საშუალებით. „მე არ ვიციი,— განაცხადა **შოუმ,**—გამოირკვა თუ არა ამ გაზომვებით მზის გამოსხივების შემცირება. შესაძლებელია, რომ გაუმჯობესებული საშუალებებით მართლა მოხერხდეს მზის სიცხოველის შემცირების გამორკვევა“.

აეროპლანები პოლიარულ საჰაერო მიმოსვლებისათვის

ჩრდილოეთ პოლიუსის აღმოჩენა ხელს შეუწყობს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის—ევროპასა, აზიასა და ამერიკას შორის—საჰაერო მიმოსვლის მოწყობას უმოკლესი მანძილით.

ამ ხაზებისათვის მუშავდება ორი კონსტრუქციის აეროპლანი. ერთი კონსტრუქციის აეროპლანები დანიშნულია ამ საჰაერო გზებისა და სადგურებისათვის, მეორე კი—ამ გზებზე სამუშაოთ.



აქვე მოყვანილ სურათზე ნაჩვენებია მუშა-აეროპლანი, რომლის შიგნითა ნაწილი დანიშნულია ბენზინის შესანახად.

ასე მაგალითად, აეროპლანის შიგნითა ნაწილში სჩანს სპეცრალური კასრები ბენზინისათვის, მათ გვერდში დადგმულია ბენზინის ბაკი, რომელიც 300 კილოგრამ ბენზინს იტევს და სხ.

ბენზინის საწყობს იქით მოთავსებულია სამეთვალყურეო განყოფილება, რომლის იატაკში გამოჭრილია თვალყურის სადევნებელი ფანჯარა. ამ ფანჯარიდან ფოტოგრაფიული აპარატის საშუალებით აწარმოებენ საჭირო სურათების გადაღებას.

მამოძრავებლის სახით აქ სარგებლობენ „ლიბერტის“ სისტემის 12 ცილინდროვან 400 ძალიან მოტორით.

იურიდიული დახმარება

ნაპოვნი ბავშვის და მიშვილების შესახებ

კითხვა

ა.-წ. 17 ივლისს სადგურ თბილისში ვიპოვნე უპატრონო ბავშვი (ვაჟი 10 წლისა), რომლისაც რაიმე საბუთები არ აღმოაჩნდა. ბავშვის განცხადებით დედ-მამა მას არ ჰყავს, ნათესავებში მან არ იცის. (ბავშვის სახელი გვარი და მამის სახელი, მისი განცხადებით არის—ვლადიმერი გიორგის ძე შოვნაძე.) ეს ბავშვი მე აგიყვანე და ყოველივე ამის შესახებ განვაცხადე მე-11 სამილიციო უბანში, რომ გამოეძიებით. მაგრამ კვლევა-ძიების შემდეგაც ბავშვს პატრონი არ აღმოაჩნდა.

მე მინდა ბავშვი ავიყვანო შვილათ კანონიერ ფარგლებში.

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება, შესაძლებელია თუ არა ბავშვი დაიწეროს ჩემს სახელზე.

ქ. თბილისის საქონლის სადგურის უფროსი მუშა **კოსტა ლუტიძე.**

პასუხი

დეკრეტი № 28-ის მუხ. 24 და 25-ის თანახმად, ბავშვის პოვნის შესახებ, უპირველეს ყოვლისა თქვენ უნდა შეიტანოთ სათანადო განცხადება მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ ადგილობრივ განყოფილებაში („მმაჩ“ში). ბავშვის პოვნის შესახებ განცხადებასთან ერთად უნდა იქნეს წარდგენილი ადგილობრივი ადმინისტრაციის თანამდებობის პირთაგან შედგენილი და შემოწმებული ოქმი, რომელშიაც უნდა იქნეს აღნიშნული დრო, ადგილი და გარემოება ბავშვის პოვნისა, ბავშვის სქესი, აწერილობა მისი ტანის განსაკუთრებულ ნიშნებისა, თუ კი მას ასეთები აღმოაჩნდება. უნდა აღინიშნოს აგრეთვე დაახლოვებით—რა ხნისაა ბავშვი, ბავშვთან ნაპოვნი ნივთები და საბუთები, რომელთა შინაარსი სიტყვა-სიტყვით უნდა იქნეს აღნუსხული, ოქმში უნდა იყოს აღნიშნული, თუ რომელ პირს ან ორგანიზაციას გადაეცა ბავშვი.

ბავშვის შვილად აყვანა ს. საკავშირო საბჭ. რესპუბლიკების ცაკის მიმდინარე წლის დადგენილებით დაშვებულია. შესაძლებელია შვილად აყვანილს მიეცეს თვით ამყვანის გვარიც. ყოველ ასეთ ამაზე თქვენ უნდა შეიტანოთ ცალკე განცხადება („მმაჩ“-შივე).

მეკუთვნის თუ არა კვირაში ერთი დასვენებელი დღე

კითხვა

მე ვმსახურობ მუშკოოპში ვარ გემო-კვების კავშირის წევრი (წიგნაკი № 8807) ყოველ დღიურად მიხდება მუშაობა 11—12 საათი ჯამაგირს ვღებულობ 175 მანეთს. მეკუთნის თუ არა კვირაში ერთი დღე დასვენება.

კავშირის წევრი (წიგ. № 8807).

პასუხი

შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 109-ის თანახმად ყველა დაქირავებით მომუშავე მუშა-მოსამსახურეთ აუცილებლად უნდა მიეცეს კვირაში ერთი დასასვენებელი დღე, რომელსაც თვით დაქირავებული მოისურვებს, თუ კი ყველა მომუშავეთათვის ერთ და იგივე დღის დასასვენებლად გამოყენება სხვადასხვა მიზეზების გამო შეუძლებელი ხდება, ამიტომ კვირაში ერთი დასასვენებელი დღე თქვენც უნდა მოგეცეთ.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე მიღების შესახებ

კითხვა

ვარ ნამსახური მასწავლებლათ 7 წელიწადი. ამავე დროს მაქვს დამთავრებული საშუალო სასწავლებელი (ჰუმანიტარული ტეხნიკუმი) 923—24 წ. გთხოვთ გვიპასუხოთ, მიმიღებენ თუ არა პედაგოგიურ ფაკულტეტს უგამოცდოთ, და თუ არა შეღავათი თუ მომეცემა?

მასწავლებელი.

პასუხი

უგამოცდოთ და კლასობრივად შერჩეულად უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებიან მხოლოდ მუშფაკებში კურსდამთავრებულები სხვებმა უნდა ჩააბარონ გამოცდები მათემატიკაში (ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრია, ფიზიკაში, საზოგადოებათა მეცნიერებაში, ქართულ წერებში (უნივერსიტეტში) და რუსულ წერაში (პოლიტეხნიკუმში). გამოცდები დაიწყება პირველს და დამთავრდება 15 სექტემბერს. **(იხ. ამის შესახებ ფართე ცნობა გაზ. „კომუნისტი“-ს № 149-ში 2 ივლისი).**

კითხვა

ვარ 7 წლედის მასწავლებელი 1922 წლიდან. ვარ საშუალო სასწავლებლის მე-7 კლასიდან (არა დამთავრებული).

შეიძლება თუ არა გამოცდების ქვეშ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა.

მასწავლებელი.

პასუხი

თუ თქვენ უპირველეს ყოვლისა, ჩააბარებთ გამოცდებს საშუალო სასწავლებლის პროგრამით, თქვენ მაშინ უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ქვეშ შესვლის უფლება თქვენც ვენიჭებათ საერთო წესით. ამის შესახებ თქვენ უნდა მიმართოთ განათლების სახკომატის პროფგანათლების მთავარ სამმართველოს სათანადო განცხადებით.

ბინის რემონტის შესახებ

კითხვა

წარსულ წელს ოქტომბერში გადმომცეს ნახევრად სარდაფი ბინად, ზომით 18 კვად. არშინი ლერმონტ. ქ. №15, ვინაიდან მე ვიყავი გამოსახლებული ყოფ. სომხის ბაზრის ქუჩა № 5—18 სახლების დანგრევის გამო.

მარტის თვეში ჩემ გვერდით მცხ. მოქ. ზაიფერტის მიერ იქნა დათმობილი ჩემთვის რამოდენიმე კვადრატიული არშინის სივრცე, რომელიც ჩემი საკუთარი თანხით იქნა შემოერთებული (ე. ი. კედელი გამონგრეული და დატანილი). ასეთი შეკეთება დაჯდა 38 მანეთი.

გთხოვთ განმიმარტოთ, მაქვს თუ არა უფლება სახლის მთლობილობას ბინის ქირიდან დაუჭირო რემონტზე დახარჯული თანხა? ვარ პროფკავშირის წევრი (№ 14033): ვთანამშრომლობ რკ.-გზის საგანგ. კომისიაში.

გთხოვთ მომცეთ პასუხი.

პასუხი

თანახმად ქალ. აღმასკომის პრეზიდიუმის 1925 წ. ივლისის დადგენილება № 88-ისა, ყოველგვარი კაპიტალური რემონტის გაკეთება ევალება სახლის მთლობელობას. თქვენ მიერ გაკეთებული რემონტი, (როგორც მაგ. ოთახის კედლის გაფართოება-შეკეთება) წარმოადგენს კაპიტალურ რემონტს და მასზე დახარჯული თანხა თქვენ შეგიძლიათ, ზემოხსენებული დადგენილების თანახმად, სახლის მთლობელობას გამოუქვითოთ ბინის ქირიდან, მხოლოდ რემონტის აუცილებლობა, მისი მიზანშეწონილობა—უნდა იქნეს დადასტურებული სათანადო ოქმით და ხარჯთაღრიცხვაც უნდა იქნეს შედგენილი სწორი ანგარიშები რომელიმე საბჭოთა ტეხნიკის მიერ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 36

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. სისხლის სამართლის კოდექსის 78, 79 და 80 მუხ. შეცვლისა, იმავე კოდექსისათვის 80-^{1} და 80-^{2} მუხლის დამატებისა და 79-^{1} მუხლის ამოშლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10 თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 78, 79 და 80 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 78. სახელმწიფო თუ ადგილობრივი გადასახადისა ან გამოსაღების გაღებაზე ან კანონიერად შემოღებული ბეგარის მოხდაზე წინასწარი შეთანხმებით მასსიური უარის თქმა გამოიწვევს:

წამქეზებლისა, ხელმძღვანელისა და ორგანიზატორისათვის.

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა სასტიკი იზოლიაციით და თანაც ჯარიმა შეწერილი გადასახდელისა და ბეგარის ორმაგი რაოდენობით, ხოლო, უკეთუ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში—მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციას;

დანარჩენ მონაწილეთათვის.

ჯარიმას იმავე გადასახდელისა და ბეგარის რაოდენობით.

მუხ. 79. სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისა, ან სავალდებულო დაზღვევის გადასახდელის ვადაზე გადაუხდელობა, იმის მიუხედავად, რომ დაჯარიმებულს შეეძლო მათი გადახდა, უკეთუ მას უკვე შეეფარდა გადახდევინების ღონისძიება იმით, რომ გასულ საშემოსავლო წელს—თუნდაც ერთხელ, ხოლო მიმდინარე საშემოსავლო წელს—ორჯერ, აღწერეს ან საჯარო ვაჭრობით გაუყიდეს აწერილი ქონება, გამოიწვევს:

პირველად— ჯარიმას იმავე გადასახდელის რაოდენობით;

მეორედ—თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითი მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას იმავე გადასახდელის გაორკეცებული რაოდენობით.

ბეგარის მოხდაზე ან საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმა გამოიწვევს:

პირველად — ადმინისტრატიულ გადასახდელს, რასაც კანონით დაწესებულ თარგალში გადასწყვეტს სათანადო ხელისუფლების ორგანო,

მეორედ—თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას იმავე ბეგარისა და სამუშაოს რაოდენობით.

2.

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 80-^{1} და 80-^{2} მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 80-^{1}. ცალკე პირის მიერ გადამალვა გადასახად-დასადები ან აღსანუსხი საგნისა ან ამ საგანზე წინასწარი შეცნობით ტყუილი ცნობის მიცემა, უკეთუ სპეციალური დებულებით არ არის გათვალისწინებული სხვა რამ შედეგი, გამოიწვევს:

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ფულად ჯარიმას არა უმეტეს გადასახდელის ორმაგი რაოდენობისა ან გადამალული საგნის ღირებულებისა.

მუხ. 80-^{2}. თავის არიდება საფინანსო ორგანოს მოთხოვნით ცნობის წარდგენისათვის ან წინასწარი შეცნობით ტყუილი ცნობის მიცემა მენარჩენის ქონების შესახებ იმ კერძო პირის მიერ, ვისთვისაც ამ ქონებაზე ცნობების მიცემა სავალდებულოა და ვინც იმავე დროს ეს ქონება იცის, გამოიწვევს:

იძულებით მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

3.

სისხლის სამართლის კოდექსის 79-^{1} მუხლი ამოშლილ იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წლ. ივნისის 22
თბილისი—სასახლე.

პარტიული კალენდარი

ს. კ. პ. თბ. ო. ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 13 აგვისტოს, სახალხო ფოსტატელეგ. მუშაკთა კავშირის კლუბში მოწვეულია ქალაქის რაიონში შემავალ შემდეგ ქართულ უჯრედების (№№ 28, 29, 32, 34, 36, 39, 44, 48, 45, 47, 23). ჯგუფური კრება. დღის წესრიგშია: **საკ. კ. პ. ც. კ. და საკანტ. პლენუმის შედეგები.**

ის ამხანაგები, რომლებიც თბილისის კომიტეტისა და სამაზრკომის წილხვდომილი განრიგებით იგზავნებიან ამხ. ზინოვიევის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტში (ლენინგრადში) ვალდებული არიან გამოცხადდენ ცეკას აგიტპროპში სამშაბათს 17 აგვისტოს დილის 10 საათზე.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპის მდივანი ხევ. მინდაძე.

ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ 13 აგვისტოს საღამოს 6 საათზე საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კლუბში მოწვეულია საბჭოთა უჯრედების №№ 14—17—22—24—25—27—31—33—35—37 — 40—46—50—55—57—42—56—30—41 ჯგუფობრივი სხდომა.

დღის წესრიგში: ცეკას და ცენტრ. საკონტროლო ივლისის პლენუმის შედეგები.

საქ. ლ. ა. კ. კ. ცეკა აცხადებს, რომ პარასკევს 13 აგვისტოს, დილის სრულ 9 საათზე შესდგება **ცეკას ეკონომკომსიის სხდომა.**

კომისიის ყველა წევრთა და კავშირების ცენტრალურ გამგეობათა წარმომადგენლების დასწრება დაუგვიანებლად, სავალდებულოა.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამ-ბის გამგეობა და თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 12 აგვისტოს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ამხანაგი და უანგარო მუშაკი

დავით ალექსის-ძე ლორთქიფანიძე

რომლის ცხედარის გამოსვენება მოხდება კვირას ა. წ. 15 აგვისტოს ნაშუადღევის 4 ს. საკუთარ ბინიდან გონჩარნის ქ. № 18. დასაფლავება ამავე დღის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 3249

თავზარდაცემული მეუღლე მარია დავითის ასული ლორთქიფანიძისა შვილები: ალექსანდრე, ივანე, ბიქტორი და მედეია ლორთქიფანიძეები, დედა ტერეზია ლუკას ასული, ძმა პავლე შვილებით —ვალიკოთი და იოსებით, დები: მინადორა და თამარა მეუღლეებითურთ, ალექსანდრე ბალაშვილი და არკადი არდიშვილი, სიდედრ-სიმამრი ბარბალე და დავით მგალობლიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მარად დაუვიწყარის

დავით ალექსანდრეს-ძე ლორთქიფანიძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 15 აგვისტოს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება ნაშუადღევის 4 საათზე. ს. ბ. გონჩარნის ქ. № 18. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ საღამოს. 3247

ღრმად მწუხარებაში მყოფნი ქმარი სოლომონ გრიგოლის-ძე მენაბდე, ძმა [illegible] ნესტორის-ძე ჯაფარიძე, დები—სონია, ნუცია, ალექსანდრა, ნინიკა, ქრისტინე, ცაბურა; სიძეები: იოსებ აბესაძე, ნიკიფორე გეგელია, ანდრო კაჭლაკი; დისშვილები გრიშა და დათიკო ჩიკვაიძეები და ნინა და ლიუბა აბესაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, ნაცნობთ, რომ 9 აგვისტოს, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

[illegible] ჯაფარიძე-მენაბდისა

რომლის დაკრძალვა მოხდება 13 აგვისტოს, დღით პარასკევს, ნაშუადღევის 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. პანაშვიდი გადახდილი იქნება 12 აგვისტოს საღამოს 7 საათზე ყაზბეგის ქუჩა № 3. 3241 2—2

ღრმად დამწუხრებული დედა მართა ანჯაფარიძისა, ძმები: პლატონი ლავრენტი და გრიგოლი ანჯაფარიძეები, დები და რძლები შვილებით, სიძეები, და გაზრდილი ნინო სერგოს ასული ლოხიშვილისა ქმარ-შვილით ამით აუწყებენ ნათესავ, ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ (ფილტვების ანთებით) რვა აგვისტოს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ბიქტორ თადეოზის-ძე ანჯაფარიძე

გამოსვენება 13 აგვისტოს ტრამვაის ქუჩა № 5, საღამოს 5 საათზე, დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 3255

კირილე ბახვას-ძე ანჯაფარიძე, ალექსანდრე ანტონის-ძე გუგუნავა და ვასილ ჩიტილიას-ძე გადილია მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს მათი ერთგულ მეგობრის

ბიქტორ თადეოზის-ძე ანჯაფარიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დანიშნულია დღეს, 13 აგვისტოს, ტრამვაის ქ. № 5, საღამოს 5 საათზე, დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 3253

ლევან პავლეს-ძე კორსავა, ამხანაგები მისი ნესტორ დავითის-ძე შარვაშიძე, ბიქტორ გიორგის-ძე ჩიქოვანი, ლავრენტი ბესარიონის-ძე მიქაძე და მიხეილ გრიგოლის-ძე ჩიქოვანი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი

ბიქტორ თადეოზის-ძე ანჯაფარიძე

დაკრძალვა მოხდება აგვისტოს 13-ს, წმინდა ნინოს სასაფლაოზე, გამოსვენება საკუთარი ბინიდან—ტრამვაის ქ. № 5. ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე. 3250

ღრმად დამწუხრებული შვილები: კორნელი, ილიკო, ვლადიმერი, რძლები: ვერა, ნინო და მარო, შვილიშვილები: ჟორჟი, შალვა, იოსები, ვახტანგი, მიშა, ცაცა, ჟუჟუ, შოთა და არჩილი აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს ძვირფასი და საყვარელი

ქრისტინე ივანე ხუროძის ასული ქაცარავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალ. ხონში შაბათს, 14 აგვისტოს. 3252

ღრმად დამწუხრებული შვილები: გოჩა, პიპინია და ქეთო, რძალი თამარა კორძაიები და სიძე ილია შავდია აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 11 აგვისტოს გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

ირინე (ცუცუ) ანტონის ასული კორძაიასი

დაკრძალვა მოხდება ქ. თბილისში, წმინდა ნინოს სასაფლაოზე, შაბათს, 14 აგვისტოს. გამოსვენება ნაშუადღევის 4 საათზე, მიხეილის საავადმყოფოდან. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. 3245

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

სოლეი

ნ. 1613 0—10

დღეს,
ამერიკის პოპულიარული მსახიობები დოროტეა დალტონ და მილტონ სილსი
სურათში „ველური კატა“ მხატვრ. დრამა 7 ნაწილად.
ანონსი: ორშაბათიდან—„ზეინაბ და რამლიკა“
ჩქარა—„მანდრენ“

დღეს კინო ეთერში და სოლეიში
ერთდროულად
ШАХ и МАТ
ამერიკის საუკეთესო კინო-მსახიობების მონაწილეობით
პრისცილა დინ („მათხოვარი სტამბოლიდან“)
უოლეს ბირი („რობინ გუდ“)
რაიმონდ გრიფფიტ (ავტომობილი № 13)

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

გაზ. „კომუნისტი“-ს
მთავარი კანტორა

წინადადებას აძლევს ქვემო აღნიშნულ განცხადებების შემკრებ აგენტებს:

1) დავით მგალობლიშვილს,
2) ვასილ პატარაიას,
3) სერგეი ივ. კროტკოვს,
4) მიხეილ კრივორუჩკოს,
5) ხალათოვს,
6) გიგლა მეგუქეს

გაასწორონ მთავარ კანტორასთან ყოველგვარი ანგარიშები, ამა აგვისტოს 20-მდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხსნილი იქნებიან სამუშაოდან და მათი საქმე გადაეცემა სათანადო ორგანოს.

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.
3—1

გაზ. „კომუნისტი“-ს რწმუნებულათ
შორაპნის მაზრაში
ინიშნება
გიორგი გოგელია
რომელთანაც შეიძლება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე“, „მუშაზე“ და „ახალი სოფელზე“
0—3 გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

დავკარგე პირადობის მოწმობა № 465 და აღრიცხვის წიგნაკი № 726 რომანოზ ლეშკაშელის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 3239

დავკარგე ღვინის გასატანი მოწმობა 21343—3 აგვისტოს 1926 წ. ნიკოლოზ მაჭავარიანის ღვინის სარდაფის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 3246

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 5828 და რკინის გზის დამცველ რაზმის მოწმობა № 120, პავლე იონათამი შილიას სახელზე, ჩ. გ. ქვ. 3245

დავკარგე ჭიათურის პროფკავშირის წიგნაკი № 38 და პირადობის მოწმობა პროკოფი პავლესძე რუხაძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 3251

დავკარგე ჭიათურის პროფ. კავშირის წიგნაკი № 161 ნიკო დემბაძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 3251

დავკარგე მოწმობა 9 წლედის დამთავრების № 8 და მეტრიკული ამონაწერი № 369 შალვა ხარაიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 666

დავკარგე მოწმობა გაცემული ჭიათურის ცხრა წლედიდან შვიდი წლედის კურსის დამთავრების შესახებ № 28 ტერენტი ივანესძე [illegible] სახელზე, ჩ. გ. ნ. 1636

დავკარგე სამთო მადნო კავშირის წიგნაკი № 6183 ვლადიმერ ილარიონის ძე დვალის სახელზე, ჩ. გ

გამოვიდა და იყიდება
„მაღალი და დაბალი ძაბვის მძლავრ დენებიან ელექტროტეხნიკურ მოწყობილობათა გამრიგის და მათი უსაფთხოობის წესები“
აღნიშნული წესები სავალდებულოა თბილისისა და მისი მაზრისათვის.
წიგნი ღირს 50 კაპ.
წიგნის შეძენა შეიძლება „ტემს“-ში. თავისუფლების მოედანი, ქარვასლა ყოფ. თამამშევის. ნ. 1665

გაზ. „კომუნისტი“-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს,** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი).** რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

მთავარი კანტორა

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და- აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

გაზ. „კომუნისტი“-ს

მთავარი კანტორა წინადადებას აძლევს ჭიათურის გამგე **გოგელიას,** ზუგდიდის კონტრაგენტ **რუდის** და სამტრედიის კონტრაგენტ **მ. წულაიას** გამოცხადდენ მთავარ კანტორაში აგვისტოს 5-მდე ანგარიშების შესადარებლად და გასასწორებლად.

0—1 გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

გაზ. „კომუნისტი“-ს ქუთაისის კანტორა

აცხადებს იმ ხელისმომწერთა საყურადღებოთ, რომელთაც ძველი თვეების დავალიანება არ გადაუხდიათ, რომ ანგარიშის უკანასკნელ გასწორების ვადათ დანიშნულია 15 აგვისტო,—რის შემდეგ,— გადაუხდელი გაზეთის საფასურის ასაღებათ მიღებული იქნება განსაკუთრებული ზომები.

ნ. 1624 რწმუნებული ტყაბლაძე

გაზეთ
„კომუნისტის“ „მუშა“-ს და „ახალი სოფლის“
რწმუნებულათ ქ. ხაშურში და ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში ინიშნება
მათე გოგუაძე
რომელთანაც შეიძლება ზემოაღნიშნულ გაზეთებზე ხელის მოწერის მიღება.
გაზ. „კომუნისტი“ „მუშა“ და „ახალი სოფლის“
მთავარი კანტორები

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან
გარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—

წყლებით სამკურნალო
(ხაზინის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდი.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმ-სპეციალისტის ხელმძღვანელობით
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—3 ნ. 1650

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
სააპიროს ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68